ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათს და პარასკევს | №22 (1652) 31.03–2.04. 1998 წ. | ფასი 50 თეთრი



„არა მგონია, შევარდნაძე უფრო დიდი პატივისცემით ეპყრობოდეს რუსეთს, ვიდრე მე“

მეორე გვერდი



დღეს ზვიად გამსახურდია 59 წლის გახდებოდა...

## ზურაბ ჟვანია ამერიკაში წავიდა და გული აქ დარჩა, რადგან...



მეორე გვერდი

„ხელისუფლებას ძალზე გამოკვეთილი კურსი აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან არ გამომდინარეობს“



მესამე გვერდი



„პრეზიდენტთან შეხვედრა შეუძლებელი არ არის, მაგრამ არარეალურად მეჩვენება“

მეოთხე გვერდი



„ტერაქტების ეპოქა ჩვენში გამიზნული პოლიტიკის შედეგია“

მეექვსე გვერდი

რატომ არ ჩამოდის ზავაროტი?..

მეთერთმეტე გვერდი



რა მოხდა ქალთა კოლონიაში 28 მარტს?..

მერვე გვერდი

## სპორტის სამყარო

ჩეზარე მალდინი:

„ზიდანი თანამედროვეობის უდიდესი ფეხბურთელია“



მეათე გვერდი

# ზურაბ ჟვანიას აშშ-ში წავიდა და გული აქ დარჩა, რადგან...

გასული კვირის ბოლოს პარლამენტის სპიკერმა, ზურაბ ჟვანიამ აშშ-ში ათდღიანი სავიზიტო მგზავრობის წინ გამოსამშვიდობებელი პრესკონფერენცია გაუმართა ჟურნალისტებს.

„შარშან ძალიან კარგი კოორდინირება გამოგვივიდა აღმასრულებელ სტრუქტურებთან" — ბრძანა სპიკერმა და დამსწრეთ შეახსენა თავისი წარსული — შეხვედრა კაპიტოლიუმის ბორცვზე ცნობილ სენატორთან, რასაც მოჰყოლია საგარეო საქმეთა მინისტრის წარმატებული ვიზიტი და ბოლოს, პრეზიდენტის დამაგვირგვინებელი სტუმრობა აშშ-ში. მაშინ მიღებულმა შეთანხმებებმა განაპირობა ის, რომ წლევანდელ



საბიუჯეტო წელს საქართველო ერთ-ერთი უმთავრესი გახდა აშშ-სთვის დახმარება გასაწევ სახელმწიფოთა შორის. ზურაბ ჟვანიამ ეს მეტად მნიშვნელოვან მოვლენად შეაფასა, შეიძლება ითქვას, უნიკალურადაც, რადგან ასეთი დახმარებით სარგებლობენ ის სახელმწიფოები, რომელთაც მნიშვნელოვანი და მრავალრიცხოვანი დიასპორა გააჩნიათ აშშ-ში. „საქართველოსადმი ასეთი განსაკუთრებული დამოკიდებულება არის ჟესტი იმ დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერისა, იმ რეგიონალური თანამშრომლობისა, რომელიც მიმდინარეობს ჩვენს სახელმწიფოში და მის გარეთ ჩვენი ქვეყნის ინიციატივით" — თქვა ბ-ნმა სპიკერმა.

ზურაბ ჟვანიამ შეგვახსენა, რომ 1998 წლისთვის კონგრესის მიერ დამტკიცებული კანონის თანახმად, საქართველო მიიღებს მიმდინარე წელს 97,5 მლნ დოლარს, გარდა ამისა, დამატებით ხორციელდება რამდენიმე პროგრამა, მათ შორისაა ბუნებრივი გაზის მოწოდების საკითხიც და საერთო ჯამში დახმარება მიაღწევს 120 მლნ-იანი დოლარის ოდენობას. ყოველივე ეს, საჭიროს ხდის საქართველოს მხრიდან, შეიქმნას სერიოზული მექანიზმი საამისოდ, რომ ასეთი სოლიდური დახმარება შენარჩუნებული იქნას მომდევნო წლების განმავლობაშიც.

პარლამენტის სპიკერის სამუშაო ვიზიტის მიზანია, გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა, რათა ჩვენი მეგობრები და კოლეგები ვაშინგტონსა და აშშ-ს სხვა საკვანძო ცენტრებში დაარწმუნოს, რომ საქართველო ნამდვილად რჩება ღირსეულ და სანდო პარტნიორად დემოკრატიული მსოფლიოსთვის და რეფორმები, რომლებიც მიმდინარეობს ჩვენში, მართლაც იმსახურებს სერიოზულ მხარდაჭერას. ზურაბ ჟვანიას პრაქტიკულად ოფიციალური პარტნიორი აშშ-ში არ ჰყავს იმიტომ, რომ სპიკერს იქ სულ სხვა დატვირთვა აქვს. ამდენად საპარლამენტო ვიზიტები ამერიკის კონგრესს აკრძალული აქვს და არა აქვს უფლება სპონსორობა გაუწიოს უცხოურ დელეგაციებს; მიუხედავად ყველაფრისა, გარდა სენატორებისა და წარმომადგენელთა პალატის წევრებთან შეხვედრისა, მას დაგეგმილი აქვს 60-ზე მეტი შეხვედრა საგარეო და საბიუჯეტო კომიტეტებში, ასევე დაგეგმილია 12 ლექცია და საჯარო გამოსვლა წამყვან უნივერსიტეტებში, პოლიტოლოგიურ ცენტრებში და ბიზნეს საზოგადოების წინაშე.

ჟურნალისტების კითხვაზე, ექსბიზნესმენებთან შეხვედრებისას ექნება თუ არა მას წინ წამოწეული ნავთობსადენის მშენებლობის თემა, ბ-ნა ზურაბმა უპასუხა, რომ ენერგომატარებლების სამხრ. კავკასიაზე ტრანსპორტირების საკითხი ერთ-ერთი საინტერესოა არა მხოლოდ აშშ-ს, არამედ მთელი საერთაშორისო აუდიტორიისათვის. ლექციების კურსში ფიგურირებს ტრანსეკას, კავკასიური დერეფნისა და ნავთობის ტრანსპორტირების საკითხები. „საქართველო დღეს ინტერესს იწვევს, როგორც რეგიონის ერთ-ერთი საკვანძო ქვეყანა, თორემ იგი ცალკე აღებული, პატარა, კუთვნილი მოსახლეობითა და ამდენი შიდა პრობლემით, საქართველო არც ისე მიმზიდველი არის თანამშრომლობისათვის".

ასეთი წარმატებული სამომავლო ვიზიტის ვრცელი მიმოხილვის შემდგომ, ზურაბ ჟვანიამ გულდაწყვეტით დასძინა: ჩვენს პოლიტიკურ ასპარეზზე ისეთი მოვლენები ვითარდება, შესაძლებლობა რომ მქონდეს, აუცილებლად აქ დავრჩებოდი პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობის მისაღებადო. მიუხედავად ამისა, ბ-ნმა სპიკერმა აუცილებლად ჩათვალა დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია თბილისსა და აჭარის უზენაესი საბჭოს ხელმძღვანელობებს შორის მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით:

„ — მთელი პასუხისმგებლობითა და კატეგორიულად მინდა განვაცხადო, რომ წარმოუდგენელია, როდესმე კითხვის ნიშნის ქვეშ დაისვას აჭარის ავტონომიურობის საკითხი. მისი სტატუსი განსაზღვრულია არა მხოლოდ ჩვენი შიდა გამგებლობით და სახელმწიფოში არსებული ტრადიციებით, არამედ გარკვეული საერთაშორისო ვალდებულებებითაც, რომელთა მემკვიდრეობა საკუთარ თავზე იკისრა საქართველომ და ბუნებრივია, რომ ამაზე საუბარი უკეთეს შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს არაკომპეტენტურობად და უარეს შემთხვევაში, ძალიან სახიფათო თემის პროვოცირებად". თბილისის, ბათუმისა და მთელი საქართველოს დასაწყნარებლად გაისმა სპიკერისგან, რომ რამენაირი საუბრები აჭარის სტატუსის შემცირების ან გაუქმების მიზნით, გამორიცხულია არამხოლოდ დღეს, არამედ სამომავლოდაც.

პრესკონფერენციის დასასრულს, ჟვანიამ ჟურნალისტებს არც ის დაუმალა, რომ ზუბიტაშვილისა და მის მსგავს მდგომარეობაში მყოფ ადამიანების საკითხებს პარლამენტის სპიკერის არყოფნის პერიოდში არ განიხილავენ.

**ხათუნა ხატიაშვილი**

# „დსთ" და „სსრკ" ანუ... „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს"

სხვანაირადაც უთქვამს ჩვენს ხალხს: „შუბი ხალთაში არ დაიმალებაო", „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო", „ქურდს ქუდი ეწვისო"...

მაგრამ რით უკავშირდება „დსთ" და „სსრკ" ამ ანდაზებს და რამ გამახსენა ისინი? თურმე კი არ უკავშირდება მხოლოდ, თითქოს იმისთვის უთქვამთ ოდესლაც ეს ქართული ანდაზები, რომ სცოდნიათ: დიდი ხნის შემდეგ „დსთ" და „სსრკ" სახელწოდებებს გამოიგონებენო. გამახსენა კი იმან, რომ ერთ წიგნში ამოვიკითხე:

„ის „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა", რომლის შესახებაც ლაპარაკი იწყება ბელოვეჟის შეხვედრის შემდეგ, მხოლოდ აჩრდილია ოდესღაც მძლავრი ლენინურ-სტალინური იმპერიისა. ვინც ცოტათი მაინც ერკვევა თანამედროვე პოლიტიკური ტერმინოლოგიის სპეციფიკაში, მან იცის: რადგან ამ სახელმწიფოებს „დამოუკიდებელი" ეწოდებათ, ეს სწორედ იმის ნიშანია, რომ ისინი დამოკიდებულნი არიან... დსთ-ის აზრა გამოგონილია იმ ფაქტის დასაფარავად, რომ სსრკ-ის ტრადიციები მთლიანად გადაიბარა რუსეთის ფედერაციამ" (კონსტანტინე ზ. გამსახურდია, „დინების საწინააღმდეგოდ", 1997 წ., გვ. 120). ავტორი „ისტორიულ ნარკვევს" უწოდებს თავის ნაშრომს, მაგრამ იგი მხოლოდ ისტორიული როდია: წიგნში ჭკუადამჯდარი ახალგაზრდა კაცი ფხიზელი გონებით აფასებს საქართველოს დღევანდელ ვითარებასაც და ასე ამთავრებს: „მწამს, რომ ვიხილავთ ძველის ნანგრევებიდან ჭეშმარიტად ახალი საქართველოს აღდგომას".

მეც მწამს, რომ ასე იქნება, მაგრამ დღეს „დსთ"-ის პირველი ასო დამოკიდებულს ნიშნავს და არა დამოუკიდებელს. საქართველო მაშინ იყო დამოუკიდებელი, როცა 1991 წლის 20 დეკემბერს ალმა-ათაში ხელი არ მოაწერა დსთ-ის ძირითად დოკუმენტს. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ კი (1992 წლიდან) საქართველო კვლავ დამოკიდებული ქვეყანაა.

მაგრამ რატომლა ამბობენ, თავისუფალი და დამოუკიდებელი ვართო? აი, ამაზე ამახვილებს ყურადღებას კ. გამსახურდია. „დამოუკიდებელი" გულუბრყვილოთა გასაცურებელი ნილაბია. რომელი ნორმალური ქვეყანა ამბობს, მე დამოუკიდებელი ვარო?! არცერთი არ ამბობს. არ ამბობს იმიტომ, რომ დამოუკიდებელია და ამის აფიშირება საჭირო არ არის. ვთქვათ, კაცი დგას ქუჩაში და გაიძახის, მე ჭკვიანი ვარო. რას იფიქრებთ იმ კაცზე?.. იფიქრებთ და მართალიც იქნებით.

მაშასადამე, როცა ქვეყნები ამბობენ, დამოუკიდებელი ვართო, „ეს სწორედ იმის ნიშანია, რომ ისინი დამოკიდებულნი არიან". ეს საბჭოური, ბოლშევიკური მეთოდია: მე თუ ვამბობ, რომ მუხა ვაშლს ისხამს, შენ რკო არ ახსენოო. ამის კლასიკური მაგალითია სსრკ-ის ჰიმნი. იგი ასე იწყება: „თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური შეუკრავს მუდმივად დიდ რუსეთის ხალხს". ადრეც ბევრმა იცოდა და დღეს ყველამ იცის, რომ სსრკ („ლენინურ-სტალინური იმპერია" — კ. ზ. გამსახურდია) მონობის ქვეყანა იყო. რაც მთავარია, ეს იციან ჰიმნის ავტორებმაც და იმიტომ ამბობენ „თავისუფალ ერთა კავშირიო" — „სოიუზ რესპუბლიკ სვობოდნიხ", თანაც „სოიუზ ნერუშიმიო". ჰიმნის მისამღერშიც რამდენჯერმე მეორდება: „დიდება, სამშობლოვ, შენ თავისუფალო!" — „ოტეჩესტვო ნაშე, სვობოდნოე". აი, ეს „ნერუშიმი სოიუზი" რომ დაიშალა, „სვობოდნოე ოტოჩესტვოს" დაარქვეს „დსთ" და ამით ბრძანეს: „სამიტზე" გამოცხადდითო. ვირზე შემჯდარმა მიხომ რომ სურათი გადაიღო, შეყვარებულს გაუგზავნა და მისწერა, ზემოთა მე ვარო, გულუბრყვილობით მოუვიდა (ან იხუმრა), დსთ და სსრკ კი სერიოზულად გვეუბნებიან: დამოკიდებული დამოუკიდებელს ნიშნავს, მონების ქვეყანა კი „სვობოდნოე ოტოჩესტვო" არისო.

აი, რა ფიქრს აღძრავს კონსტანტინე ზ. გამსახურდიას წიგნი „დინების საწინააღმდეგოდ", რომელიც ახლაც იყიდება თბილისის წიგნის ბაზარში. სერიოზული, ჭკვიანი კაცის ნაფიქრია ეს ნაშრომი, რომლის ძირითადი ნაწილი თავდაპირველად გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა. ავტორი უხვად იყენებს უცხოურ ლიტერატურასაც, აანალიზებს ბოლო ათწლეულში საქართველოში მომხდარ მოვლენებს, ღირსეულად წარმოაჩენს ზვიად გამსახურდიას ღვაწლს და გამოთქვამს რწმენას, რომ მისი (ე. ი. საქართველოს) საქმე გაიმარჯვებს — „ვიხილავთ ძველის ნანგრევებიდან ჭეშმარიტად ახალი საქართველოს აღდგომას". ნათქვამია, კაცი იმედით ცოცხლობსო და ჩვენც ღმერთმა ნუ მოგვიშალოს იმედი:

**„კიდევაც დაიზრდებიან**
**ალგეთს ლეკვები მგლისანი,**
**ისე არ ამოწყდებიან,**
**ჯავრი შეჭამონ მტრისანი!"**

**ვახტანგ პაიკიძე**

## ვახტანგ ბოჭორიშვილი:
# არა მგონია, შევარდნაძე უფრო დიდი პატივისცემით ეპყრობოდეს რუსეთს, ვიდრე მე




**— ბატონო ვახტანგ, 31 მარტი ახლოვდება, ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე, თუ შეიძლება გაიხსენოთ, როგორ აღნიშნავდით თქვენ და თქვენი თანამზრახველები ამ დღეს?**

— სიმართლე გითხრათ, სანამ ზვიადი საქართველოში იყო, მისი დაბადების დღე როდის იყო, არც კი ვიცოდი. რადგან მაშინ უშუალოდ ზვიადთან ახლოს არ ვყოფილვარ... როდესაც ბატონი ზვიადი უზენაეს საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს, მაშინ მე ნიუ-იორკში გახლდით და იქ შევიტყვე ტელევიზიით ეს ამბავი. მივატოვე ყველაფერი, თუმცა, მივლინება დამთავრებული არ მქონდა, და საქართველოში ჩამოვედი. მაგრამ აქტიურად მაშინ დავდექი მის მხარეზე, როცა მას გაუჭირდა. ეს იყო მაშინ, როდესაც კიტოვანი რკონში გავიდა და ოპოზიციამ იარალი აისხა. იქიდან გამომდინარე არ ჩატარებულა არც ერთი მიტინგი, რომელზეც მე სიტყვით არ გამოვსულიყავი. მაშინ ვამბობდი: დღეს ისე არის გამსახურდიასა და საქართველოს ბედი გადახლართული, რომ არ შეიძლება მოუქნიო გამსახურდიას და არ მოარტყა საქართველოს. ვუმტკიცებდი ოპოზიციას სამ ძირითად დებულებას, რის გამოც ისინი ოპოზიციას კი არა, აჯანყებას წარმოადგენდნენ: იარაღი, სიცრუე ყოფელ ნაბიჯზე, (ასე მაგ. შავნაბადაში 60 კაცი მოგვიკლესო და იქ სულ 3 კაცი იყო და ისინც არავის მოუკლავს) და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გარეშე ძალაზე დაყრდნობა. სწორედ ამ პერიოდში გავიცანი ახლოს ბატონი ზვიადი, მაშინაც ორჯერ შევხვდი, ერთხელ მაშინ, როდესაც გორის რაიონიდან უზენაეს საბჭოში არჩეული დეპუტატის ადგილი გამოთავისუფლდა და ბატონმა ზვიადმა შემომთავაზა 22 დეკემბერს დანიშნული არჩევნებში კენჭი მეყარა. ამაზე მე სიამოვნებით დავთანხმდი, თუმცა ეს არჩევნები, ომის დაწყების გამო არ ჩატარდა. ამის შემდეგ შევიყვარე ზვიადის დაბადების დღე, შევისწავლე მისი ნაწარმოებები და შემიძლია ვთქვა, რომ დღეს უკეთ ვიცნობ ზვიად გამსახურდიას, ვიდრე მაშინ.

**— თუ შეიძლება შეადარეთ ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდი და დღევანდელი საქართველო?**

— მოკლედ ჩამოგითვლით იმ ძირითად მიზეზებს, რის გამოც ბატონი ზვიადის მმართველობის პერიოდი დღევანდელს გაცილებით სჯობდა... სულ რაღაც, შვიდ თვეში აშენდა მიწისძვრისაგან დანგრეული სოფლები რაჭასა და აჭარაში, ისე რომ არავინ დაგვხმარებია, ერთი მანეთი სესხი არავის მოუცია, როცა სპიტაკს მთელი მსოფლიო ედგა გვერდში და დღესაც არ არის მთლიანად აღდგენილი. ამასთან ზვიადი წავიდა ისე, რომ ერთი ცენტი ვალი არ დაუტოვებია ქვეყნისათვის და ბოლოს, ქართულმა სიტყვამ სიამაყით გაიჟღერა. ჩემთან მოდიოდნენ არაქართველები და მთხოვდნენ, დავხმარებოდი ქართულის სწავლაში, იქმნებოდა ქართული ენის შემსწავლელი წრეები. არაქართველებს რცხვენოდათ, როგორ, ამდენი ხანი საქართველოში ვცხოვრობთ და ქართული არ ვიცითო... ქალები მესამე შვილს აჩენდნენ... ეს იყო დიდი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ენთუზიაზმი... ამიტომაც, ბატონი ზვიადის დაბადების დღე ეს იყო და არის წმინდა დღე კეთილი მოგონებებისა და იმედისა. მე გეტყვით, იმასაც, რომ ის რაც 29 აგვისტოს და 9 თებერვალს მოხდა, ეს არის შობილი 1992 წლის სამხედრო გადატრიალებისა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# კიდევ კარგი, იმ დღეს საწყობის გამგე არ იყო

23 მარტს ამერიკელი სამხედროები აშშ-ში ვიზიტით მყოფ ვარდიკო ნადიბაიძეს აწონებდნენ თავს, ჩვენებმა კი სოფელ საწირეში საცხოვრებელ სახლს ესროლეს ჭურვი.

ტელეფონოგრამების წიგნიდან: 23 მარტს, დაახლოებით 16 საათზე ტყიბულის ზონის სოფ. საწირეში მცხოვრებ მოქ. ავთანდილ გიორგის-ძე ტოფაძის საცხოვრებელი სახლის სახურავს დაეცა მსხვილი კალიბრის ჭურვი, რომლის აფეთქებამ გამოიწვია სახლის სახურავისა და მეორე სართულის დაზიანება. აფეთქების შედეგად ადამიანთა მსხვერპლს ადგილი არ ჰქონია. სავარაუდოა, რომ ჭურვი წამოსულია თერჯოლის რ-ნის ტერიტორიიდან. მიმდინარეობს მოკვლევა. საქმე გადაეცა სამხედრო პროკურატურას.

ტოფაძეების ეზოში მეზობელი ჩაგვიძღვა. ვეღარ გიცანი, რაღაცას შეიძენ - უთხრა მან მასპინძლის ძმას. უკვე შევიძინეთ, ბომბი - იყო პასუხი.

შორენა ტოფაძე (დიასახლისი): ჩემი მეუღლე სამსახურში წავიდა. ხრესილის წვენების ქარხანაში მუშაობს. უფროსი ბიჭი ქუთაისში გავაცილე, ლექციები დაეწყო. უმცროსი ეზოში მეზობელს ელაპარაკებოდა. კარგი ამინდი იყო და მეც გარეთ გამოვედი, ყვავილებს ვრგავდი. ჩემი დედამთილი ბოსტანში საქმიანობდა. საშინელი გრუხუნის ხმა გაისმა. ვიფიქრე, სადმე ახლოს მეხი დაეცა-თქო. რომ მოვიხედე და დავინახე სახლიდან კვამლი ამოდიოდა, მეგონა



ხანძარი თუ გაგვიჩნდა. მეხის დაცემას ვიფიქრებდი, მაგრამ ბომბისას არა. სახურავი კი ხედავთ რა დღეშია? ძლივს სახლი ავაშენეთ და მოვაწყვეთ... თუმცა რას ვტირი. კიდევ კარგი ყველანი უვნებელი ვართ. ამ ოთახში შუაზე გაგლეჯილი კატა ვიპოვეთ, ბავშვებს უყვარდათ ძალიან, სულ ეფერებოდნენ...

ავთანდილ ტოფაძე (ოჯახის უფროსი): სამხედროებს არ უნდათ ამ ამბის გახმაურება, აფხაზები გაგვცინებენო. შუაღამეზე მოგვადგნენ სახლში შეწუხებულები: ეს რა დაგვემართაო. დაგვპირდნენ ზარალს აგინაზღაურებთო.

ნიურა ტოფაძე (პენსიონერი): ღმერთი უნდა ვიწამო. ყველა სასწაულით გადავრჩით.

სამხედროებს არც ამბის გახმაურება უნდათ და არც მასზე ლაპარაკი, მაგრამ სოფელს რას გამოაპარებ. ცოტა ხნით ბირჟაზე თუ ჩამოჯდები, ყველაფერს შეიტყობ:

- "უჩენიები" ჰქონიათ, ვიღაც გენერალს ელოდებოდნენ თურმე.

- ერთმა პოდპოლკოვნიკმა თქვა, ბედი თქვენი, იმ დღეს საწყობის გამგე არ იყო, თუ არა "ზემლია-ზემლიას" გამოცდას ვაპირებდითო. ჩვენი სოფლისაგან ალბათ ერთი ორმოღა დარჩებოდა.

- ტოფაძეებისათვის უთქვამთ, ოღონდ არ გვიჩივლოთ და ექვსი ათას დოლარს მოგცემთო.

- რა მოხდა ისეთი, ბომბი ამერიკის თვითმფრინავსაც დაეკარგა, ერთი გერმანელი კიდევ პირდაპირ წითელ მოედანზე დაფრინდა პირდაღებული საბჭოთა კავშირის თვალწინ.

- მტრების მეტი რა გვყავს, საწირე რა სტრატეგიული მნიშვნელობის სოფელი ნახეს?..

როგორც შევიტყვეთ, ეს ჭურვი სოფლისათვის პირველი არ არის. მსგავს შემთხვევას ადრეც ჰქონია ადგილი. ოღონდ ცოტა უფრო იოლ ფორმებში და სათანადო გამოხმაურებაც არ მოჰყოლია.

შემთხვევიდან უკვე რამდენიმე დღე გავიდა. სამხედრო პროკურატურიდან მხოლოდ ის შევიტყვეთ, რომ მიმდინარეობს მოკვლევა. მომხდარ ფაქტზე საუბარს ყველა გაურბის: "აფხაზებს გაუხარდებათო". აფხაზები კარგა ხანია გახარებული არიან, მაგრამ ჩვენ რომ გვწყინს ბატონებო?

# სასამართლო რეფორმის მტკივნეული მხარეები

რესპუბლიკაში მიმდინარე სასამართლო რეფორმა პოზიტიური მოვლენაა, რომელიც ემიჯნება ძველი სასამართლო სისტემის პრინციპებს და მიმართულია დემოკრატიზმის დამკვიდრებისაკენ მოცემულ სფეროში. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელია და კმაყოფილებას იწვევს ჩვენში. ამასთანავე, ალგვიძრავს სურვილს გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრებები და ჩამოვაყალიბოთ მიდგომები, რაც უდაოდ დადებით სამსახურს გაუწევს, როგორც რეფორმის მესვეურებს, ასევე ფართო საზოგადოებრიობას.

კერძოდ, ყურადღებას იმსახურებს ე. წ. პრივილეგიების მექანიზმი, რომელიც ზოგ შემთხვევაში არასათანადოდაა ნაგულისხმევი, ვინაიდან გათვალისწინებულია ისეთ მომენტებზე, რომლებიც უპირატესობით არ შეიძლება სარგებლობდნენ, როგორც წმინდა პრაგმატული, ასევე პატრიოტული სულისკვეთების მოსაზრებებითაც.

მაგალითად, სასამართლო რეფორმის მექანიზმის ერთ-ერთი სავარაუდო ასპექტი ითვალისწინებს გარკვეულ პრივილეგიებს თსუ-ს კურსდამთავრებულთათვის და აცხადებს ამას გამართლებულად პატრიოტული ნიშნით.

ამთავითვე უნდა ალვნიშნოთ, რომ კონკურსში პრივილეგია უნდა მიენიჭოს მას, ვინც ამას იმსახურებს, ხოლო მანამ, ვიდრე ასეთი გამოვლინდება, ყველა ჩაყენებული უნდა იქნას თანაბარ პირობებში, განურჩევლად ნებისმიერი ატრიბუტიკისა, რომელიც კი დასაშვებია ამ სფეროში. მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ თავის არიდებას, როგორც პატრიოტული, ასევე საპირისპირო მაქსიმალიზმისაგან, ვინაიდან არ აქვს მნიშვნელობა, თუ რომელი სასწავლებლის კურსდამთავრებულია კონკურსში მონაწილე, საქართველოსი, თუ საზღვარგარეთისა. თუ ამ პრინციპს დავეყრდნობით, ამით მოიგებს საქმე. რაც შეეხება თსუ-ს პრივილეგიურობის გამამართლებელ ძარღვს, იგი ვერ იქნება დამაკმაყოფილებელი არგუმენტი, უფრო მეტიც, საპირისპირო სამსახურს გაუწევს იგივე ეროვნულ საქმეს. პრივილეგია ერთია და ის ენიჭება მას, რომელიც უკეთესია, რომელიც მოიპოვებს და არა გარკვეული ნიშნით დიფერენცირების მიხედვით. ეს ვერ თავსდება დემოკრატიზმის თვალსაწიერში, ვინაიდან ქმნის კონკურენციის არაჯანსაღ გარემოს და ადუნებს პრივილეგიებით დაუმსახურებელ მოსარგებლეს, აქცევს მას საბოლოო ჯამში გაცილებით სუსტად, ვიდრე მის კონკურენტს, ეს კი დამეთანხმებით უკუსამსახურს უწევს „პრივილეგირებულ მხარეს" და ამას ვერ შევურიგდებით. ამით პრივილეგიების მოცემული მექანიზმი, როგორც პრაგმატულ, ასევე პატრიოტული თვალსაზრისით არაჯეროვანია ისევე, როგორც მისი შესაძლო მეორე უკიდურესობა — საზღვარგარეთის ინსტიტუტებისადმი უპირატესი მხარდაჭერისა მათი ქართველი კურსდამთავრებულების მიხედვით, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსში. ყოველგვარი უკიდურესობა და მაქსიმალიზმი არაგონივრულია და უკუშედეგებს იძლევა.

ყურადღებას შევაჩერებთ თეზისზე, რომელიც მიუთითებს, რომ მაღალხელფასიანი მოსამართლე კორუფციაში არ გაერევაო. მართალია უკიდურესად დაბალი ანაზღაურება პირდაპირ უბიძგებს დიდი ძალაუფლების მქონე მოსამსახურეს ქრთამის აღებისაკენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მაღალხელფასიანი მოსამართლე მოუსყიდველი იქნება, თუმცა მიდრეკილება ნაკლები შეიძლება იყოს აქეთკენ. ამდენად, ჩვენ ვერ მივაღწევთ სასამართლო სისტემაში კორუფციის აღმოფხვრას, რაც არ უნდა გავზარდოთ ხელფასი, ვინაიდან მეტი ყველას ურჩევნია, თუ პრაგმატულია. მაშასადამე, ეს თეზისი სანახევროდ, თუ მეტად არა, მაინც ფორმალურია. მისი წარმოშობა უკავშირდება უფრო გლობალურ პრობლემას, კორუფციას.

უნდა ვიყოთ რეალურები და ვაღიაროთ, რომ თანამედროვე სასამართლო რეფორმა ჩვენს ქვეყანაში კორუფციას ვერ აღმოფხვრის და იგი ამ მხრივ მაინც ფორმალური იქნება. მართალია, მასში აისახება პოზიტიური ტენდენციები, მაგრამ საბოლოო ჯამში კორუფციის სენი უფრო დახვეწილ და შენიღბულ ფორმას მიიღებს.

შეიძლება ვიკითხოთ, სად არის ალტერნატივა? ჩვენ ხომ დასავლეთის კურსით მივდივართ. ყველაფერს ვაწყობთ ისე, როგორც ეს ცივილიზებულ სამყაროშია, ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინების პირობით.

ის, რომ დასავლეთის კურსი გვაქვს არჩეული, არ ნიშნავს იმას, რომ დასავლეთმა დაასრულა განვითარება და ის იდეალია, თუმცა ასეთი შეიძლება იყოს სხვა მხარეებისათვის ჰორიზონტზე. ამდენად, ვადგავართ რა დასავლეთის კურსს, ჩვენი პრობლემებიდან მივემართებით მათი პრობლემებისაკენ, რის გამოც კორუფციის საკითხი და კამათი მოუსყიდველობის შესახებ უფრო გლობალურ პრობლემებს უკავშირდება, რომლებიც დასავლეთის თავის ტკივილს იწვევენ, ვინაიდან ეს პრობლემები მათი პრობლემებიცაა და მათაც აქვთ.

ამდენად, რეფორმა აუცილებელია თვით დასავლური სისტემისთვისაც, ვინაიდან დემოკრატია ვერ შენარჩუნდება რომც მიიღწეს, სისტემატური რეფორმიზმის, განვითარებადი ბაზრისადმი ზედნაშენის სისტემატური შესაბამისობის გარეშე.

კორუფციას ღრმა ფესვები აქვს და იგი თანამედროვე სისტემების საერთო დაავადებაა, მისი წყარო და მიზეზი გახლავთ სისტემების აგება დამავალდებულებელ და არადამაინტერესებელ პრინციპებზე. სისტემათა შექმნის მექანიზმის შეცდომურობა, სასამართლო და სხვა სისტემებშიც კორუფცია იარსებებს მანამ, ვიდრე ის არ აიგება საბაზრო, თავისუფალსამოქალაქო პრინციპებით და არ ჩაერთვება თავისუფალ მიმოქცევაში, როგორც სპეციფიკური საქონელი, სანამ არ შეიცვლება სახელმწიფოებრივი საზოგადოება საზოგადოებრივ სახელმწიფოდ და სისტემები, მათ შორის სასამართლო სისტემა არ აიგება საზოგადოებრივ საწყისზე. ეს პრობლემატიკა ფართოა და შესაბამის მიდგომას მოითხოვს. მიუღებელია და არაკანონზომიერი მივყვეთ მას, ვინც იდეალთან უფრო ახლოსაა და არა იდეალს, როცა ეს შეგვიძლია. ეს შეზღუდველობის გამოვლინებაა.

**ბ. ძელიძე**

# თამარ ჩხეიძე: ხელისუფლებას ძალზე გამოკვეთილი კურსი აქვს, მაგრამ სამწუხაროდ, საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან არ გამომდინარეობს




ქალბატონ თამარ ჩხეიძეს საზოგადოებასთან წარდგენა არ სჭირდება. მკითხველი მას უკვე იცნობს, როგორც ერთ-ერთ აქტიურ პოლიტიკოს ქალს, ილია მართლის საზოგადოების ყოფილ თავმჯდომარეს. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

**— ოპოზიციური პარტიების ნაწილი ხელისუფლებისგან მოითხოვს, პოლიტიკური შეფასება მიეცეს 1992 წლის სახელმწიფო გადატრიალებას, ხომ არ იქნება ეს კიდევ ერთი დოკუმენტური მასალა არქივში შესანახად?**

— მე მგონია, ეს დაუფიქრებელი და არასერიოზული მოთხოვნაა. უარეს შემთხვევაში ხელისუფლების მიერ ინსპირირებულიც. ულოგიკობაა, ამ მოვლენის შეფასება მოსთხოვო იმ ძალას, რომელიც არაოფიციალურად, მაგრამ მაინც მის უკან იდგა და თავად წარმართავდა ყველაფერს.

ხელისუფლებისგან მოთხოვნა — შეაფასოს ეს მოვლენა, ნიშნავს, რომ გაემიჯნოს მას, დააფიქსიროს სახელმწიფო გადატრიალების უშუალო შემსრულებლები, როგორც დამნაშავეები (ეს თავად ხელისუფლებასაც უნდა აწყობდეს), თავად კი მშრალად გამოვიდეს. ისტორიამ უნდა შეაფასოს, რა და როგორ მოხდა.. შეფასება არცერთ შემთხვევაში ცალმხრივი არ უნდა იყოს.

**— ბოლო პერიოდში ხმამაღლა გაიჟღერა ფრაზამ, „დაიწყო შერიგების პროცესი." თქვენი აზრით, რამდენად რეალურია ხელისუფლების მხრიდან გადადგმული ნაბიჯები ამ მიმართებით და, საერთოდ, მიგაჩნიათ თუ არა შერიგება შესაძლებლად?**

— სრულიად გაუგებარია, როგორ თავსდება ერთმანეთთან შერიგებაზე ქადაგება და წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა დაკავება. მხედველობაში მაქვს, გურამ აბსანძის დაპატიმრება. მე არ ვიცი, რამდენად რეალურია ბრალდება, რომელსაც მას უყენებენ. ვერ გეტყვით, რა თანხების გაფლანგვაზეა საუბარი, მაგრამ ასეთი რამ კიდეც რომ ყოფილიყო (ყველა ხელისუფლებაში ხდება ხოლმე), კორუფციის იმ მასშტაბების ფონზე, დღეს რომ საქართველოშია, სასაცილოდ მეჩვენება.

თუ რამ შერიგებაზეა საუბარი, ეს დაქსაქსული პოლიტიკური ძალების გაერთიანება უნდა იყოს, ზვიადისტური იქნება, თუ არაზვიადისტური. ყველამ ყოველგვარი განსხვავება, უთანხმოება და პრინციპები უნდა გვერდზე გადავდოთ და გავერთიანდეთ, რათა ყველა ღონე ვიხმაროთ ხელისუფლების შესაცვლელად, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ პოლიტიკურ მშვიდობიან მეთოდებს და არჩევნების გზას. თუმცა, ამ ძალების გაერთიანების შემდეგაც კი გამარჯვება მაინც გაძნელდება, რადგან გამარჯვებისათვის აუცილებელი ყველა საშუალება და ბერკეტები ხელისუფლების ხელშია. შევარდნაძის მთავრობის შეცვლის გარეშე ქვეყანას არავითარი პერსპექტივა არა აქვს. მე არ ვსაუბრობ ხელისუფლებაში იდეალური ძალის მოსვლაზე, უბრალოდ მასზე უკეთესი იყოს, ვინც იქნება. ამბობენ, ხელისუფლებას გამოკვეთილი პოლიტიკა არა აქვსო, ეს ტყუილია, არ ვეთანხმები ვითომ ოპოზიციონერებს, რომლებიც ასე ფიქრობენ, ხელისუფლებას ძალზე გამოკვეთილი სტრატეგია და კურსი აქვს. მაგრამ სამწუხაროა, რომ იგი საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან არ გამომდინარეობს და ეს არის დამღუპველი.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# უმუშევრობა და დასაქმების პრობლემები

**საერთო-სახალხო პრობლემა**

საქართველოში ეკონომიკური ცვლილებებისა და ახალი საბაზრო ურთიერთობის ჩამოყალიბების პროცესების გავლენით არსებითად შეიცვალა შრომის ბაზრის სტრუქტურა და ამან უმუშევრობის საოცარი ზრდა გამოიწვია.

ჩვენში ჰიპერტროფირებული უმუშევრობა განპირობებული იყო არა კლასიკური ჭარბწარმოებით, არამედ არაეფექტური წარმოების მოშლით, საბაზრო სისტემისათვის აუცილებელი სპეციალობების და პროფესიების ნაკლებობით. მზარდმა უმუშევრობამ გაალატაკა საქართველოს მოსახლეობა, მაგრამ ყველაზე დიდ ტრაგედიად მოსახლეობის მორალური და სულიერი დაცემა შეიძლება ჩაითვალოს. იგი ნარკომანიის, ლოთობის ზრდის და რაც ყველაზე უარესია — ოჯახების დაშლის ერთ-ერთი მიზეზიც გახდა. ისეთ ტრადიციულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, მამაკაცები ოჯახს ველარ ინახავენ. დამეთანხმებით, ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი კაცი არც სამშობლოს დამცველად და არც ახალი საქართველოს მშენებლად გამოდგება.

შრომისუნარიანი ადამიანების ერთი ნაწილი ხანგრძლივ ემიგრაციაში წავიდა. ისეთ მოვლენას, რასაც „ტვინების გადინებას" ეძახიან, ვერც ჩვენი ქვეყანა აცდა. დღეს, ევროპისა და ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიის ნებისმიერ დასახლებულ პუნქტში ჩვენს თანამემამულეს წააწყდები. საქართველო კრიმინალებმაც კი დატოვეს. ის მცირეოდენი წარმოებები და ორგანიზაციები, რომლებიც დღევანდელ პირობებში მუშაობას ახერხებენ, მათ მიერ გადახდილი გადასახადები - ამ და სხვა მრავალ ეკონომიურ პრობლემებს ნაწილობრივადაც ვერ უმკლავდებიან.

XX საუკუნის ყველა ცივილიზებული ქვეყნის პოლიტიკოსების საარჩევნო პროგრამის მთავარი ღერძი ყოველთვის მოსახლეობის დასაქმება იყო. 1000000 სამუშაო ადგილს ალბათ ჯერჯერობით ვერ მოვესწრებით. თუმცა, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, მდგომარეობა არც ისე ცუდია, როგორც ჩვენ გვეჩვენება. მისი მონაცემებით, 83 პროცენტამდე შრომისუნარიანი მოსახლეობა დასაქმებულია. რუსეთის ტელეპროგრამა „უტროს" მიერ საქართველოზე მომზადებულ გადაცემაში მოყვანილი მონაცემებით, უმუშევართა რიცხვი ჩვენში გაცილებით მეტია.

საქართველოში შექმნილია დასაქმების ფონდი (ხელმძ. ე. მელაძე). საგადასახადო კანონით ყველა მომუშავე მოქალაქე ვალდებულია ამ ფონდში ხელფასიდან 1 პროცენტი გადაიხადოს. შესული თანხები თუ რას და როგორ ხმარდება, ჩვენთვის საიდუმლოებით არის მოცული. თუ რა ეფექტი აქვს მათ მუშაობას ამას ადვილად შევამჩნევთ, თუ მეზობელ-ახლობლებში დასაქმებაზე პატარა გამოკითხვას ჩავატარებთ. ოჯახის პატრონები თუ მარტოხელები სასოწარკვეთას მისცემიან სად მოიპოვონ პური არსობისა ან თუ მუშაობენ (მწირ ხელფასზე), ეს სამსახურიც არ დაკარგონ.

**გამოსავალი გზების ძიებაში**

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, საქართველოსთვის და განვითარების ანალოგიური დონის ქვეყნებისათვის უმუშევრობის შემცირების პერსპექტივა (სხვათაშორის, განვითარებულ ქვეყნებში უმუშევრობა 5-7 პროცენტს იშვიათად აღემატება) არცთუ ისე უიმედოა. ბევრმა ინდუსტრიულად განვითარებულმა ქვეყანამ ასეთი მდგომარეობიდან გამოსავალს მიაგნო — მცირე ბიზნესის განვითარებით და მისი გავრცელების ყოველმხრივი ხელშეწყობით.

არც ისე დიდი ხნის წინ, როცა შიდა და გარე ომებმა ბოლო



მოულეს ისედაც მცირერიცხოვან საქალაქო-საზოგადოებრივ ტრანსპორტს და მილიონიანი ქალაქი მეტროს ამარა დარჩა, ეს პრობლემა კერძო ტრანსპორტმა გადაწყვიტა. დღეს ეს საქმე კონკურენციამდეც მივიდა, რაც ფასების დაკლებასაც გამოიწვევს, თუ სახელმწიფო სტრუქტურების ანგარებიანმა ჩარევებმა ხელი არ შეუშალეს!

დასაქმების პრობლემებით კერძო პირები ჩვენშიც დაინტერესდნენ. თბილისში შეიქმნა რამდენიმე დამოუკიდებელი, კერძო დასაქმების სტრუქტურა. თუ რამდენად უჩვეულო იყო საზოგადოებისათვის მომსახურების ეს ფორმა და რამდენ პრობლემას წააწყდნენ ამ საქმიანობის ერთ-ერთ პირველ დამწყებნი, ახალგაზრდული ფონდის „მოსახლეობის დასაქმების ცენტრის" მაგალითზე ჩანს. ამ ფონდმა ფუნქციონირება ორი წლის წინ დაიწყო. ფონდის შექმნის ერთ-ერთი ავტორი ახალგაზრდა კაცი პაატა პატარაია იყო. დღეს იგი ამ ფონდს ხელმძღვანელობს. აი, რა გვიამბო მან: „საქმე ნასესხები 100 დოლარით დავიწყეთ. თავიდან ძალიან გაგვიჭირდა. თბილისში ტოტალური უმუშევრობა იყო. დამკვეთებთან შეხების წერტილის გამოძებნაც კი შეუძლებელი ჩანდა (ადგილი რომ მქონდეს, ჩემიანს დავასაქმებდი — იყო ხშირად პასუხი). დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა. თავიდან სამუშაო ადგილებზე ინფორმაცია გამოვაქვეყნეთ, დამკვეთებს უფასოდ ვემსახურებოდით. ჩვენი პრინციპი იყო ვყოფილიყავით შუამავალი სამუშაოს დამკვეთსა და მაძიებელს შორის.

ჩვენი საქმიანობა ბევრად გაადვილდებოდა, სახელმწიფო დასაქმების სტრუქტურებისგან მორალური და ინფორმაციული მხარდაჭერა რომ გვქონოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ყველა ჩვენი მიმართვა თანამშრომლობის შესახებ გულგრილობის კედელს აწყდებოდა.

ჩვენს საქმეს თავისებურებები ახასიათებს, თუნდაც სეზონურობა სხვადასხვა სპეციალისტების მოთხოვნაზე. ასე მაგალითად, წლის ბოლოს უფრო ხშირად ბუღალტრები და პირადი დაცვა სჭირდებათ, მაისში — ძიძები და მიმტანები და ა. შ. სახელმწიფო სტრუქტურებიდან დაკვეთები ჩვეულებრივ არა გვაქვს.

ჩვენთან მოსული პიროვნება ავსებს ანკეტას. შემოსული მონაცემები ხარისხდება (დაახლოებით 22 სპეციალობის მიხედვით). თუ მაღალპროფესიულ მუშაკზეა ლაპარაკი, მასზე იქმნება დოსიე (მისი შედგენა ფასიანია). ხდება სპეციალისტების გასაუბრება ფსიქოლოგთან. დღევანდელ შემკვეთს შეიძლება სამუშაოს მაძიებლის რელიგიურობა, ჰოროსკოპი, გარეგნობა და სხვა არცთუ მნიშვნელოვანი მომენტიც აინტერესებდეს.

თუ ხელშეკრულება დამკვეთსა და მაძიებელს შორის შედგა, მაშინ დამკვეთი იხდის მოლაპარაკებულ თანხას (დაახლოებით 30-დან 80 ლარამდე), ხოლო მაძიებელი დასაქმების შემთხვევაში 2-6 თვის განმავლობაში თავისი ანაზღაურების 30-40 პროცენტს უხდის ჩვენს ფონდს. ჩვენს მომავალ გეგმებზე თუ ვისაუბრებთ. გვინდა ახალი პროფესიების შემსწავლელი და გადამამზადებელი ცენტრი შევქმნათ. ასევე სურვილი გვაქვს ჩვენი ინფორმაციული გაზეთი გამოვუშვათ. ფონდის კოლექტივი ახალგაზრდულია და საქმის კეთებაში მათი დიდი ენთუზიაზმი გვეხმარება".

4 აპრილს ახალგაზრდულ ფონდს 2 წელი უსრულდება. ჩვენი რედაქციის სახელით ვულოცავ მათ და წარმატებებს ვუსურვებ.

და კიდევ, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე სისტემატურად გამოვაქვეყნებთ მათ მიერ მოწოდებულ ახალ სამუშაო ვაკანსიებს.

**P.S.** პატივცემულო მკითხველო, საარსებო შემოსავლის მიღების ყველაზე კარგი საშუალება ყოველდღიური გარანტირებული სამსახურია. თუკი ცხოვრებისათვის სამყოფს გიხდიან და სამუშაოც სულიერად გაკმაყოფილებს, ამას ხომ არაფერი სჯობია. ცუდი ის არის, რომ დღეს ასეთ სამსახურთა რაოდენობა მეტად ცოტაა. იმისათვის, რათა საკუთარი შემოსავალი გქონდეს და საარსებო წყაროთი მთლიანად სხვაზე არ იყო დამოკიდებული, არსებობს ნაცადი გამოსავალი: მცირე ბიზნესი და ინდივიდუალური შემოსავლის მრავალი საშუალება, ამის მაგალითად მაღლა მოყვანილი წამოწყებაც გამოდგება: ამ თემას ჩვენ მომავალ სტატიებშიც შევეხებით: თქვენც გაგვიზიარეთ საკუთარი გამოცდილება, საინტერესო მოსაზრებებს დავბეჭდავთ.

**კობა ბრეგვაძე**

# თამარ ჩხეიძე:

## ხელისუფლებას ძალზე გამოკვეთილი კურსი აქვს, მაგრამ სამწუხაროდ, საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან არ გამომდინარეობს

მე-3 გვერდიდან



ერთადერთი მწვავე საკითხი, რომლამდეც დადის ჩვენი ქვეყნის ყველა სხვა პრობლემა (აფხაზეთი, სამაჩაბლო, ეკონომიკა) — ხელისუფლებაა. ყველა საკითხს ეროვნული ხელისუფლება უნდა წყვეტდეს.

**— ე. წ. „თურქი-მესხების" საქართველოში ჩამოსახლების შესახებ დიდი აჟიოტაჟია ატეხილი. თქვენი თვალთახედვით, როგორი უნდა იყოს ხელისუფლების კურსი ამ მიმართებით?**

— „თურქ-მესხებზე" საუბარიც კი კგბ-ს დაგეგმილ პოლიტიკასთან აყოლას ნიშნავს. ეს პანიკა სწორედ უშიშროების კომიტეტის მიერ იქმნებოდა, დღეს მიმაჩნია, რომ ხალხის შეგნება არასწორი პროპაგანდის შედეგად ძალიან შეიცვალა. ჯერ კიდევ „პერესტროიკამდელი" დისიდენტური მოძრაობა საქართველოში სწორ პოზიციებზე იდგა და ამ ხალხის ეტაპობრივად, თანდათანობით ჩამოსახლების საკითხს მხარს უჭერდა, კომუნისტური ხელისუფლება და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი ქართველებისგან ამ ხალხის გაუცხოების, ხოლო მათგან ქართველების გაუცხოების პოლიტიკას ატარებდა. ამიტომ უნდა გავიხსენოთ, და სხვასაც გავახსენოთ, ვინ არის ეს ხალხი. არასწორია ასეულათასობით ხალხის ჩამოსახლებაზე საუბარი. მსგავსი რამ საერთაშორისო პრაქტიკაში არ არის მიღებული და არც ჩვენს ქვეყანას მოსთხოვს ვინმე ამას. მათი ჩამოსახლება ეტაპობრივად, თანდათანობით უნდა მოხდეს, მათთვის თვით ადგილების შერჩევაც კი ჩვენზეა დამოკიდებული.

ეს პროცესი სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით უნდა მოხდეს და უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება თავი დავიზღვიოთ პროვოკაციებისაგან.

**— ჭოროხზე უზარმაზარი კაშხალის მოსალოდნელმა მშენებლობამ საზოგადოება შეაშფოთა. მწვანეთა პარტიამ კი მოსალოდნელი ეკოლოგიური ზიანის გათვალისწინებით საპროტესტო გამოსვლაც მოაწყო. ბუნებრივია, ყველა ქართველს აღელვებს ეს პრობლემა, რადგან პლიაჟი ბათუმიდან გურიაში გადმოინაცვლებს.**

— დეტალური ინფორმაცია ამ საკითხის შესახებ არ მაქვს, საქმეს ღრმად არ ვიცნობ, მაგრამ ერთი რამ შემიძლია მაინც გითხრათ, დიდი ჰესების მშენებლობის წინააღმდეგი ვარ. მიგვაჩნია, რომ მცირე ჰესები არის ყველაზე საუკეთესო გამოსავალი ენერგეტიკული პრობლემის გადაჭრისა მინიმალური ეკოლოგიური ზიანის მიღების პირობებში.

**— ამბობენ, რომ აჭარასთან ურთიერთობის გამწვავებას ხელოვნურად ცდილობენ გარკვეული ძალები. მათ მიზანმიმართულ ქმედებას რა შედეგების წინაშე შეუძლია დაგვაყენოს?**

— აჭარასთან ურთიერთობაში წყლის ამღვრევის მცდელობა რომ მიმდინარეობს, ეს სიახლეს არავისთვის არ უნდა წარმოადგენდეს. სიტუაციის გამწვავება მართლაც ხელოვნურად ხდება. ორმხრივი პროვოკაციის გზით მიმდინარეობს საქართველოს დაქუცმაცების მცდელობა, ამ მხრივ აქტიურობა არც ჩვენს ხელისუფლებას აკლია, არც აჭარისას, მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო მეტი მოეთხოვება ცენტრალურ ხელისუფლებას.

ორივე მხარეს მართავს ის ძალები, რომელთაც რუსეთში ერთი პატრონი ჰყავს, ზოგ შემთხვევაში მათი დაპირისპირების მიუხედავად, მაინც ერთ პოლიტიკას ატარებენ, რადგან ერთი პატრონი ჰყავთ, ეს პოლიტიკა კი, როგორც გითხარით, საქართველოს რეგიონების ურთიერთგაუცხოვება გახლავთ.

ამ ბოლო დროს ხშირად გაისმის ტელევიზიიდან თბილისი-ბათუმი, თითქოს ამ ორ ქალაქს შორის რაღაც დაპირისპირება იყოს. ამ უცნაური ტერმინოლოგიის დამკვიდრება დაუშვებელია. მე დარწმუნებული ვარ, რომ შორს არ არის ის დრო, როცა რუსეთს არა მარტო საქართველოდან მოუწევს წასვლა, არამედ საერთოდ კავკასიიდანაც, მაგრამ ეს დღეს და ხვალ არ იქნება...

ამიტომ, იმის თქმა, რომ აჭარის დაკარგვა მოსალოდნელი არ არის-მეთქი, დანამდვილებით არ შემიძლია. არ ვიცი, რა დრო აქვს დარჩენილი რუსეთის საქართველოში ბატონობას და აქედან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებას რის მოსწრება შეუძლია აჭარის დასაკარგად. ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ დიდხანს გაგრძელდეს ასე, თორემ იგი შეუქცევადი პროცესი გახდება ჩვენი ქვეყნის დაშლისა და დაქუცმაცებისა.

**— 31 მარტი რეფერენდუმის და ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა. რას ნიშნავს ეს თქვენთვის?**

— ვერ ვიტყვი, 31 მარტი რამე ღირსშესანიშნავი თარიღია-მეთქი ჩემთვის. ჩვენ თავისუფლება ამ დღეს არ მოვიპოვეთ, რეფერენდუმი დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, თუმცა არ უარვყოფ, რაღაც ეტაპი თავისუფლების დაბრუნებისთვის ნამდვილად იყო. რაც შეეხება ზვიად გამსახურდიას, მე მისი თაყვანისმცემელი არასოდეს ვყოფილვარ და არც მის დაბადების დღეებს ვზეიმობ.

**მანანა ლოზჯანიძე**

# ქართლოს ღარიბაშვილი: პრეზიდენტთან შეხვედრა შეუძლებელი არაა, მაგრამ არარეალურად მეჩვენება

სუფსის ტერმინალის მშენებლობამ გურიაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ამ უკანასკნელს კი მესაკუთრეებზე მიწის ჩამორთმევა მოჰყვა, რომელმაც, როგორც გურიაში იტყვიან, დიდი „ფორიაქობა" გამოიწვია.

მოკლედ, ყველაფერი იქედან დაიწყო, რომ მიწის მესაკუთრეებს ფაქტიურად ჩამოართვეს მიწის ნაკვეთები, სადაც დღესდღეობით სუფსის ნავთობგადამტვირთავი ტერმინალის მშენებლობა მიმდინარეობს. სანაცვლოდ ლარი და სამოცი თეთრი „მიუგდეს" ხალხს, რამაც ბუნებრივია დიდი აღელვება გამოიწვია, ხოლო რისთვის გასცეს ეს თანხები, ამას თვით გამცემი ვერ გიპასუხებთ, რადგან ხან ე. წ. მიწის განაცდურს უწოდებენ, ხანაც ახალი ფართობების ათვისებისთვის გაცემულ კომპენსაციას. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ხალხმა ამ სასაცილო თანხის ნაცვლად სამუდამოდ დაჰკარგა საკუთრების უფლება ისეთ არსებობისათვის საჭირო ნივთზე, როგორიც მიწაა.



გურულებმა არც აციეს — არც აცხელეს და თვით პრეზიდენტთან მისვლაც კი გადაწყვიტეს. მაგრამ სახელმწიფო კანცელარიის მისაღები მათთვის „რუბიკონის ზღვარად" იქცა. დაბრუნებულებმა საპროტესტო აქციებს მიმართეს. აღსანიშნავია ისიც, რომ მათ მიერ ჩატარებულ ე. წ. „კრებებს" ნიღბიანი პოლიციელები უფრო მეტი ესწრებოდა, ვიდრე თვით აქციის მონაწილენი. ეტყობა ამ საკითხის მოსაგვარებლად მთავრობამ ჩვეული მეთოდის გამოყენება ამჯობინა, ვიდრე ამ ხალხის დამშვიდება.

თუმცა სხვათაშორის ისიც აღსანიშნავია, რომ მიწაჩამორთმეულმა გურულებმა სიმართლის გასარკვევად ლანჩხუთის სასამართლოსაც მიმართეს. ამ უკანასკნელის მიერ არ იქნა მესაკუთრეთა მოთხოვნა დაკმაყოფილებული. ამის შემდეგ კი ისევ პრეზიდენტთან მისვლა გადაწყვიტეს. მათი ინტერესების დამცველ ადვოკატს ქართლოს ღარიბაშვილს პრეზიდენტთან შეხვედრა შეუძლებლად არ მიაჩნია, მაგრამ არარეალურად წარმოუდგენია.

ჩვენ კი გადავწყვიტეთ რამდენიმე შეკითხვით მიგვემართა ბატონ ქართლოსისათვის.

**— ბატონო ქართლოს, რა მდგომარეობაა დღესდღეობით სუფსაში და რას გვეტყვით უკვე დასრულებულ სასამართლო პროცესთან დაკავშირებით?**

— ჩვენ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სასარჩელო განცხადებით მივმართეთ ლანჩხუთის რაიონის სასამართლოს. ჯერ მიწების დაბრუნება მოვითხოვეთ, შემდეგ კი მოთხოვნა შევცვალეთ და შემდეგნაირად დავსვით საკითხი, ან მიწები დააბრუნეთ ან კიდევ შესაბამისი თანხა მოგვეცითო. საკითხის ასეთნაირად დაყენება, ამ მშენებლობის სახელმწიფოებრივმა ინტერესებმა განაპირობა.

ლანჩხუთის სასამართლომ 1998 წლის 23 მარტს, ჩვენს დაუსწრებლად გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც არ იქნა არ დააკმაყოფილა ჩვენი მოთხოვნა. ეტყობა მოსამართლე მაგული კუნჭულია თავიდანვე იყო დაინტერესებული ამ საქმით, რომელსაც იგი პროცესის დროსაც ამჟღავნებდა. საკმარისია იმის დასახელებაც, რომ მან სასამართლო ჩვენს გარეშე ჩაატარა, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა, რადგან ეს კერძო სამართლის საქმეა და მოსარჩლეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ სარჩელის გამოთხოვა, მაგრამ მოგეხსენებათ, რომ დანიშნული მოსამართლეები გარკვეულ ზეწოლას განიცდიან ხელისუფლების მხრიდან.

**— მოპასუხედ ვინ იყო წარმოდგენილი?**

— ჩვენ სასარჩელო განცხადებაში მოპასუხედ დავასახელეთ საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია, რომელიც კერძო სტრუქტურას წარმოადგენს. მოსამართლემ, ქალბატონმა კუნჭულიამ მოპასუხეთა რიცხვი გაზარდა და მასში სახელმწიფო ორგანიზაციებიც ჩართო. თითქოს ჩვენ ყველას ვებრძოდით. ყოველ შემთხვევაში მას აქ ისეთი შთაბეჭდილების შექმნა სურდა, მაგრამ ჩვენ სახელმწიფოსთან არაფერი გვესაქმება.

**— ბატონო ქართლოს, თქვენ როგორც იურისტი რას გვეტყვით, ჩამოთრმევის როგორი ფორმა იყო გამოყენებული, კონფისკაცია თუ რეკვიზიცია?**

— ვერ გეტყვით, როგორი ფორმაც არ უნდა იყოს გამოყენებული, მას კანონის დაცვით განხორციელება სჭირდება, რაც აქ არ შეიმჩნევა.

**— პირველი ინსტანციით საქმე ადგილობრივმა სასამართლომ განიხილა და არ დააკმაყოფილა მესაკუთრეთა მოთხოვნა. რას აპირებთ სამომავლოდ?**

— ალბათ ეხლა საკასაციო წესით უზენაეს სასამართლოს მივმართავთ. მაგრამ არა მგონია უზენაესმა სასამართლომ „ულალატოს" მაგული კუნჭულიას. მაგრამ ჩვენ ბოლომდე ვეცდებით სიმართლე დავადასტუროთ. თუ სასამართლო არ დაადგენს სიმართლეს, ბოლოსდაბოლოს ხალხია, მასმედიაა და ისინი ალბათ მოჰფენენ ყველაფერს ნათელს. ბოლოს კი ალბათ საერთაშორისო სასამართლოსაც მივმართავთ. საერთოდ ბევრია ისეთი საქმე, რომელიც წლების განმავლობაში გრძელდება. ბოლოს კი გამარჯვების იმედი ნამდვილად მაქვს.

რაც შეეხება სასამართლოზე გავლენის მოხდენას, ამას ვიყენებდი, ვიყენებ და გამოვიყენებ კიდეც, რადგან ეს ადვოკატის კომპეტენციებში ჯდება. ამათ კი ჰგონიათ, ადვოკატი ფეხებში უნდა ჩაუვარდეს მოსამართლეს, სთხოვოს, შენი ჭირიმე, ქრთამს მოგცემ და საქმე ჩემს სასარგებლოდ გადაწყვიტეო. ეს მცდარი შეხედულებაა.

**ესაუბრა კობა კაპანაძე**

# ვახტანგ ბოჭორიშვილი: არა მგონია, შევარდნაძე უფრო დიდი პატივისცემით ეპყრობოდეს რუსეთს, ვიდრე მე

მე-2 გვერდიდან

**— „ზვიადისტებს" ადანაშაულებენ, 9 თებერვლის ტერორისტული აქტის მოწყობასა და მონაწილეობაში...**

— ის ვინც იარაღს აიღებს, ზვიადისტი აღარ არის, ზვიადიზმი გმობს ტერორიზმს, როგორც რაიმე პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებას. გაიხსენეთ რას ამბობდა ბატონი ზვიადი სამოქალაქო ომის დროს: „ვესროლოთ ყვავილებიო." თუმცა აღვნიშნავ, რომ შეიძლება ეს სიტყვები, პოლიტიკოსისაგან ნათქვამი, კარგად ჟღერს, მაგრამ სახელმწიფო მოღვაწემ უნდა დაიცვას სახელმწიფო და დაიცვას სწორედ ტერორიზმისაგან.



**— ხელისუფლების მხრიდან დაწყებულ შემორიგების პროცესს როგორ უყურებთ?**

— დღეს ქვეყნის გადარჩენის არავითარი სხვა გზა არ არსებობს, გარდა შერიგებისა, ამას მოქ. კავშირი თუ კომპარტია ძალიან კარგად ხვდება. მაგრამ ეს არ მოხდება მანამ, სანამ პრეზიდენტი შევარდნაძე არ გამოსცემს ბრძანებულებას, რომელშიც 1991-92 წლების მოვლენებს შეაფასებს, როგორც სამხედრო გადატრიალებას. ჯიხაშკარის ამბავმა, რომელიც არ მიმაჩნია ტერორისტულ აქტად, შეუძლებელი შეძლო. მან ერთ მაგიდას მიუსხა ხალხი, რომლებიც ერთმანეთს თვალისდასანახავად ვერ იტანდნენ. მაგრამ გვაგრძნობინა ყველას, რომ უამისოდ საქართველოს ხვალინდელი დღე არ არსებობს. უნდა შეიქმნას ერთობლივი ორგანო პარიტეტულ საწყისებზე 50X50. ნახევარი ძველი ხელისუფლების უნდა იყოს, ნახევარი ახლის (მმართველი პარტია პლიუს დღევანდელ საპარლამენტო ოპოზიცია და არასაპარლამენტო ოპოზიცია.)

**— თქვენ ცნობთ თუ არა 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებს და მიიღებთ თუ არა მასში მონაწილეობას?**

— რა თქმა უნდა მივიღებთ მონაწილეობას, თუ შევარდნაძე შესაბამის დადგენილებას გამოსცემს. ამავე აზრზეა კუკურიშვილის ფრთაც, რომელიც ხუთი წლის შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არჩევნები აუცილებელია. ქალები რომ აცემინო ხელკეტებით, ამით არაფერი გამოვა.

**— თქვენმა მესამე ფრთამ ოთხშაბათს გამართულ საინფორმაციო მიტინგზე უამრავი ხალხი დაასახელა „კგბ"-ს აგენტებად, მათ შორის მუხრან მაჭავარიანი, გურამ პეტრიაშვილი და სხვები... როგორ ფიქრობთ, ასეთი გამოსვლები ხელს შეუწყობს შერიგების პროცესს?**

— იცით, ჩვენ ერთმანეთს მივეცით პირობა, რომ არ ვეკამათოთ ქალბატონ მანანა არჩვაძეს. მასთან კამათში ჩვენ ვერ ვხედავთ ვერანაირ პერსპექტივას. ჩვენ მას ვაფასებთ როგორც ბატონი ზვიადის მეუღლეს, თუმცა, გოგი ხოშტარიას გამოთქმას მოვიშველიებ: „პოლიტიკური თანამდებობა მეუღლე არ არსებობს." ვინც მუხრან მაჭავარიანს აგენტს დაარქმევს, მას თვითონ ვერა აქვს საქმე კარგად.

იცით, როდესაც ამბობენ ილიას, გულისხმობენ ილია ჭავჭავაძეს და არა ილია II-ს, როცა ამბობენ აკაკის, აკაკი წერეთელი იგულისხმება და არა აკაკი ასათიანი. ასევე როდესაც ამბობენ, მუხრანს, მუხრან მაჭავარიანი ჰყავთ მხედველობაში...

**— უკანასკნელ პერიოდში შეიმჩნევა ტენდენცია, რომ ედუარდ შევარდნაძე და მისი გუნდი (ვგულისხმობ მოქ. კავშირს) განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობიან ზვიად გამსახურდიას სახელს...**

— უბრალო მიზეზის გამო, ეგ სხვებზე ჭკვიანია... მიუხედავად იმისა, რომ არ შემიძლია მას გამსახურდიას დიდ სიყვარულში დავდო ბრალი, მაგრამ ხედავს და აფასებს სწორედ. რაც პატარა იმედს გვიტოვებს იმისა, რომ ბოლოს და ბოლოს მივლენ იმ დასკვნამდე, რომ არავითარი სხვა გზა, გარდა ზემოთ თქმულისა, არ არსებობს ერის მთლიანობის აღსადგენად. ერის გამთლიანებისა კი ჩვენს მტრებს, განსაკუთრებით რუსეთს, ეშინია.

**— უკაცრავად, მაგრამ, მახსოვს, როცა „ზვიადისტები" შევარდნაძეს რუსეთის კაცად მოიხსენიებდნენ, თუ შევარდნაძე რუსეთის კაცია, მაშინ ერის გამთლიანება სულაც არ უნდა აწყობდეს?!**

— გასაკვირი არ არის, რომ ბატონი ედუარდი რუსეთს დიდი პატივისცემით ეპყრობოდეს, თუმცა, არა მგონია, ჩემზე მეტი პატივისცემით... რაც მე რუსეთში ვყოფილვარ, მაგან კიდევ რომ იაროს, იმდენი ძაიხც ვერ იქნება. 24 წელინადი გავატარე უკრაინასა და რუსეთში, თუკი კარგი რამ მახსოვს, რუსეთთან არის დაკავშირებული... ბატონ ედუარდს ბევრი თოკები აკავშირებს რუსეთთან, და იმ შიშით, რომ საქართველოს არაფერი დაუშავდეს, თავს იკავებს რუსეთთან ურთიერობის გამწვავებისაგან, მაგრამ ამ ბოლო დროს ვხედავთ მის მიდრეკილებას დასავლეთისაკენ... და კიდევ ერთი, არ შეიძლება ადამიანი თავის სიცოცხლეზე არ ფიქრობდეს, ისიც ხედავს, რომ სანამ ერი არ გამთლიანდება, მისი სიცოცხლე ყოველთვის საფრთხეში იქნება...

**— და ბოლოს, როგორ აპირებს კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება ზვიად გამსახურდიას დაბადების დღის აღნიშვნას?**

— ეს რთული საკითხია... ჩვენ მივალთ ფილარმონიასთან, მიუხედავად იმისა, რომ მოღალატეებს გვეძახიან.

**— გმადლობთ!**

**სააგენტო „თბილისი" სპეციალურად „საქართველოსათვის"**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დისკუსია

# არის თუ არა ჩვენთან აზრის თავისუფლება?



ჩვენს საზოგადოებაში დემოკრატიის დამკვიდრებამ, თუ დემოკრატიის დამკვიდრების მცდელობამ, ყოველ ადამიანს მისცა უფლება გარკვეულ საკითხზე იქონიოს საკუთარი, დამოუკიდებელი, თუნდაც სხვისგან სრულიად განსხვავებული შეხედულება, მაგრამ იგივე „დემოკრატია" საკუთარი შეხედულების ქონასთან ერთად სხვათა შეხედულებებისადმი პატივისცემით მოპყრობასაც რომ გვავალდებულებს, ამას ბევრი არად დაგიდევთ. სამწუხაროა, რომ ბევრს ჩვენში ეგოისტური „მეს" წარმოჩენის პროცესი უფრო იზიდავს და მოვლენათა ღრმა ანალიზის სანაცვლოდ, ერთმანეთის მიმართ ბრალდებების მიყენებითა და ლანძღვა-გინებით ცდილობს საზოგადოების თვალში ქულების მოპოვებას (დასტურად, ჩვენი პარლამენტის სხდომებიც გამოგვადგება.)

საკუთარი „აბდა-უბდა გაძასკუპდას" მსგავსი ამბების თხრობა, იქნებ სულაც არ არის დაკავშირებული პოლიტიკასთან, ბიზნესთან თუ სხვა სერიოზულ საქმიანობასთან და მოკლებულია თავის შედეგობრივ მნიშვნელობას. თუ გადავავლებთ თვალს დღევანდელ პრესას, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ რესპოდენტთა ხანილი იძღეხად არც ფიქრობს იმაზე, თუ რა სერიოზული შედეგი მოჰყვება მის სიტყვას, რამდენადაც სურვილი აქვთ, მათი უცნობი გვარ-სახელები ქვეყანას მოეფინოს.

კომპეტენტური პირები კი, ვისაც მართლაც შეუძლიათ მოვლენებს გარკვეული ანალიზი გაუკეთონ, ხშირად დუმილს ამჯობინებენ, მაშინაც კი, როდესაც ვიღაცის მიერ უპასუხისმგებლოდ წამოსროლილი ფრაზა გარკვეულ დასაყრდენს პოულობს საზოგადოებრივ აზროვნებაში და საზოგადოებას მახინჯ წარმოდგენებს უქმნის, რაც უმეტეს შემთხვევაში უარყოფით, ზოგჯერ კი დამღუპველ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების გამოთქმა ვთხოვეთ ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორს, ბატონ **თამაზ ბუაჩიძეს** და ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორს, ბატონ **ედუარდ კოდუას**:

**— როგორ მიგაჩნიათ, არის თუ არა საქართველოში აზრის თავისუფლება და სწორად ესმის თუ არა ჩვენს საზოგადოებას ამ უფლების შინაარსი?**

(**თ. ბუაჩიძე**): — მე გამახსენდა დიდებული გალაკტიონის მშვენიერი სიტყვები: „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა ვით დაჭრილ ირმების გუნდს — წყარო ანკარა." ჩვენ საბჭოთა ქვეყნის შვილებს, თავისუფლება მოგვენატრა — თავისუფლება ცენზურისაგან მოსკოვის დიქტატისაგან, ტირანიისაგან, ერთადერთ „მეცნიერული" იდეოლოგიისაგან — მარქსიზმ-ლენინიზმისაგან. გარდა ამისა — ეს არის თავისუფლება შემოქმედებისათვის.

თქვენ გაინტერესებთ, არის თუ არა ჩვენთან აზრის თავისუფლება? უკვე ის ფაქტი, რომ საქართველოში გამოდის სხვადასხვა, სრულიად განსხვავებული აზრის და შეხედულების გაზეთი, რომ ჩვენთან არსებობენ სხვადასხვა პარტიები, ჩვენთან იყიდება ადრე აკრძალული ფილოსოფიური და საზოგადო მოღვაწეთა შრომები, აშკარად ცხადყოფენ ჩვენი საზოგადოების სწორ გზას. მაგრამ ამ გზაზე, ცხადია, ბევრი რამ უარსაყოფია. მე მსურს ვთქვა, რომ თავისუფლება ხშირად მცდარად არის გაგებული. გაზეთების რედაქტორები ყველაფერს როდი უნდა აქვეყნებდნენ. ზოგიერთი წერილის ავტორი შეურაცხყოფს თავისი განხილვის ობიექტის ღირსებას, ცხვირს ყოფს პიროვნების კერძო ცხოვრებაში. ამჟღავნებს არაკომპეტენტურობას, თავის სუბიექტურობას. რედაქტორმა არ უნდა დაბეჭდოს ასეთი წერილები. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თავისუფლება არ არის თვითნებობა. თუ თვითნებობა ჩვენი კაპრიზია, ცვალებადი აფექტია, გრძნობის მორჩილებაა. თავისუფლება გულისხმობს აგრეთვე გონიერებას, ზნეობის პრინციპებისა და კანონიერების დაცვას.

(**ედ. კოდუა**): — ჩვენ დიქტატურიდან გამოსული ხალხი ვართ და რაც არის, ესეც დიდი სიკეთეა ჩვენთვის.

იდეოლოგია არა აქვს ჩვენს სახელმწიფოს, ამიტომ იდეოლოგიური შეზღუდვები არ არსებობს. არსებობს პოლიტიკური სიტუაციით განსაზღვრული შეზღუდვები. არ ვამბობთ იმას, რასაც ვფიქრობთ. ვივიწყებთ ფაქტებს, რომელიც ცუდად მოქმედებს ჩვენს ვითარებაზე, თუნდაც ერებს შორის დამოკიდებულების საკითხში. ფიქრობენ, რომ ჩვენ ნაციონალისტურ გამოხტომებს ვაკეთებთ. არსებობს ე. წ. რუსოფობია, არმენოფობია. რუსებთან დაკავშირებით რასაც იტყვი, შეგიმცირებენ. სომხებთან დაკავშირებით რასაც იტყვი, კარგად გააშალაშინებენ და ისე გამოგიქვეყნებენ. რაც მთავარია, ფაქტებს სულ თუ არა, უმეტესობას ამოიღებენ. მე კი არა, ამ საკითხში ილიასაც არ მოერიდნენ. მაგ „ქვათა ღაღადს" უწინ ერქვა — „სომეხი ისტორიკოსები და ქვათა ღაღადი". ჩვენმა „საზოგადო მოღვაწეებმა" წინ „სომეხი ისტორიკოსები ჩამოაცალეს" წინადადებას და დატოვეს „ქვათა ღაღადი". „ქვათა ღაღადი" რუსმა ვაიმეცნიერმა დაწერა სომხების დასაცავად ქართველების წინააღმდეგ. როგორ შეიძლება, ილიას საპირისპირო წერილსაც იგივე სათაური ჰქონდეს!

ზემოაღნიშნული ფაქტები მით უფრო სამწუხაროა, როდესაც სხვები რასაც უნდათ, იმას წერენ ჩვენზე და ჩვენგან მოპასუხე არავინაა.

**— ამ შემთხვევაში პიროვნებამ, (ვთქვათ, რედაქტორმა), ალბათ შიში უკან უნდა ჩამოიტოვოს და ზნეობრივი კანონებით იხელმძღვანელოს. რა სარგებლობა მოაქვს ადამიანისათვის ზნეობრივი კანონების დაცვას?**

(**თ. ბუაჩიძე**): ზნეობრივი კანონების დაცვას არავითარი პრაგმატული სარგებლობა არ მოაქვს. ხშირად ის ეწინააღმდეგება კიდეც ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობას. ბუნებრივი მდგომარეობა, ხშირად მეორე ადამიანის მოსპობას მოითხოვს, მაგრამ ზნეობა მიკრძალავს ამ ქმედებას. ერთადერთი გამართლება ზნეობრიობის ისაა, რომ მის გარეშე ადამიანი არ განსხვავდება არც ნანგისაგან და არც ვირთხისაგან, ზნეობრივი ყოფიერება ადამიანის სპეციფიკური ნიშანია. თუ ფართოდ ვილაპარაკებთ, უნდა ვთქვათ, რომ ადამიანი მხოლოდ მაშინაა ჭეშმარიტად ადამიანი, როცა ზნეობრივ კანონს იცავს. მხოლოდ ამ გარკვეული აზრითაა ზნეობრიობა სასარგებლო. რუსთაველმა გენიალურად თქვა: „რაც არა გწადდეს იგი ჰქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა."

(**ედუარდ კოდუა**): გააჩნია, ზნეობრივ კანონებს რომელი განზომილებიდან შევხედავთ. როდესაც სახელმწიფო და საზოგადოება ჩამოყალიბდება, ხდება შემუშავება გარკვეული კანონების, რომელთაც გარკვეული ღირებულება გააჩნიათ. ამ კანონებს უნდა შეესაბამებოდეს ადამიანთა ქმედება, თუ ადამიანები არღვევენ ამ კანონებს, მაშინ საზოგადოების მშვიდობიან თანაცხოვრებასაც საფრთხე ემუქრება. რასაკვირველია, თუ კანონები საზოგადოებისათვის თავსმოხვეული არ არის და საზოგადოების მიერ მოწონებულია.

**— ბევრი „ავტორიტეტი დემოკრატი", მაგალითად, ბატონი ლევან ბერძენიშვილი გამოვიდა „რუსთავი-2"-ზე, გადაცემა „ფსიქოში". უკვე ხმამაღლა ლაპარაკობს, რომ ერთის ნაცვლად შესაძლებელია რამდენიმე ჭეშმარიტება არსებობდეს. ჩვენ კი უნდა შევეგუოთ ამ თანაარსებობას. თქვენ რას ფიქრობთ?**

**ედ. კოდუა**: აბსოლუტურ ჭეშმარიტებად მიჩნეულია აზრი, რომელიც ამოწურავს სინამდვილეს. ასეთი ჭეშმარიტება იდეალურია და რეალობაში არ არსებობს. მორწმუნეები თვლიან, რომ ასეთი ჭეშმარიტება ღმერთთანაა (მე ათეისტი ვარ). მაგ: დღეს არსებულ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ შეუ-

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

# რას იტყობინება რადიო „თავისუფლება"

ჩვენმა მსმენელებმა იციან, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებს არასამთავრობო ორგანიზაცია სახელწოდებით — „ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტი", რომლის მიზანი სახელწოდებაში მინიშნებულის გარდა, გახლავთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში პრესის თავისუფლების ხელშეწყობა. ვაშინგტონის ორგანიზაციის მესვეურებმა ახლახან გამოაქვეყნეს თავიანთი ყოველწლიური ანგარიში.

ანგარიშის თანახმად, 1997 წელს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში, პრესა ყველაზე მეტ ზეწოლას განიცდიდა აზერბაიჯანში, ბელორუსიაში, ბოსნიაში, თურქმენეთში, იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სომხეთში, ტაჯიკეთში, უზბეკეთში, ყაზახეთსა და ხორვატიაში. ათივე ჩამოთვლილ ქვეყანაში, — ამტკიცებენ ანგარიშის ავტორები, — მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე დაწესებულია ცენზურა ან მოქმედებს პრესის თავისუფლების შემზღუდველი კანონმდებლობა. უფრო მეტიც, ზოგიერთ ქვეყანაში სისტემატურად მიმართავენ ჟურნალისტთა დევნას, იქნება ეს ოფიციალურად სანქცირებული დაპატიმრება, ცემა, ხანმოკლე დაპატიმრება, სხვადასხვა სახის თავდასხმა თუ ფინანსური ზეწოლა. ანგარიშის შემდგენლები ყველაზე მწვავედ აკრიტიკებენ ბელარუსს. 1997 წელს ლუკაშენკომ პრესის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ბრძოლა გააჩაღაო, — ვკითხულობთ ანგარიშში. იქვე ნათქვამია, რომ პრესის თავისუფლების თვალსაზრისით ბელარუსში დღეს უარესი ვითარებაა, ვიდრე საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში იყო. კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა ჩვენს მეზობელ ქვეყნებსაც — სომხეთსა და აზერბაიჯანს. სომხეთს, უწინარესად იმიტომ, რომ იქ დღესაც მოქმედებს საბჭოთა პერიოდში მიღებული პრესის კანონი, ხოლო აზერბაიჯანს ხელისუფლების მიერ შემოღებული უმკაცრესი ცენზურისათვის, მაგრამ ცხადია, ჩვენ ყველაზე მეტად საქართველო გვაინტერესებს.

ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტი ჩვენი ქვეყნის მისამართით ძირითადად დადებით შეფასებას იძლევა. საქართველო, რუმინეთთან და ბულგარეთთან ერთად, იმ ქვეყნებს შორის არის მოხსენიებული, სადაც 1997 წლის მანძილზე არაერთი სასიკეთო ცვლილება მოხდა. ამის ყველაზე მნიშვნელოვან დასტურად დოკუმენტის შემდგენლები დამოუკიდებელი ტელეკომპანიის „რუსთავი-2"-ის მაგალითს ასახელებენ.

არა გვგონია, ჩვენს მსმენელებს იმის შეხსენება სჭირდებოდეთ, რომ 1996 წლის ივლისში „რუსთავი-2" კავშირგაბმულობის სამინისტრომ მაუწყებლობის ლიცენზია ჩამოართვა, რასაც მოჰყვა ტელეკომპანიის პროტესტი და რამდენიმე უშედეგო სასამართლო განხილვა. საბოლოოდ იმავე წლის ნოემბერში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ტელეკომპანიისათვის ლიცენზიის ჩამორთმევა უკანონო იყო და 1997 წლის 28 აპრილს „რუსთავი-2"-მა მაუწყებლობა განაახლა.

სხვა სასიკეთო ტენდენციებს შორის ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის ანგარიშში უშიშროების მინისტრის, შოთა კვირაიას გადაყენებაც მიიჩნევა. მინისტრისა, რომელმაც ჟურნალისტთა ფარული საუბრების მოსმენის განკარგულება გასცა. საქართველოში მოქმედი პრესის კანონის ნაკლად მიჩნეულია ის, რომ სახელმწიფო მედია მთავრობის მკაცრ კონტროლს ექვემდებარება და ის, რომ ტელევიზიისა და რადიოს, აგრეთვე, საგამომცემლო კორპორაცია „საქინფორმის" ხელმძღვანელებს პარლამენტი და პრეზიდენტი ამტკიცებენ.

აქვე გაგაცნობთ რამდენიმე შემაშფოთებელ ციფრს ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის ანგარიშიდან: 1997 წლის მანძილზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოკლულ იქნა 26 ჟურნალისტი, ასობით ჩვენი კოლეგა აწამეს, დააპატიმრეს ან დააკავეს, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ საკუთარ მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებდნენ. წლის ბოლოს კი ციხეებში იჯდა, სულ ცოტა, 129 ჟურნალისტი.

# როდის დადგინდება «მართალი სამართალი»

სამწუხაროა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს არათუ საქმიანობა, არამედ მისი არსებობაც კი არ იცის ზოგიერთმა ჩვენმა მოქალაქემ.

ახალგაზრდობას, რომელმაც დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს შენების მძიმე ტვირთი უნდა იტვირთოს და კონსტიტუციური პრინციპების დაცვის გარანტი უნდა იყოს მომავალში, აუცილებლად სჭირდება სამართლებრივი ცოდნის გაღრმავება, კანონის უზენაესობის გაცნობიერებაში ხელის შეწყობა და დარწმუნება, რომ კონსტიტუციის გაორგანულება, მისი პრინციპების ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენება, ალიარებული უფლებებისა და თავისუფლების დაცვა საწინდარია სამართლებრივი სახელმწიფოს შენებისა. ის, რომ ყველა თანასწორი უნდა იყოს კანონის წინაშე, პრეზიდენტი თუ რიგითი მოქალაქე, ალბათ, სწორედ ამ მიზანს ემსახურება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ხელმძღვანელობით გამართული სახელმწიფო სამართლებრივი ოლიმპიადა „ადამიანი და კონსტიტუცია", რომლის საორგანიზაციო კომიტეტს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე მაია კოპალეიშვილი ხელმძღვანელობს, სადაც იმიტირებულ სასამართლო პროცესებში მონაწილეობას იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები ღებულობენ (მოსამართლის). ამ ეტაპზე ოლიმპიადის მეორე ტური მიმდინარეობს.

მოკლედ, სტუდენტებმა რამდენიმე საათით თავი ნამდვილ მოსამართლეებად ჩათვალეს და შავ მანტიაში გამოწყობილებმა წარმატებით გაართვეს თავი ამ რთული ამოცანის განხორციელებას. ზოგმა პრეზიდენტის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტი ჩათვალა არაკონსტიტუციურად და ბათილად სცნო. მოკლედ, „მართალი სამართალი" მართლაც მიხვედრილობის შესაბამისად დაწერეს და ჟიურის მადლობაც დაიმსახურეს. ზოგს აქაც არ გაუმართლა ბედმა, მაგრამ ტკბილ მოგონებად მაინც დარჩება მოსამართლის მანტიაში გატარებული რამდენიმე საათი. ზოგს



კი ალბათ, დღევანდელი „მარცხი" ხვალინდელი დღისათვის უფრო ენერგიულად შრომის სტიმულს მისცემს.

უფრო მეტიც, „ახალგაზრდა მოსამართლეები" იმდენად გათამამდნენ, რომ ჟიურის წევრს, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს, ზაურ ჯინჯოლავას, რომელმაც დარბაზიდანვე დააპირა შენიშვნების მიცემა, მონაწილეებმა წესრიგისა და სასამართლოსადმი პატივისცემისკენ მოუწოდეს, აქაოდა, მოსამართლეები ეხლა ჩვენ ვართ და კეთილი ინებეთ და პატივი გვეცითო. მეტი რაღა დარჩენოდათ, ჟიურის წევრები იგივე სიტუაციაში იყვნენ და სათათბირო ოთახში „მოსამართლეთა" გასვლის დროს ფეხზე წამოდგნენ. გადაწყვეტილების დამსწრეებზე გაცნობის დროსაც, როგორც წესი, ყველანი ფეხზე იდგნენ და მათ დაჯდომა არავინ შესთავაზა. რას იზამ, ყველამ უნდა გაიცნობიეროს ის, რომ ყველანი თანასწორნი ვართ კანონის წინაშე, პრეზიდენტი თუ რიგითი მოქალაქე და „მართალი სამართალიც" მაშინ დაწესდება.

**კობა კაპანაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თემურ გოგსაძე: ტერაქტების ეპოქა ჩვენში გამიზნული პოლიტიკის შედეგია




**დღევანდელი ნომრის სტუმარია იურისტი, ადვოკატთა კოლეგიის წევრი, გაზეთ „ადვოკატი-მეოხის“-ს მთავარი რედაქტორი, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი, ბატონი თემურ გოგსაძე**

**— ბ-ნო თემურ, ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოში მეტ-ნაკლებად გახმაურებული პროცესების მონაწილე ხართ. დღეს კონკრეტულად რისი თქმა შეგიძლიათ 9 თებერვლის ტერაქტთან დაკავშირებით?**

— მე ვთვლი, რომ ტერაქტები საქართველოში გაცილებით ადრე, 9 აპრილიდან დაიწყო... ტერაქტების ეპოქა ჩვენში გამიზნული პოლიტიკის შედეგია და იგი არ მოიშლება მანამ, სანამ არ გატარდება რეალური პოლიტიკა, მიმართული საქართველოს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისაკენ, სანამ საქართველოში იარსებებს ნებისმიერი ქვეყნის სამხედრო ბაზები, სანამ არ შეწყდება დივერსიული პოლიტიკა ნებისმიერი, თუნდაც ეკონომიკის კუთხით და არ ჩამოყალიბდება სერიოზული სახელმწიფო უშიშროების მძლავრი სისტემა.

დასაბამი და საფუძველი ვინც ჩაუყარა ტერაქტებს, ის ჯერ კიდევ მიჩქმალულია და რატომღაც, ვისაც უწყობენ ტერაქტებს, ის პირველი მალავს და სულ სხვა კუთხით ისვრის საჯილდაო ქვას.

9 თებერვლის ტერაქტის განმახორციელებლებსა და შემკვეთ-დამკვეთებთან დაკავშირებით კონკრეტული აზრი მაქვს, მაგრამ ხვალ-ზეგ შეიძლება მომიწიოს ამ საქმეში შესვლა, როგორც ადვოკატს, ამიტომ თავს ვიკავებ ამ ეტაპზე.

**— სპეციალისტები ამბობენ, რომ თანამედროვე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ცივილიზებულ სტანდარტებს მიახლოვებულია და მის ამუშავებას საქართველოში დიდი მომავალი აქვს**

— არ შემიძლია ხელაღებით იმის თქმა, რომ ეს კოდექსი ბრწყინვალე და გადასარევია. უამრავი მუხლი დასახვეწია, გამოსაკვეთია მრავალი მიმართულება. უმთავრესი ფაქტორი ის არის, რომ პრინციპი რამდენადმე შეესაბამება დღევანდელ ცივილიზებულ კაცობრიობას და მის სამართალს. ჩემთვის ყველაზე მისაღები ის არის, რომ ადვოკატის ფუნქცია და როლი აქ შედარებით გამოკვეთილია და კარგ დონეზეა. განსხვავებულია თუნდაც საპატიმრო ვადის საკითხი, დაკავებულის უფლებები ფაქტობრივად დაცული იქნება. თავისუფალია სანქციის საკითხი. ადრე პროკურორი დაკავების სანქციას კაბინეტში იძლეოდა, ეხლა ეს პროცედურა მოიხსნა და დღეს სასამართლოში ხდება აღმკვეთი ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა, სანქციის გაცემა. ეს შედარებით აუცილებელი და დემოკრატიული ფორმაა. ადვოკატს აქვს საშუალება რეალურად დაიცვას თავისი დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესები. ამას წინათ მოსამართლე ავთანდილ ჭაჭუასთან გამომძიებელმა იშუამდგომლა კაცის დაპატიმრებაზე, რომელიც ბოთლებს აგროვებს და მერე აბარებს. მოსამართლემ ობიექტური გადაწყვეტილება მიიღო, გაუსვლელობით დაკმაყოფილდა მხოლოდ. ძველი პერიოდი რომ ყოფილიყო, პროკურატურა რეზოლუციას დაადებდა და საწყალი კაცი, ორი შვილის მამა, ნასამართლევობის არ მქონე, ცარიელი ბოთლის ქურდობისათვის მოხვდებოდა ჯოჯოხეთში.

**— შეიძლება ითქვას, საპროცესო კოდექსი მოქმედებს...**

— რა თქმა უნდა მოქმედებს. ადვოკატებზე ძალიან ბევრია დამოკიდებული, როგორ ვამუშავებთ ამ კოდექსს. ჯერ კიდევ დიდია ფსიქოლოგიური მექანიზმის ზეწოლა, ძველი მენტალიტეტი, ძველი პროკურორები, გამომძიებლები, საბჭოთა სისტემაზე გაზრდილები ისევ ინერციით მოქმედებენ და მუნდირის ღირსება აწუხებთ. ადვოკატურა უნდა შეებრძოლოს ამას და შეძლოს ცივილიზებული სამართლის დამკვიდრება.

ვინც ვერ გაიგებს, კანონის ფარგლებში ძალით უნდა გავაგებინოთ. უნდა ვაღიარო, რომ ძალიან ბევრი, იგივე მოსამართლეები პროკურატურის, უშიშროების გამომძიებლები საკმაოდ კორექტულად იცავენ ამ კანონებს. არის საშინელი დარღვევებიც... ძნელია ერთ ინტერვიუში ამ კოდექსის ავ-კარგიანობაზე ილაპარაკო, მაგრამ ვთვლი, რომ მთლიანობაში წინგადადგმული ნაბიჯია.

სამართლის ისტორიამ იცის უზარმაზარი სიმკაცრის სასჯელები, მაგრამ სასჯელის გამკაცრებით, არსად არასდროს არ აღმოფხვრილა დანაშაული; ჩვენ უნდა წავიდეთ ჰუმანიზმის პრინციპით, თუ ლაპარაკია იმაზე, რომ არ იყოს ტერაქტები, მკვლელობები და სხვა დანაშაულებები, პროფილაქტიკური ღონისძიებები უნდა დადგეს მწყობრში და ოპერატიული სამსახური უნდა დადგეს თავის სიმაღლეზე. რას ნიშნავს მოსალოდნელია ტერაქტი? თუ მოსალოდნელია, სამართლადამცავ ორგანოებს რა აძინებთ?

**— თუ შეიქმნება მექანიზმი, რომელიც დამნაშავეთა ცემისა და წამების „სისტემის“ ლიბერალიზაციას მოახდენს?**

— ეს არის უზარმაზარი ძალისხმევის, სახელმწიფო პოლიტიკის საგანი, რომელსაც ყველამ ერთიანად უნდა ვებრძოლოთ. საპატიმროებში, სადაც ხდება საშინელებები, არაადამიანური მოპყრობის საშინელი მეთოდების გამოყენება: ელექტროშოკები, ბოთლზე დასმა, დამდუღვრა, სხვადასხვა ფსიქოლოგიური ზეწოლის ფაქტორები, ეს საქართველოსთვის შეუწყნარებელია და ყველამ ხმა უნდა ამოვიღოთ. კარგია, როცა შეწყალების საკითხი დგას, სიკვდილის გაუქმებაზე საკითხი დგას, მაგრამ მანამდე თუ სული ამოხადე ადამიანს, ეს საერთაშორისო სირცხვილია იმ ქვეყნისათვის, რომელმაც XII ს-ში აკრძალა სიკვდილით დასჯა.

**— პარიზში რეფორმის სუნი ტრიალებს და იგი ძალიან ბევრს ცუდ ხასიათზე აყენებსო, ამბობდა მიხეილ სააკაშვილი. ვინ შეიძლება იყოს დღეს ასეთ მდგომარეობაში?**

— შეიმჩნევა ასეთი ტენდენცია, ვიღაცას სურს ჩააგდოს სამართლებრივი რეფორმა საქართველოში. ზოგიერთ ჩინოვნიკს სამართალდამცავი ორგანოებიდან არ აწყობს, მაგალითად, რომ ცხრათვიანი საპატიმრო ვადაა. მისი ინტელექტი, პროფესიონალიზმი, როგორც პროკურორის, გამომძიებლის, ვერ „ქაჩავს“ დღევანდელი მოთხოვნის დონეს. ამიტომ ცდილობს არ ჩაატაროს პროფილაქტიკური ღონისძიებები. ამ დროს მოხდება დანაშაული და ასეთ კაზუისტიკურ პრობლემაზე ააგებენ გლობალური რეფორმის საწინააღმდეგო პოლიტიკას. ეს შეიძლება შეგნებულად კეთდებოდეს და ამის ტენდენციები სამწუხაროდ შეიმჩნევა.

**— ატესტირების პერიოდში არ იმოქმედებს ტრადიციული „ჩაწყობის“ მექანიზმი?**

— წარსულის მწარე გამოცდილება მკარნახობს, რომ ასპროცენტიანი ყველაფერი აქაც არ იქნება. როგორი სუფთა მუშაობაც არ უნდა მოინდომოს იუსტიციის საკოორდინაციო საბჭომ, მაინც ვერ შეძლებს გამომდინარე იქიდან, რომ ჯერ კიდევ მოქმედებს ინერცია. თუ მოხდა ისე, რომ წავიდა მმართველი, ან რომელიმე გარკვეული პარტიის ინტერესების თუ პოლიტიკური გადაწყობა-გადმოწყობის ხარჯზე რეფორმის გატარება, იგი დღეს თუ არა ხვალ ჩავარდება. ეს იქნება უვიცობის დემონსტრირება და ქართველი ერის ფსიქოლოგიური განწყობა სამართლისადმი საშინელ შედეგებამდე მივა.

**— თვითონ სისხლის სამართლის დამნაშავეების მენტალიტეტზე თუ იმოქმედებს რეფორმა?**

— გარკვეულწილად იმოქმედებს, თუ ყველა სისტემა თავის ფუნქციას შეასრულებს, იქნება ეს მოკვლევა, წინასწარი გამოძიება, პროკურატურა, სასამართლო, ადვოკატურა, ოპერატიული სამსახური და ა. შ., მაშინ არ დარჩება ისეთი ფართო დერეფნები, რომელიც ადვილად გასაძრომ-გამოსაძრომი იქნება დამნაშავე სამყაროსათვის, არც დაუსჯელობის სინდრომმა უნდა იმოქმედოს და არც დამნაშავე უნდა დარჩეს დაუსჯელი. დღევანდელობაში ასეთი შეუსაბამობა აშკარაა.

ხაზს ვუსვამ, ჯერ კიდევ უამრავი ხარვეზებია და სამართლებრივი რეფორმა, მართლაც, სუნის დონეზე ტრიალებს საქართველოში. თუმცა უკუსვლა გამორიცხულია, ჩვენ ის ქვეყანა ვართ, რომელსაც ძალუძს მიაღწიოს უმაღლეს სამართლებრივ კულტურას.

**ესაუბრა ხათუნა ხატიაშვილი**

---

# არის თუ არა ჩვენთან აზრის თავისუფლება?

*მე-5 გვერდიდან*

ძლია დაიჩემოს, რომ შეუცდომლად მოქმედებდა და მოქმედებს.

ჭეშმარიტება, რასაც ჩვენ ვიმეცნებთ, შეფარდებითია. ჭეშმარიტების შეფარდებითობას კი განაპირობებს სინამდვილის ცვლილება ან ჩვენი ცოდნის გაღრმავება.

მაგ: წავიდა ზ. გამსახურდიას მთავრობა და გარკვეულმა პიროვნებებმა მის შესახებ აზრი შეიცვალეს. ახალმა გარემოებამ მისი პიროვნებისეული სტრუქტურის ის დეტალები გააშუქა, რომელიც მანამდე უცნობი იყო. ამასთან გარკვეული მოვლენათა ურთიერთმიმართებაზეც გარკვეული ცოდნა დაგროვდა.

**თ. ბუაჩიძე:** ჭეშმარიტება ერთია, ჭეშმარიტებას განვსაზღვრავთ, როგორც აზრის თანხმობას საგანთან. მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად ჭეშმარიტება დაფარულია არასრულფასოვანი ადამიანისათვის. ამიტომ მისი პოვნა ძნელია.

**— ჩვენთანაც, კარგა ხანია დაიწყეს ლაპარაკი იმაზე, რომ ადამიანს აქვთ უფლება, გარკვეულ საკითხზე საკუთარი შეხედულება იქონიონ. სამწუხაროდ, არ საუბრობენ იმაზე, როგორ შეიძლება სხვადასხვა შეხედულების მქონე ადამიანებმა შეათანხმონ აზრები და ასე თუ ისე, ყველასათვის მისაღები საერთო მსოფლმხედველობა გამოიმუშავონ?**

**(თ. ბუაჩიძე)**: სწორი ბრძანდებით, აზრთა შეჯერება, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე აზრების განსხვავებაზე საუბარი. აზრების განსხვავება, პლურალიზმი — დიდი საქმეა და ალბათ, სწორედ ის არის პირველი მაუწყებელი იმისა, რომ ჩვენ გამოვედით კომუნიზმის მოჩვენებითი მშენებლობის საზოგადოებიდან. ჩემი აზრით, ბევრს არც კი სჯეროდა კომუნისტური ყოფის სისულელისა, მაგრამ ამის თქმის ეშინოდა. საბჭოთა მთავრობას სურდა პიროვნებათა ნიველირება. მას არ აწყობდა ცოცხალი ინდივიდი: ცოცხალს შეუძლია რაღაც საკუთარის გაკეთება. ის მკვდრის სიყვარულით საზრდოობდა — მკვდარს მისცემ ნებისმიერ ფორმას, შენებურად გამოიყენებ. საბჭოთა კავშირის შემქმნელებს ჰქონდათ გარკვეული იდეოლოგია, რომელიც ენების, კულტურების და არა მხოლოდ ადამიანების ნიველირებას გულისხმობდა. მათი აზრით, სხვადასხვა ქვეყნის კულტურები უნდა შეირწყას, უნდა გაჩნდეს ერთი ზოგადსაკაცობრიო კულტურა. მე სწორად მიმაჩნია თვალსაზრისი, რომლის მიხედვით, ყოველი ერი კი არ უარყოფს თავის კულტურას, თავის ენას, თავის ყოფას, არამედ სამყარო არის ამ განსხვავებულთა ერთიანობა. ცხადია, აქ საჭიროა, განსხვევებული აზრთა თანხმობა. მაგრამ ეს უნდა მოხდეს ფრთხილად, დაკვირვებით. ამ პროცესს არ უნდა ემსხვერპლოს თავისუფლება, დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველო.

**— ბატონმა თამაზმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის შემქმნელებს ჰქონდათ გარკვეული იდეოლოგია, რომელიც ენების, კულტურების ნიველირებას გულისხმობდა. რამდენადაც მე ვიცი, ამგვარი იდეოლოგები ევროპაშიც მოიძებნებიან, რომელთაც ფრანგისგან, გერმანელისაგან, ინგლისელისგან და ა. შ. უნდათ შექმნან საშუალო ევროპელი. ვინ არიან ისინი და როგორ ასაბუთებენ საკუთარ პოზიციას?**

**(ედუარდ კოდუა)**: ევროპაში არიან პრიმირდიალისტები და კონსტრუქტივისტები. პრიმირდიალისტები ამტკიცებენ, რომ ეროვნულობა ადამიანის ისეთივე თანდაყოლილი თვისებაა, როგორიც ადამიანობა. ეს არის ერის ტრადიციული გაგება. კონსტრუქტივისტები ამტკიცებენ, რომ ერი მოგონილი კატეგორიაა, პოლიტიკოსებმა შექმნეს ერის ხატი „იდოლა“ და იყენებენ ამ „ფეტიშს“ გარკვეული რეგიონში გაბატონებისათვის. ისინი მოითხოვენ მოიხსნას საზღვრები, გაუქმდეს ნაციონალობა და შეიქმნას ე. წ. ევროპის შეერთებული შტატები. ინგლისელი არნოლდ ტოინბის მიერ მსოფლიო სახელმწიფოს იდეაც არის წამოყენებული. მაგრამ როგორც არ უნდა მოხსნა საზღვრები, ეროვნულობას მაინც ვერ აღმოფხვრი, ეროვნულობა მაინც ეროვნულობად დარჩება. ქვეყნის არა მხოლოდ პოლიტიკურ, ეკონომიკურ ინტერესებშიც უნდა შედიოდეს რომ ფრანგი ფრანგად დარჩეს, გერმანელი — გერმანელად, ქართველი — ქართველად. თურქები როცა გერმანიაში ჩავიდნენ და გერმანიის მთავრობამ მათ სამუშაო მისცა, რადგან ისინი იაფი მუშახელია, გერმანელებმა მათი სახლები დაწვეს.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა ატარებდა მავნე ეკონომიკურ პოლიტიკას: აშენებდა ისეთ სამრეწველო ობიექტებსა და მრეწველობის ცენტრს, რომ რესპუბლიკას არც მისთვის საჭირო ნედლეული გააჩნდა, არც მუშახელი ჰყავდა. გამოსავალი იყო ის, რომ ასახლებდნენ სხვა ეროვნების მოსახლეობას. ამის შედეგად, დღესდღეობით ყაზახეთში მკვიდრი მოსახლეობა 30%-ია, შუა აზიაში ზოგან 25%.

რუსეთი დღესაც არ შერიგებია იმ ტერიტორიების დაკარგვას, რომელსაც თავის კუთვ-



ნილებად თვლიდა და გარკვეულ პოლიტიკას აწარმოებს. მაგ: ცოტა ხნის უკან რუსულ ფილოსოფიურ ჟურნალში გამოქვეყნდა ტიშკოვის (ანთროპოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტ. დირექტორი) სტატია, სადაც ნათქვამია: საბჭოთა კავშირი დაიშალა იმიტომ, რომ ეროვნული მოძრაობა დაიწყო. მაგრამ განთავისუფლებულმა ერებმა სხვა ერებს არ მისცეს თვითგამორკვევის უფლება. მოტანილია აფხაზეთისა და საქართველოს მაგალითი. მე კი გავაგზავნე წერილი, სადაც სიმართლეა ნათქვამი, მაგრამ არ ვიცი დამიბეჭდავენ თუ არა.

**— იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ალბათ ის დროც დადგება, როცა ქართველებს ასეთ ცრუმეცნიერულ წერილებზე რუსეთის პრესაში პასუხის გაცემა არ გაგვიჭირდება.**

**ესაუბრნენ ირმა ბერიძე, ნინო ტარყაშვილი**

# გვაცალეთ, ცოტაც გვაცალეთ!...

დევნილთა გაჭირვებული ცხოვრების შესახებ კარგა ხანია იცის ერმაც და ბერმაც. საკუთარ კერას მოწყვეტილი ხალხი სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტულა და უმრავლესობას საკუთარი ჯანმრთელობის დაკარგვის ფასად უწევს ლუკმა-პურის მოპოვება. ზოგიც უკეთესი მერმისის იმედით ეგუება (თუ შეიძლება ამას შეგუება დავარქვათ) აწმყოს, ზოგიც ნათესავის თუ ახლობლის ჭერს აფარებს თავს, ზოგიც მთავრობის მიერ ბოძებულ „სოროებს". თუმცა ეს „ბედნიერებაც" ალბათ რჩეულთა ხვედრია. ეს უკანასკნელნი კი იძულებულნი არიან ძალის გამოყენებით შეიჭრან ამა თუ იმ დაწესებულებაში და ერთ ოთახში თუნდაც ოთხმა ოჯახმა იცხოვროს, თანახმა არიან. მთავრობა კი აფხაზეთში დაბრუნების იმედით კვებავს მათ და ასე ვთქვათ, გაზეპირებული სიტყვებით ამშვიდებს — გვაცალეთ, ცოტაც გვაცალეთო. რას იზამ, თავს ზევით ძალა არაა და ხალხიც ელოდება ამ ნანატრი დღის დადგომას, რომელიც ღმერთმა უწყის, როდის მოგვიახლოვდება.

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ რედაქციაში დევნილთა ერთი ჯგუფი მოვიდა და გვთხოვა შეძლებისდაგვარად დავხმარებოდით — სიმართლე გაგვერკვია.

ქ. თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს შენობაში, რომელიც უკვე რამოდენიმე წელია აფხაზეთიდან დევნილებს იფარებს, თავშესაფრის გარეშე დარჩენილ დევნილებს ძალით შეჭრა განუზრახავთ. უხეშად რომ ვთქვათ, „შტურმი" წარმატებით განხორციელებულა და ერთ-ერთი ექიმის ოთახში ოთხ ოჯახს დაუდია ბინა, რასაც გარკვეული შეხლა-შემოხლა მოჰყოლია.

როგორც ერთ-ერთმა დევნილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, თურმე რამდენიმე თვეა ელოდებიან საავადმყოფოს ადმინისტრაციის მიერ დაპირებული ოთახის გამოყოფას, მაგრამ ამაოდ. საავადმყოფოს ხელმძღვანელობას სახაჭაპურე „ცეხის" გახსნა შენობაში უფრო სარფიანად მიუჩნევია. ამის მიზეზად შენობის შეკეთებისთვის თანხების შეგროვება დაუსახელებია.

მოკლედ, დევნილებს შენობაში ძალით შესვლა გადაუწყვეტიათ. მთავარი ექიმის მოადგილეს „ლტოლვილების მორიგება" საკუთარი ძალებითვე გადაუწყვეტია და ქალბატონი მარინე გეროზია ხელში მოჰყოლია.

შემთხვევის ადგილზე პოლიციელები მისულან. როგორც ამბობენ, მათ ცეცხლზე ნავთი დაუსხიათ. შვიდი შვილის მამა, მეორე ჯგუფის ინვალიდი იატაკზე დაუგდიათ, კარგად უცემიათ და ტანსაცმელიც შემოუხევიათ. დღესდღეობით მედიცინის მუშაკები თავის პოზიციებს არ თმობენ და ამ უკანასკნელთ ოთახების განთავისუფლებას სთხოვენ.

საავადმყოფოს ოთახში, თავის



შვიდ შვილთან ერთად ცხოვრობს სოხუმიდან დევნილი მარინა დოჩია, რომლის ჯანმრთელობაზე ვაგზლის საავადმყოფოს დერეფანში გათეულ ღამეებს თავისი კვალი დაუტოვებია.

— **ქალბატონო მარინა, სად ცხოვრობდით მანამდე, სანამ აქ მოხვდებოდით?**

— ხუთი თვე ნაქირავებში ვცხოვრობდით, ორმოცდაათ ლარს ვიხდიდით. თანხის გადახდა ვეღარ შევძელით და ორთვენახევარი ნათესავთან ვიცხოვრეთ ცხრა კაცმა. ისიც იძულებული გახდა წადით აქედანო. მეტი რაღა დამრჩენოდა, სადგურში ვათევდი ღამეებს. არ ვიცი სანამდე შეიძლება ამის მოთმენა. ბავშვებს ხუთი წელია სკოლა არ უნახავთ და გაზეთებს ყიდიან. რა ვქნათ, ამით ვირჩენთ თავს.

— **რატომ მაინცდამაინც რკინიგზის საავადმყოფოში გადაწყვიტეთ შესვლა?**

— რკინიგზის „ვაგზალზე" ლაპარაკობდნენ, რომ საავადმყოფოში თავისუფალი ოთახები არისო. მერე ესენიც შევკრიბე და შემოვედით. ვაშაკიძესთანაც ვიყავით. მაგრამ დღემდე გვატყუებენ დღეს-ხვალ გამოგიყოფთ საცხოვრებელ ფართსო. ჯერჯერობით არაფერი შედეგი არ ჩანს.

— **პირადად თქვენთვის ხომ არ მოუყენებია ვინმეს ფიზიკური შეურაცხყოფა?**

— როგორ არა, ექიმებმა მცემეს. პოლიციელებს კი ხელიც არ დაუკარებიათ.

— **ოთახებში რომ შემოვედით, თუ არ ვცდები, ელენე თევდორაძე ახსენეთ.**

— მე მინდა ელენე თევდორაძეს ვთხოვო დახმარება. იქნებ გამოინახოს რაიმე საშუალება და ერთი ოთახიც რომ იყოს, სადმე შეგვასახლოს. ისე, მე აქედან გამსვლელი არა ვარ, ბავშვებს ქუჩაში ვერ გავათევინებ. მითუმეტეს, არც მე ვარ ჯანმრთელი. დღესდღეობით საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა რომ დიდ გაჭირვებაში ცხოვრობს, არც ეს უნდა იყოს ჩვენი მკითხველისთვის „ახალი ხილი", უჭირთ ჯანდაცვის სფეროს მუშაკებსაც, რომელთა რიგებში თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს მუშაკებიც შედიან. ვერ იღებენ ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებს, რომელიც საავადმყოფოს შეკეთებას უნდა მოხმარდეს (თუმცა საავადმყოფოში ერთი ავადმყოფიც ვერ ვიხილე). ყველაფერ „სიკეთეს" ისიც ერთვის, რომ საავადმყოფოს ეზო ნაგავსაყრელადაა ქცეული და ანტისანიტარიას ღრმად აქვს ფესვები გადგმული. ექიმები ნაგვის დაყრას ლამის მასპინძლად ქცეულ სტუმრებს აბრალებენ, ეს უკანასკნელნი კი — მასპინძლებს. თუმცა ძნელი დასაჯერებელია ამ რაოდენობის სამედიცინო ინვენტარი დევნილებს ჰქონოდა.

მოკლედ, რაც ითქვა, ისიც საკმარისი უნდა იყოს. იქნებ მთავრობა მეტი ყურადღებით მიუდგეს ამ მტკივნეულ საკითხს. ასე რომ, არც საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მუშაკებს აწყენთ ცოტათი ყურების გამობერტყვა, მით უმეტეს, ამ საქმეზე დახარჯული დრო ფუჭად ნამდვილად არ შეიძლება ჩაითვალოს. თუ პრეზიდენტი არ დაგხუნძლავთ ჩინ-მედლებით, ალბათ არც საყვედურს გამოგიცხადებთ. ბოლოს და ბოლოს, ღმერთი ხომ ყველაფერს ხედავს.

**სალომე მახარაძე**
**კობა კაპანაძე**

# ნაციონალისტები სახელმწიფო კანცელარიას უჩივიან

## ცივილიზებულობა ეროვნების უარყოფას არ ითხოვს

პირადობის მოწმობაში ეროვნულობის ნიშნის არსებობა არის თუ არა სავალდებულო, ამაზე კამათი მას შემდეგ მიმდინარეობს, რაც საბჭოური პასპორტები შეიცვალა. ამის თაობაზე საზოგადოებაში მრავალგვარი მოსაზრება არსებობს, პოლიტიკურ პარტიათა და სახელმწიფოს სხვადასხვა ინსტანციათა შორის კი, შეიძლება ითქვას, ურთიერთსაპირისპიროც.

საქართველოს ნაციონალისტური პარტია პასპორტში ეროვნულობის აღმნიშვნელი გრაფის შეტანას დაჟინებით მოითხოვს, სახელმწიფო კანცელარიის თანამშრომლებს კი სრულიად ზედმეტად ეჩვენებათ მათი გულმოდგინება.

— ადამიანის ეროვნების და წარმომავლობის დამადასტურებელი, პირველ რიგში, მისი გვარია, შემდეგ კი — დაბადების მოწმობა. იქ გარკვევით იწერება მშობლების ვინაობაც — გვარ-სახელიც და ეროვნებაც. მე ვფიქრობ, „მეტრიკა" სავსებით საკმარისია ეროვნების დასადასტურებლად, პირადობის მოწმობის ფუნქცია კი სულ სხვაა, მოქალაქეობის დადასტურება და მეტი არაფერი. ჩვენ სამოქალაქო საზოგადოებას — მოქალაქეთა სახელმწიფოს ვაშენებთ და ეროვნების ჩვენება პირადობის მოწმობაში მიუღებელია, ამგვარი მოწმობა (მხოლოდ მოქალაქეობის დამადასტურებელი) ცივილიზებულობაზე მიგვითითებს. ეთნიკურად მრავალფეროვან ერებს მონოეთნიკურისგან განსხვავებით ამ საკითხთან მსგავსი პოლიტიკური მიდგომა უფრო აწყობთ, რადგან უმცირესობა რაღაც შიშის სინდრომს ყოველთვის გრძნობს თავის ერის მიმართ. პირადობის მოწმობაში ეროვნების ჩაუწერლობა ეთნიკურ უმცირესობას შევიწროებისაგან დაიცავს.

როგორ, სხვა ქვეყნებში თავისი ერი არ უყვართ? რატომ ამოიღეს რეკვიზიტებიდან ეროვნების დამადასტურებელი ნიშანი?

არავითარი საშიშროება ეროვნების გაქრობისა პასპორტიდან სიტყვა — ქართველის ამოღებით, არ არსებობს. უბრალოდ, ჩვენ ვამუქებთ, არაფრისგან რაღაც პრობლემებს ვქმნით, ამით ზოგიერთი პოლიტიკური პარტიები ქულების ჩაწერას ცდილობენ თავის სასარგებლოდ, ჩვენ კი კომკავშირლებს გვეძახიან, — ჩივის სახელმწიფო კანცელარიის პოლიტიკურ პარტიებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი რეზო სადუნიშვილი.

ქართველებს, როგორც ყოველთვის, სხვაზე უფრო შეგვტკივა გული, სხვაზე უფრო მეტს ვზრუნავთ, ვიდრე ერთმანეთზე...

პირადობის მოწმობაში ეროვნების დამადასტურებელი ნიშნის არსებობა არის თუ არა აუცილებელი, კი ბატონო, იყოს მსჯელობის საგანი.

ერთი უდავოა, ქართველი კაცისთვის ნამდვილად სასურველი უნდა იყოს პასპორტში ეროვნების ჩვენება... ცივილიზებულობა ეროვნების უარყოფას სულაც არ საჭიროებს!

რატომ უნდა შევედაროთ დიდ ერებს, ეროვნების გაქრობის არანაირი საფრთხე რომ არ ემუქრებათ?

სამწუხაროდ, ბატონმა რეზო სადუნიშვილმა კითხვაზე — როგორც ქართველს, მიგაჩნიათ თუ არა საჭიროდ, პასპორტში თქვენი ქართველობა დაფიქსირდეს, როგორც მოგახსენეთ, უარყოფითად გვიპასუხა.

ბატონმა რეზომ არც საქართველოს ნაციონალისტურ პარტიას გასცა მოსაწონი პასუხი, ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფო კანცელარიის სახელით მის მიერ გაგზავნილი წერილობითი პასუხი ნაციონალისტებისათვის, გახდა საბაბი ამ უკანასკნელთა მიერ მთაწმინდის რაიონის სასამართლოში სარჩელის აღძვრისა.

მოსარჩლე მხარე სახელმწიფო კანცელარიისაგან პატივისა და ღირსების შელახვისათვის ბოდიშის მოხდას ითხოვს.

— დაამტკიცოს სადუნიშვილმა, რაში გამოიხატება საქართველოს ნაციონალისტური პარტიის მიერ ქრისტიანული და დემოკრატიული ღირებულებების უგულვებელყოფა, ეროვნული ღირსების დაკნინება, აგრესიული სეპარატიზმის გაღვივება და ჩვენ დავამტკიცებთ, რომ . . . — ამბობდა პარტიის თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე.

თუმცა, ნაციონალისტურ პარტიას 27 მარტს გამართულ სასამართლო პროცესზე არაფრის დამტკიცება არ დასჭირვებია, რადგან სასარჩელო განცხადებას ზუსტი ფორმულირება ვერ მისცა.

ნაციონალისტებმა სარჩელი სისხლის სამართლის ხაზით აღძრეს, მოსამართლემ კი სამოქალაქო ხაზით ჩაიბარა. შექმნილ წინააღმდეგობაში მოსარჩლე მხარე საქმის ვითარებას ბოლომდე ვერ ჩასწვდა.

— რატომ მიიღე საქმე წარმოებაში? — დაჟინებით ეკითხებოდა პარტიის თავმჯდომარე მოსამართლეს.

— მე საქმე სამოქალაქო ხაზით მივიღე, როგორც პატივისა და ღირსების შეურაცხყოფა, მათ შორის, სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, პროცესი სამოქალაქო ხაზით უნდა წარმართულიყო, „დოკუმენტი" ანუ სასარჩელო განცხადება კი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით იყო შედგენილი, და მაშინვე გაგაფრთხილეთ, შეცვალეთ სასარჩელო განცხადება, — თავს იცავდა მოსამართლე, — თქვენ ელემენტარულ იურიდიულ საკითხებშიც ვერ ერკვევით, ან მოიწვიეთ სპეციალისტი, რომელმაც იცის, როგორ მოიქცეს საქმის განხილვის დროს, ან გაჩერდით...

დიდი განსჯის შემდეგ პროცესმა სამოქალაქო საქმის ხასიათი მიიღო, მაგრამ მაინც გადაიდო 2 აპრილამდე.

ბევრისთვის პროცესის ჩაშლის საბაბი მოსარჩლე მხარის მოუმზადებლობა გახლდათ, თუმცა თვად ნაციონალისტები სულაც არ ფიქრობდნენ ასე.

— ფაქტია, რომ ძლიერი მტკიცებულებები გვქონდა. ჩვენ მზად ვიყავით პროცესისათვის, მოპასუხე კი — არა. სასარჩელო განცხადების ფორმა რომ არადამაკმაყოფილებელი ყოფილიყო, მოსამართლე პროცესის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას არ გამოიტანდა. მოპასუხემ ყველა ღონე იხმარა პროცესის ჩასაშლელად, — გვითხრა სასამართლო სხდომის შემდეგ ნაციონალისტური პარტიის სათათბირო დარბაზის თავმჯდომარემ დავით მელქაძემ.

მოსამართლის რჩევისამებრ, აპირებენ თუ არა ნაციონალისტები მომავალი პროცესისთვის ადვოკატის აყვანას, გაუგებარია, თუმცა ერთი საიდუმლო მაინც გაგვიმხილა დავით მელქაძემ: კოზირი ჩვენს ხელშია და მომავალ სასამართლო სხდომაზე საიდუმლოს ფარდას ავხდითო.

**მანანა ლოგუაშვილი**

# სომხეთში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური დაიწყო

დღეს სომხეთში ადგილობრივი დროით 8.00 სთ-ზე დაიწყო ხმის მიცემის პროცესი ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში. საარჩევნო უბნები 22.00 სთ-ზე დაიხურება.

არჩევნების პირველი ტურის შედეგების მიხედვით, რომელშიც 12 კანდიდატი იყრიდა კენჭს, მეორე ტურში გავიდნენ პრემიერ-მინისტრის მოვალეობების შემსრულებელი, მთიანი ყარაბაღის ექსპრეზიდენტი რობერტ ქოჩარიანი და სომხეთის ერთ-ერთი უმსხვილესი სააქციო საზოგადოება „არმელექტრომაშის" დირექტორი, სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი კარენ დემირჭიანი.

არჩევნების პირველ ტურში ქოჩარიანს ამომრჩეველთა 38,76 მისცა ხმა, ხოლო დემირჭიანს - 30,67-მა.

სომხეთში შექმნილია 1597 საარჩევნო უბანი. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაა 2 მლნ 293 ათასი. სომხეთის კანონმდებლობის თანახმად არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება იმის მიუხედავად, თუ რამდენი ამომრჩეველი მიიღებს კენჭისყრაში მონაწილეობას. მეორე ტურში გაიმარჯვებს ის კანდიდატი, რომელიც ხმების უბრალო უმრავლესობას მოაგროვებს. პირველი ოფიციალური შედეგები 31 მარტის დილისთვის იქნება ცნობილი. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კენჭისყრის პირველი ოფიციალური წინასაწარი მონაცემები უნდა გამოაქვეყნოს არაუგვიანეს საარჩევნო უბნების დახურვიდან 60 საათის შემდეგ. საბოლოო მონაცემები კი არჩევნებიდან 7 დღის შემდეგ გახდება ცნობილი.

# კუჩმა პარლამენტის არჩევნების შედეგებით წინასწარ იყო უკმაყოფილო

უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა თვლის, რომ 29 მარტს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები უკრაინის მთელი მოსახლეობის აზრს არ გამოხატავს. ერთ-ერთ საარჩევნო უბანში ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში კუჩმამ განაცხადა, რომ ზოგიერთმა ძალებმა უკრაინის მოსახლეობას თავს მოახვიეს არჩევნების შერეული სისტემა, რის გამოც ქვეყანა ამით არაფერს მოიგებს, რადგან შედეგები მთელი მოსახლეობის ინტერესებს არ გამოხატავს.

## ახალი ამბები

კუჩმამ აღნიშნა, რომ იგი იყო, არის და იქნება მაჟორიტარული სისტემის მომხრე. მისი თქმით, შერეული სისტემა არის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელიც გავლენას იქონიებს მომავალ პარლამენტზე, რადგან პარლამენტში გასული პარტიები „პრემიალურს" მიიღებენ ცენტრისტული ძალების ხარჯზე.

„პირველ ხანებში მთავრობა და პრეზიდენტი ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ უმაღლეს საბჭოსთან ნორმალური ურთიერთობები დაამყარონ"- განაცხადა კუჩმამ და დაამატა, რომ „ქმედითუნარიანი პარლამენტის გარეშე წინ წაწევა ძნელია."

კუჩმამ არ გამორიცხა, რომ არჩევნების შემდეგ მთავრობაში საკადრო ცვლილებები განხორციელდეს.

# რა მოხდა ქალთა კოლონიაში 28 მარტს?



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასჯელთა აღსრულების №5 დაწესებულებაში (ქალთა კოლონია) 28 მარტს სილამაზის კონკურსი ჩატარდა, რომელშიც სულ ათი მსჯავრდებული იღებდა მონაწილეობას. ჟიურის თავმჯდომარე კი საქართველოს შსს-ს სასჯელთა აღსრულების საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე, ბატონი გივი ყვარელაშვილი გახლდათ.

კოლონიაში მისულ ჟურნალისტებს პრესკონფერენცია მოგვიწყვეს. როგორც ბატონმა გივიმ განაცხადა, დღესდღეობით კოლონიაში სასჯელს ასორმოცდათვრამეტი პატიმარი იხდის. მათ შორის სამოცდათხუთმეტი პროცენტი ქართველი, ათი პროცენტი რუსი, დანარჩენები კი სხვადასხვა ეროვნებისაა. დაახლოებით ორმოცდათხუთმეტი პროცენტი ნარკოტიკების რეალიზაციისთვისაა მსჯავრდებული. ეტყობა მათ შორის ბევრია საქმეში ჩათრეული. სასჯელის საშუალო ზომა 6-7 წელია. ასორმოცდათვრამეტ პატიმარს შორის მხოლოდ ერთია არასრულწლოვანი, 1980 წელს დაბადებული ნინო კახოიანცი.



უნდა აღინიშნოს, ეს კოლონია ერთადერთია საქართველოში. საზღვარგარეთის ქვეყნებთან შედარებით, არც პატიმრების რაოდენობა ყოფილა საგანგაშო, მაშინ, როდესაც არის სახელმწიფოები, სადაც მთელი რიგი დაწესებულებებია შექმნილი არასრულწლოვანი ქალების გამოსასწორებლად. ამის საფუძვლად ბატონ გივის ქართული ტრადიციები მიაჩნია.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ, სანამ ღონისძიება დაიწყებოდა, რამდენიმე მსჯავრდებულს გავესაუბრე.

ჩვენი პირველი რესპონდენტი, ჩვიდმეტი წლის თბილისელი გოგონა, ადრე ნასამართლევი ნინო კახოიანცია.

— **ნინო მშობლები თუ გყავს?**

— კი, დედ-მამა მყავს. სხვათა შორის, შვიდი და-ძმა მყავს. მოკლედ, მრავალრიცხოვანი ოჯახი მყავს.

— **რომელი მუხლით იხდი სასჯელს?**

— ს. ს. კ.-ის 150-ე მუხლის მეორე ნაწილით — ქურდობა.

— **რა მოიპარე?**

— მიჭირდა და ფული მოვიპარე.

— **მარტო იყავი?**

— კი.

— **რამდენი წელი გაქვს მისჯილი?**

— სამი წელი. თერთმეტი თვე უკვე მოვიხადე.

— **აქ ძირითადად რით ხარ დაკავებული?**

— არაფრით!

— **კოლონიაში როგორ გექცევიან?**

— ნორმალურად. მშობლებთან შეხვედრისას არ მზღუდავენ და უდანაშაულოდ არ მსჯიან.

— **რა უნდა დააშავო, ან როგორ გსჯიან?**

— დაშავებით თუ ვიჩხუბებ, დასჯით კი რა ვიცი — სჯიან, რა.

ჩვენი მეორე რესპონდენტი ოცდასამი წლის ქალიშვილი ნატალია ლაზვიაშვილია, რომელიც სასჯელს განზრახ მკვლელობისათვის იხდის სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მიხედვით.

— **მამაკაცი მოკალით?**

— საერთოდ არ მიყვარს ამ თემაზე ლაპარაკი. დიახ, მამაკაცი მოვკალით, ერთი თვის გაცნობილი მყავდა.

— **რატომ?**

— მე და ჩემი თანამზრახველები დაქირავებულ მკვლელად ჩაგვთვალეს. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენს პოლიციას რომ ჰკითხო.

— **თქვენ თქვით პოლიციელებს რომ ჰკითხოო, ე. ი. თქვენ არ თვლით, თავს „ქილერად"?**

— ადამიანი ფსიქოლოგი უნდა იყოს, რომ შეძლოს ადამიანის ამოცნობა. ეს პირველ რიგში, პოლიციას ეხება, რომ გაარკვიოს, შეიძლება თუ არა ეს ადამიანი მკვლელი იყოს.

მე პირადად ჩემი გამომძიებელი მეუბნებოდა, მე ვიცი, რომ შენ მკვლელი არა ხარო, მაგრამ ის დაწერე, რასაც გეტყვიო. ამის მეტი რა უნდა ვთქვა?

— **თქვენი მომავალი როგორ წარმოგიდგენიათ?**

— თავს განადგურებულად ვგრძნობ. მომავალზე ფიქრიც არ მინდა, რადგან მომავალს ვერ ვხედავ.



სილამაზის კონკურსი შედგა, რამდენიმე საათით პატიმრებმა თავი ნამდვილ ვარსკვლავებად ჩათვლეს. გამარჯვება კი მხოლოდ სამს: ირინა კალანდიას, ირმა ცქიფურიშვილსა და მადონა ლონდარიძეს ერგო. კოლონიის პირველ ქალად ჟიურის წევრებმა 39 წლის ირინა კალანდია დაასახელეს, რომელიც სასჯელს ქურდობისათვის იხდის. იგი აფხაზეთიდანაა დევნილი. მშობლები ახლაც სოხუმში ჰყავს. თვითონ კი იმის გამო, რომ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობდა, იძულებული ყოფილა აფხაზეთი დაეტოვებინა.



კოლონიის ეზოდან გამოსულ სტუმრებს მასპინძლებმა გამჭოლი მზერა გამოგვაყოლეს.

**კობა კაპანაძე.**

# გაზეთი... მკითხველის გარეშე?

დღეს საქართველოში გამომავალ გაზეთთა რაოდენობის უკუპროპორციულია მკითხველთა რაოდენობა. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ეკონომიკური გაჭირვებაა. უმრავლესობა მოკლებულია ელემენტარულ საყოფაცხოვრებო პირობებს, ამიტომ მათთვის გაზეთის ყიდვა ინფორმაციის მიღებისთვის საჭირო აუცილებლობა კი არა, ფუფუნება ხდება.

ამ მხრივ, განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა რაიონებში. თბილისელებს საშუალება აქვთ თავის ფასში შეიძინონ ესა თუ ის გაზეთი (თუმცა არც ეს ფასებია ყველასათვის ხელმისაწვდომი), სხვა ქალაქებში კი ყველა გაზეთი 30-40 პროცენტით, ზოგ შემთხვევაში კი 100 პროცენტით, ძვირი ღირს. რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკი არ არის კერძო პირებზე, რომლებსაც თავად მიაქვთ გაზეთები თბილისიდან და თვითონვე ახდენენ რეალიზაციას. ვერც „საქპრესას" დავადანაშაულებთ, რადგან გაზეთების უმრავლესობას აწერია: „ფასი თბილისში X თეთრი, თბილისის გარეთ სახელშეკრულებო".

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს საგადასახადო კანონით დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან განთავისუფლებულია „საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული და გამოცემული პერიოდული ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა, მიწოდება და რეალიზაციის მომსახურება" (თავი 14, მუხლი 101-ტ), ეს კი საკმაოდ დიდი შეღავათია (და ალბათ, სწორედ იმას ითვალისწინებს, რომ მკითხველმა გაზეთი ყველგან თავის ფასში მიიღოს), გასაკვირიც კია გაზეთების სახელშეკრულებო ფასი თბილისის გარეთ. ამის გამო ხომ გაზეთი უამრავ მკითხველს კარგავს — მთელ საქართველოში იყიდება დედაქალაქში გაყიდული გაზეთების რაოდენობის მხოლოდ 7-8 პროცენტი.

გარდა იმისა, რომ ეს თვით გაზეთებისთვის არის წამგებიანი, მკითხველებისთვისაც არ არის ხელსაყრელი — რეგიონების მცხოვრებლები ისედაც გარკვეულ ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებიან, რადგან აქ ელექტროენერგიის პრობლემა უფრო მწვავედ იგრძნობა, ვიდრე დედაქალაქში. ამის გამო კი ტელევიზიით ოპერატიული ინფორმაციის მიღება ჭირს. გაზეთების სიძვირის გამო კი უმრავლესობისათვის ინფორმაციის ეს წყაროც მიუწვდომელია. იქნება ღირდეს დაფიქრება ამაზე?

კარგი იქნება, თუ გაზეთების რედაქტორები ერთ თხოვნასაც გაითვალისწინებენ — დღეს ძალზე უჭირთ ბიბლიოთეკებს. იმის გამო, რომ ბიუჯეტიდან უჭირთ მათი დაფინანსება, ადგილობრივი ხელისუფლება ბევრ ბიბლიოთეკას აუქმებს. რაც მოქმედებს, ისინიც ვერ მარაგდებიან რესპუბლიკური პრესით. თუ რედაქციები თითო-თითო ეგზემპლარს მაინც გაუგზავნიან ცენტრალურ ბიბლიოთეკებს (თუნდაც, თვის ბოლოს), რაიონებში ამით ძალზე დიდ დახმარებას გაუწევენ მათაც და მკითხველებსაც.

**ვასილ გულეური**

***გაზეთ „საქართველოს" შიდა ქართლის ბიურო***

# საქართველოს რკინიგზამ კურსი დეცენტრალიზაციისაკენ აიღო

საქართველოს რკინიგზის ფოთის ტერიტორიული სამმართველოს უფროსის რობერტ კაჭარავას თქმით, რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელობაში აკ. ჩხაიძის მოსვლიდან საქართველოს რკინიგზამ კურსი დეცენტრალიზაციისაკენ აიღო. თუ ადრე, კერძოდ, ფოთის რკინიგზის სამმართველოში შემოსული თანხა ირიცხებოდა დეპარტამენტის ანგარიშზე, ახლა ეს შემოსავალი ადგილზე რჩება. კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა ვაგზლის შენობებს, შენდება 3000 კვ. მ. ბამბის საწყობი. გარდა ამისა, უნდა დაიწყონ საკონტეინერო მოედნის მშენებლობა. აბრეშუმის გზის გახსნის შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა რკინიგზის ტვირთბრუნვა. უნდა აღინიშნოს, რომ შარშან, 1996 წელთან შედარებით, 89000 ტონით მეტი ტვირთი იქნა გადამუშავებული. ახლაც შეუფერხებლად მიმდინარეობს მუშაობა.

# ფოთის რეგიონალურ საბაჟოს წელს გეგმაში აქვს 42000000 ლარის მობილიზება სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ

როგორც ფოთის რეგიონალური საბაჟოს უფროსმა, ბატონმა გელა ხიზანიშვილმა გვაცნობა, 1997 წელი ფოთის რეგიონალურმა საბაჟომ კარგი მაჩვენებლებით დაასრულა. 1996 წელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა გასული წლის შენატანები, ხოლო 1998 წლის გეგმაში გვაქვს 42000000 ლარის მობილიზება სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

გასული წლის ნოემბრის თვეში, ფოთის საბაჟო სამსახურში ჩატარდა ატესტაცია, სადაც 30 პროცენტი კადრების ცვლა მოხდა, რომელიც არცერთ საბაჟოში არ ყოფილა. მოხდა სტრუქტურული რეორგანიზაცია, ლიცენზიები გაიცა საბაჟო საწყობებზე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მათ შორის ჰიდრომექანიზმების ქარხანაზე, რომელიც წლების განმავლობაში არ მუშაობდა.

გარდა ამისა, სამომავლოდ გეგმაში არის კომპიუტერული ქსელის დანერგვა მთელ სისტემაში. ფოთის რეგიონალურ საბაჟოში სულ მთლიანად ემსახურება 140 კაცი. მათი საშუალო ხელფასი პრემიის დანამატით არის 100 ლარი, რომელიც დროულად ეძლევა მომსახურე პერსონალს.

**ნანა ძველაძე**

***ჩვენი სპეცკორესპონდენტი***

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კრიმინალური ქრონიკა

## მიკროავტობუსის მძღოლი დანით დაჭრა!

28 მარტს თეთრი წყაროს პოლიციამ დააკავა ბოლნისის რაიონის სოფ. სარაჩლში მცხოვრები 22 წლის ილგარ მეხრანოვი, რომელმაც 27 მარტს 20 საათზე სოფ. კოდაში დანით გულმკერდის არეში დაჭრა მიკროავტობუსის რაფ-2203 მძღოლი, თბილისელი 36 წლის გოჩა გაბოძე და შეეცადა მიკროავტობუსის წართმევას.

## ელექტროკაბელის ქურდი!

28 მარტს ჭიათურის პოლიციამ დააკავა რუსთაველი 37 წლის შიო კიკვიძე და სოფ. ნიოქზალში მცხოვრები 22 წლის რამაზ ჭილლაძე, რომლებმაც ჭიათურის სამრეწველო-საწარმოო კომბინატის ტერიტორიიდან მოიპარეს 50 მეტრი ელექტროკაბელი.

29 მარტს ბათუმის პოლიციამ დააკავა ოზურგეთის რაიონის სოფ. ნარუჯაში მცხოვრები 33 წლის მურმან ჯინჭარაძე და იმავე რაიონის სოფ. ჭყონაგორში მცხოვრები 23 წლის ალეკო მახარაძე, რომლებმაც 27 მარტს გაქურდეს „ალამი"-ს საწყობი. ნაქურდალი ამოღებულია!

## ალბათ წიგნი უყვარდა!

28 მარტს ხონისა და საჩხერის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ხონის რ-ნის სუქჩაში მცხოვრები, ნასამართლევი 31 წლის ავთანდილ ფარულავა, რომელმაც 11 მარტს ადრე დაკავებულ თოდაძესთან ერთად გაქურდა საჩხერის ბიბლიოთეკა.

## ღამის ქურდები!

29 მარტს სამგორის კრიმინალური და ადმინისტრაციული პოლიციის თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად დააკავეს თბილისელი 30 წლის ნუგზარ ციხისელი და 34 წლის ხვიჩა მაჩაიძე და 27 წლის ზურაბ ჭაბაშვილი, რომლებმაც ღამის საათებში ორხევის დასახლებაში მდებარე სააქციო საზოგადოება „შოდა"-ს ქარხნის საწყობიდან მოიპარეს დაზგების ნაწილები, რომლებიც გადაჰქონდათ გარდაბნის რ-ნის სოფ. ნორიოში მცხოვრებ 38 წლის თამაზ ტაბლიაშვილის ავტომანქანით გაზ-24. ტაბლიაშვილი დაკავებულია, ნაქურდალი ამოღებული.

## ბორჯომს კუსტარულად ამზადებდა!

27 მარტს ფოთის რკინიგზის სადგურში სატრანსპორტო პოლიციის ფოთის რეგიონალური სამსახურის თანამშრომლებმა ამხილეს აბაშის რ-ნის სოფ. სამიქაოში მცხოვრები 34 წლის მურად კაჭარავა, რომელსაც სარეალიზაციოდ ჰქონდა 200 ბოთლი მინერალური წყალი „ბორჯომი", რაზედაც არ გააჩნდა სათანადო საბუთები. მისი განმარტებით აღნიშნული წყალი შეიძინა ბორჯომელი 18 წლის სერგო ფერაძისაგან. დადგინდა, რომ ფერაძემ ბორჯომის წყალი დაამზადა სახლის გვერდით კუსტარული წესით დამონტაჟებულ ბორჯომის ჩამოსასხმელი საამქროში. კაჭარავა და ფერაძე გაშვებულნი არიან ხელწერილით.

## დირექტორმა დირექტორი გაატურა!

26 მარტს სატრ. პოლ. დეპატ. კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონალური სამსახურის თანამშრომლებმა ამხილეს რკინიგზის დეპარტამენტის თბილისის სატვირთო სავაგონო დეპოს ყოფილი უფროსი, ამჟამად ამავე დეპარტამენტის სამგზავრო სამსახურის უფროსის მოადგილე, თბილისელი 45 წლის ჯუმბერ ბულაშვილი, რომელიც 1996 წლის 18 ივლისს საქართველო ამერიკის კორპორაცია „ჯ. ა. ი. ს."-ის გენერალურ დირექტორს თბილისელ თენგიზ ნაირაშვილს შეპირდა ხუთვაგონიანი მაცივარ-სექციის შეკეთებას და თაღლითური გზით გაიტაცა 3000 ლარი. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

## ძმის მკვლელი პოლიციას ჩაბარდა!

29 მარტს ზუგდიდის პოლიციაში ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოსა და ზუგდიდის შს სამმართველოს თანამშრომლებმა გატარებული პროფილაქტიკური ღონისძიებების შედეგად ნებაყოფლობით გამოცხადდა ვენგერ ფარჯიკია, რომელმაც 9 მარტს დანით მოკლა ძმა მურთაზ ფარჯიკია.

■ ■ ■

27 მარტს თბილისში, ალექსეევკის დასახლებაში მდებარე სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მოტო-სამანევრო ნაწილის სამხედრო ქალაქის ერთ-ერთი შენობის სარდაფიდან სენაკის პოლიციამ ამოიღო ავტომატი „აკს", რომელიც ეკუთვნის დაკავებულს სოფ. ფარში მცხოვრებ 30 წლის ბესიკ ნარსავიძეს.

## იარაღს უკანონოდ ინახავდა!

27 მარტს მთაწმინდის პოლიციის თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად დააკავეს თბილისელი, 24 წლის გიორგი მამულაიშვილი, რომლის ბინიდანაც ამოიღეს ავტომატი „აკმ-"ის 244 ვაზნა, 13 ცალი კაფსულ-დეტონატორი, 4 პაკეტი ამონალი, ხელყუმბარა „რგდ"-5 დეტონატორით, ბიკფორდის ზონარი, ავტომატ „პპშ"-ს მჭიდი, ჯავშანჟილეტი და სამი სამხედრო რაცია.

## „გაჯიევის" დირექტორი ამხილეს!

27 მარტს ქვემო ქართლის პოლიციის სამხარეო სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა ამხილეს შ. პ. ს. ფირმა „გაჯიევის" დირექტორი, გარდაბნის რაიონის სოფელ ყარაჯალაში მცხოვრები, 19 წლის ელშად გაჯიევი, რომელმაც 1995-96 წლებში კრეფდა რა სოფელ ყარაჯალის მოსახლეობიდან ბუნებრივი აირის საფასურს, არ იმყოფებოდა საგადასახადო ინსპექციაში აღრიცხვაზე, არ აწარმოებდა სათანადო დოკუმენტაციას და სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებდა სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე, რომელსაც დოკუმენტებისა და სხვა სათანადო ინფორმაციის წარუდგენლობის შედეგად გამოუვლინდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით ჩასარიცხი 75000 ლარი.

## ავტოკატასტროფა

28 მარტს კასპის რაიონის სოფელ ოკამთან ავტომანქანა „ვაზ-2107", რომელსაც მართავდა თიანეთში მცხოვრები, 31 წლის გიორგი ლომაშვილი, დაეჯახა ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის ავტომანქანას, რომელსაც მართავდა ზესტაფონელი, 37 წლის ბადრი ცერცვაძე. შეჯახების შედეგად „ვაზ"-2107 მძღოლი ლომაშვილი და მისი მგზავრი თბილისელი 39 წლის ლევან თევდორაძე ადგილზე გარდაიცვალნენ.

## ქუთაისელი ყაჩაღები დააკავეს!

26 მარტს იმერეთის პოლიციის სამხარეო სამმართველოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს, თერჯოლის პოლიციის შესაბამისი სამსახურისა და საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დააკავეს ქუთაისელი, 26 წლის მერაბ არშილავა, რომელიც 16 მარტს მიმალვაში მყოფ, ქუთაისელ, 28 წლის გიზო ფურცხვანიძესთან ერთად თერჯოლის რაიონის სოფელ ნახშირღელის რესტორან „ჭიშურაში" ყაჩაღურად თავს დაესხა მერაბ იობიძესა და ტატიანა კრასნოჩუბენკოს, წაართვეს 19400 ლარი და „მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი.

## მხედრიონელს დანაშაული არ შერჩა!

26 მარტს ფოთის პოლიციის სამმართველოსა და აბაშის პოლიციის თანამშრომლებმა ფოთში დააკავეს, ჭიათურის ყოფილი მხედრიონის უფროსი, ჭიათურაში მცხოვრები, ნასამართლევი 29 წლის კობა გაფრინდაშვილი, რომელმაც 1993 წლის 25 ოქტომბერს მოახდინა ყაჩაღური თავდასხმა სოფელ ნორიოში მცხოვრებ მურთაზ ბოკუჩავას ოჯახზე. საიდანაც გაიტაცა იმავე სოფელში მცხოვრებ ნუკრი გვაზავას განპირობებული ავტომანქანა „კამაზი". ავტომანქანა ამოღებულია. ასევე დადგინდა, რომ გაფრინდაშვილმა იმავე დღეს მოახდინა ყაჩაღური თავდასხმა დემურ გოგიას ოჯახზე, საიდანაც გაიტაცა ტელევიზორი „კონტექსი".

## დააკავეს ძებნილები!

27 მარტს სამტრედიის პოლიციელებმა დააკავეს ყაჩაღობისათვის ძებნილი, 29 წლის გიორგი შარაშენიძე და ძებნილი 34 წლის ნუგზარ შარაშენიძე.

წყალტუბოს პოლიციელებმა დააკავეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის ძებნილი 24 წლის გოჩა სილაგაძე.

27 მარტს სენაკის პოლიციელებმა დააკავეს დეზერტირობისათვის ძებნილი 20 წლის ელგუჯა ჯანჯღავა, და 21 წლის ერმილე ჯანჯღავა.

მესტიის პოლიციელებმა დააკავეს ნარკოტიკების უკანონო დამზადება-შეძენა-შენახვა და გასაღებისათვის ძებნილი 40 წლის ნატო კვაჭიანი.

რუსთავის პოლიციელებმა დააკავეს სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის ისნის პოლიციის მიერ ძებნილი, 31 წლის გოჩა ჯაბაშვილი.

26 მარტს დმანისის პოლიციელებმა დააკავეს დეზერტირობისათვის ძებნილი, 25 წლის შახინ კაიალოვი.

27 მარტს სოხუმის და გაგრის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ყაჩაღობისათვის ძებნილი 25 წლის კობა კოპალიანი.

## იარაღის ჩაბარება გრძელდება!

27 მარტს აბაშაში მცხოვრები, 52 წლის თამაზ ბოკუჩავამ ნებაყოფლობით ჩააბარა მცირეკალიბრიანი შაშხანა „ტოზ"-8.

26 მარტს წალენჯიხელმა, 50 წლის მზისადარ აბშილავამ ნებაყოფლობით ჩააბარა პისტოლეტი „სტეჩკინი" ერთი მჭიდით და 20 ვაზნით.

26 მარტს ლესიჭინეში მცხოვრებმა 57 წლის კანდიდ ზორავამ ნებაყოფლობით ჩააბარა მცირეკალიბრიანი შაშხანა ორი ვაზნით.

## ხიმშიაშვილს „კოდეინი" აღმოაჩნდა!

24 მარტს სატრანსპორტო პოლიციის ქუთაისის რეგიონული სამსახურის და ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის თანამშრომლებმა, ერთობლივად გატარებული ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების შედეგად აეროპორტ „კოპიტნარში" დააკავეს შუახევის რაიონის სოფელ ნიგაზეულში მცხოვრები, 27 წლის სულიკო ხიმშიაშვილი, რომელსაც 16 აბი „კოდეინი" აღმოაჩნდა.

## ნიქარიძემ მკვლელობა აღიარა!

26 მარტს „ცხელ კვალზე" გატარებული ღონისძიებების შედეგად შიდა ქართლის შს მთავარი სამმართველოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს სამსახურის გორის პოლიციის სამმართველოს შესაბამისი სამსახურისა და გორის პროკურატურის თანამშრომლებმა დააკავეს გორელი 72 წლის შალვა ნიქარიძე, რომელმაც გორის სასაფლაოს ქვის დასამუშავებელი საამქროს სადარაჯოს ჯიხურში ურთიერთშელაპარაკებისას ბასრი საგნის ყელის არეში მრავალგზის დარტყმით მოკლა გორელი 63 წლის ედუარდ ბერიკაშვილი.

## კილაძემ ორი პოლიციელი მოკლა!

15 მარტს გურიის პოლიციის სამხ. სამმართველოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის და სამხარეო პროკურატურის თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ 1997 წლის 4 მაისს ოზურგეთელმა ნასამართლევმა 42 წლის გიორგი კილაძემ მოკლა გურიის სამხარეო შს სამმართველოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს სამსახურის ინსპექტორი პოლიციის კაპიტანი რეზო მალაყმაძე და მამია ქართველიშვილი.

## დააკავეს ძებნილნი!

26 მარტს სამტრედიის პოლიციამ დააკავა ყაჩაღობისათვის ძებნილი 38 წლის თეიმურაზე კვერნაძე.

■ ■ ■

26 მარტს თერჯოლის პოლიციამ დააკავა სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის ძებნილი 22 წლის ვეფხია ფანჩულიძე.

■ ■ ■

26 მარტს ფოთის პოლიციის სამმართველოში ნებაყოფლობით გამოცხადდა ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღებისათვის ძებნილი 44 წლის ტარიელ გამეზარდაშვილი.

■ ■ ■

22 მარტს ქ. სანკტ-პეტერბურგში ხობის პოლიციამ დააკავა პატიმრობიდან ან განთავისუფლების ალკვეთის მოხდის ადგილიდან გაქცევისთვის ძებნილი 30 წლის გენადი აბაკელია.

■ ■ ■

25 მარტს გარდაბნის პოლიციამ დააკავა რუსეთის ფედერაციის საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის გამოყენების წესების დარღვევისათვის ძებნილი 26 წლის ფუგარ ფაშაევი.

■ ■ ■

26 მარტს მარნეულის პოლიციამ დააკავა ყალბი დოკუმენტების შეძენა ან გამოყენებისათვის ძებნილი 36 წლის ელხან დურსუნოვი.

■ ■ ■

26 მარტს მცხეთა-მთიანეთის შს სამხარეო სამმართველომ დააკავა გაუპატიურებისათვის ძებნილი 20 წლის მანუჩარ სალია.

**ხათუნა ნოზაძე**
**შსს პრესცენტრი**

## „აფხაზეთის კონფლიქტის დიალოგის მეშვეობით გადაწყვეტა შეუძლებელია"



31 მარტს, სოხუმში აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით შექმნილი საკოორდინაციო საბჭოს სხდომა გაიმართა.

როგორც „იფრინდა"-სთან საუბარში აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავ-რემ თამაზ ნადარეიშვილმა განაცხადა, იგი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაზე დიდ იმედს არ ამყარებს, რადგან თვლის, რომ აფხაზეთის კონფლიქტის დიალოგის მეშვეობით გადაწყვეტა შეუძლებელია.

თ. ნადარეიშვილის თქმით, პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში აფხაზეთის ა/რ ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლები მერაბ დგებუაძე, ამირან დოლიძე, თამაზ ხუბუა და კიმ ჯაჭვლიანი შევიდნენ. გარდა ჩამოთვლილი პიროვნებებისა, სოხუმში, სხდომის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი რუსეთის ფედერაციაში ვაჟა ლორთქიფანიძე, სახელმწიფო კანცელარიასთან არსებული დსთ-ს წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობის სახელმწიფო ბიუროს თავ-რის პირველი მოადგილე თეიმურაზ მოსიაშვილი და უშიშროების მინისტრის მოადგილე გიორგი ალექსიძე.

აფხაზეთის მხარეს სხდომაზე წარმოადგენს - აფხაზეთის ე.წ. ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილე ვალერი ხაშბა, თავდაცვის მინისტრის მოადგილე გივი აგრბა, პროკურორი ანრი ჯერგენია, პარლამენტის კონსტიტუციურ და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავ-რე თამაზ ქეცბა და აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატები.

თ. ნადარეიშვილის განცხადებით, ქართული დელეგაციის წევრები საკოორდინაციო საბჭოზე ორ საკითხს დააყენებენ - ლტოლვილთა უპირობო დაბრუნება და აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა.

როგორც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავ-რემ აღნიშნა, სოხუმის ხელმძღვანელობა სხდომაზე ეკონომიკური და სოციალური საკითხების დაყენებას გეგმავს, კერძოდ, აეროპორტის გახსნა და სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა. თ. ნადარეიშვილის განცხადებით, ქართულმა მხარემ მონაწილეობა არ უნდა მიიღოს აღნიშნული საკითხების განხილვაში. თ. ნადარეიშვილის აზრით, სხდომაზე ვ. არძინბას ხელისუფლება აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განხილვის წინააღმდეგი იქნება, რადგან აფხაზეთს ისინი დამოუკიდებელ ქვეყანად აღიქვამენ. მისივე თქმით, აფხაზური მხარე მზად არის დევნილების დაბრუნების საკითხი ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის შემდეგ განიხილოს, თუმცა, ამ შემთხვევაშიც მხოლოდ გალის რაიონზეა საუბარი.

**გეა**

## თბილისში ჯაბა იოსელიანის ვაჟი ჩამოდის



31 მარტს ბათუმში, ხოლო ბათუმიდან თბილისში ჯაბა იოსელიანის ვაჟი, კოტე იოსელიანი ჩამოვა - ამის შესახებ „იფრინდა"-სათვის კარგად ინფორმირებული წყაროდან გახდა ცნობილი. კ. იოსელიანი ამჟამად გერმანიაში ცხოვრობს და საქართველოში მამის თხოვნით ჩამოდის, რომლის ჯანმრთელობაც ბოლო დროს ძალზედ გაუარესდა.

წყაროს ცნობით, შემოწმებულია კ. იოსელიანის წარსული და აღმოჩნდა, რომ მას არანაირი კრიმინალური დანაშაული არა აქვს ჩადენილი.

იმავე წყაროს ცნობით, კ. იოსელიანს ბათუმში აჭარის ა/რ უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლები დახვდებიან და თბილისამდე გამოაცილებენ.

## გრიშა ონიანს სტალინის აღიარება გოგუაძისა და გიორგაძისგან ეწყინა

საზოგადოება „სტალინელის" თავმჯდომარის გრიგოლ ონიანის აღშფოთება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ გუშინ გამართულმა მშრომელთა საბჭოების პირველმა ყრილობამ სტალინი მსოფლიოს უდიდეს პიროვნებად აღიარა.

როგორც მან გეა-ს კორესპონდენტს განუცხადა, სტალინის გენიის აღიარება გოგუაძისა და პანტელეიმონ გიორგაძის მიერ უცნაურია, რადგან, თავის დროზე, გიორგაძემ მას სასტიკი უარი განუცხადა „სტალინელის" საარჩევნო სიებით არჩევნებში მონაწილეობაზე, ხოლო ვახტანგ გოგუაძემ საპროტესტო აქციაც კი მოაწყო ამ საზოგადოების არჩევნებიდან მოხსნის მოთხოვნით. ონიანისთვის ისიც გაუგებარია, თუ რა დამსახურებისათვის აღიარეს პანტელეიმონ გიორგაძე საქართველოს ეროვნულ გმირად. საზოგადოება „სტალინელის" თავმჯდომარე მშრომელთა საბჭოების წარმატებული მოღვაწეობის პერსპექტივებს მეტად სკეპტიკურად აფასებს და თვლის, რომ პარანოიკების მსგავსი შეკრებები საზოგადოების განსჯის საგნად არ უნდა იქცეს.

**გეა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

SPORT სპორტის სამყარო SPORT

## რამაზ დვალიშვილი: „გერმანელებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ სტუმრად არ მეგრძნო თავი“

*ჩვენს გაჭირვებულ ცხოვრებას გაქცეული ფეხბურთელები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მიმოიბნენ. ყოველწლიურად ახალ-ახალი დესანტი მიემგზავრება ბედის საძებნელად. ზოგს გაუმართლებს და ამა თუ იმ გუნდს მოერგება, ზოგი კი ევროპული ვოიაჟის შემდეგ შინ ბრუნდება და ისევ იმ აუტანელ პირობებს ეგუება, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სუფევს. ჩვენს რესპოდენტს კი, რამდენიმე უიღბლო ცდის შემდეგ გაუმართლა. მან ჩვენთვის კარგად ცნობილ იენის „კარლ-ცაისის“ მეორე გუნდ „ვაკერ-04“-თან კონტრაქტს მოაწერა ხელი.*



*ყველაფერი კი 35-ე საფეხბურთო სკოლიდან დაიწყო. მისი პირველი მწვრთნელი ავთო კიკალიშვილი იყო, შემდეგ სამტრედიის „ლოკომოტივი“, ხოლო 1991 წლიდან უკვე თბილისის „არმაზ-90“-ში გამოდიოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი გერმანიაში აღმოჩნდა. ჩვენ დავინტერესდით მისი შემდგომი ბედით და მასთან გასაუბრება გადავწყვიტეთ.*

— **რამაზ, როგორი იყო შენი პირველი გასვლა ევროპაში?**

— ბულგარეთის „კაზანლიკის“ მწვრთნელად ბორის დუდაური დაინიშნა და მისი უშუალო მოწვევით: დათო ნეფარიძე, ელო ბერიშვილი, გია ლოლუა, თემურ ყიფიანი და მე ჩავედით ბულგარეთში. ამ გუნდში ოთხი თვე ვითამაშეთ, მაგრამ ხელფასების დრო რომ დადგა, მოვიდა ჩვენთან გუნდის პრეზიდენტი და განგვიცხადა: „გუნდი აღარ მინდაო“, ჩვენც რაღა უნდა გვექნა, დავბრუნდით თბილისში.

— **კი, მაგრამ რა მოხდა ამ ოთხ თვეში ასეთ გუნდზე გული რომ აიყარა ამ კაცმა?**

— როგორც მოგვიანებით გაირკვა იმ ქალაქში ვიღაც ქართველებს ცეხი გაუხსნიათ (თუ არ ვცდები ხანჯლებს აკეთებდნენ) ჩვენი პრეზიდენტი კი იმათ დაკავშირებია და ასე უმოწყალოდ ხანჯლებში გაგვცვალა.

— **გერმანიაში როგორღა აღმოჩნდი?**

— თბილისში დაბრუნებულმა ინდივიდუალური ვარჯიშები დავიწყე და უშუალოდ ჩემი მეგობრების: ზაზა დაუშვილისა და გოჩა თამაზაშვილის თაოსნობით გერმანიაში გავემგზავრე, იქ ჩასული კი პირდაპირ ამხანაგურ მატჩში მათამაშეს. ამ თამაშში სამი გოლი გავიტანე და მაინც კონტრაქტი შემომთავაზეს.

— **საქართველოდან ჩასულს ფიზიკურად არ გაგიჭირდა?**

— როდესაც ჩავედი პირდაპირ შეკრებაზე მოვხვდი. თავიდან ძალიან გამიჭირდა. მოგეხსენებათ გერმანიაში დიდ დროს უთმობენ ფიზიკურ მომზადებას. გვქონდა ორმაგი ვარჯიშები და მეც ნელნელა მივეჩვიე დატვირთვებს. ყველაზე ძალიან კი გამიკვირდა თამაშის დღეს ინტენსიური ვარჯიშები.

— **ეს როგორ?**

— თამაში ორ საათზე გვქონდა, მწვრთნელმა კი, იმავე დღეს 11 საათზე საათნახევარი გვავარჯიშა, რაც ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო. პირველ ხანებში ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ნელ-ნელა ამასაც მივეჩვიე.

— **როგორი საცხოვრებელი პირობები შეგიქმნეს მათ?**

— კონტრაქტის გაფორმების შემდეგ მომცეს ბინა, მანქანა და ხელფასი. მოკლედ, მე კმაყოფილი ვიყავი მათ მიერ შემოთავაზებული პირობებით.

— **გერმანიაში ქართველების დიდი დესანტია, გქონდათ თუ არა მათთან კონტაქტი.**

— იქ ჩასულს გუნდში ბესო ფრიდონაშვილი დამხვდა, იგი საკმაოდ დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. როგორც იცი, რეგიონლიგაში კახი კაჭარავა, ნიკა ჩხეიძე, რეზო არველაძე და სხვები თამაშობენ, ჩვენ ინტენსიური კონტაქტები გვქონდა ერთმანეთთან.

— **თბილისში რატომღა დაბრუნდი?**

— ერთ-ერთ ამხანაგურ მატჩში ტრავმა მივიღე, თამაში ათი წუთის დაწყებული იყო, კოჭში რომ მომარტყეს, მაგრამ ეს მატჩი ბოლომდე ჩავამთავრე. შემდეგ გაირკვა, რომ ტრავმა ძალზედ მძიმე იყო, მთელი ერთი თვე მკურნალობდნენ გერმანელები, მაგრამ ამან ვერ მიშველა, მაშინ შემომთავაზეს ოპერაციის გაკეთება. მე უარი ვუთხარი და თბილისში დავბრუნდი. წარმოიდგინე, ერთ კვირაში ოჯახი გერმანიაში უნდა ჩამოსულიყო, მე კი სახლში დავბრუნდი.

— **ეხლა რას აპირებ, როგორ არის შენი ჯანმრთელობის საქმე?**

— ოპერაცია თბილისში გავიკეთე. აქ მითხრეს, შეიძლება ფეხბურთი ვერ ითამაშოო, მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა და ახალი სეზონიდან ისევ გერმანიაში წავალ.

— **კი მაგრამ, როდემდე აპირებ დაბალი ლიგის გუნდში თამაშს?**

— „ვაკერ-04“-ი „კარლ-ცაისის“ მეორე გუნდია, ამიტომ ძალზედ ადვილია იქიდან „კარლ-ცაისში“ მოხვედრა. მთავარია ყველაფერი კარგად იყოს და ალბათ, ამას შევძლებ. ბევრი რამ ჩემზე იქნება დამოკიდებული. ბოლოს და ბოლოს გერმანელებს ხომ უნდა გაუმართლო იმედები. მათ ხომ ყველა პირობა შემიქმნეს, სტუმრად რომ არ მეგრძნო თავი.

— **საქართველოში რომ შემოგთავაზონ თამაში თუ დარჩებოდი?**

— არა, საქართველოში სავარჯიშო პირობები არადამაკმაყოფილებელია. ესე რომ არ იყოს, გერმანელებმა მათთვის უცნობი ბიჭი თბილად მიიღეს, მეხმარებოდნენ როგორც შეეძლოთ და მე არავითარი მორალური უფლება არ მაქვს მათი ღალატისა.

ჩვენ კი ვუსურვოთ რამაზს საფეხბურთო კარიერის გახანგრძლივება. სამწუხაროდ, მას საჭირო მომენტში არ გაუმართლა, მაგრამ ფეხბურთისადმი სიყვარულმა ყველა სიძნელე გადაალახვინა და დღეს იგი მწყობრშია.

იმედია იგი არ დაივიწყებს ვისი გორისაც არის და ქართული საფეხბურთო სკოლის სახელს არ შეარცხვენს შორეულ გერმანიაში.

**დათო ავალიანი**

## ჰაკინენი კვლავ პირველია

კვირას დასრულდა ფორმულა-1-ში ბრაზილიის დიდი პრიზის რბოლა. ისე, როგორც პირველ ეტაპში ამჯერადაც მიკა ჰაკინენმა გაიმარჯვა თუ პირველ გამარჯვებას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა (როგორც იცით, ჰაკინენს პირველი ადგილი თავის თანაგუნდელმა დაუთმო), ამჯერად მისი გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა. ყველაფერი კი წინა დღეს დაიწყო. „მაკლარენის“ პილოტებს ვარჯიშების დროსაც კონკურენტი არ ჰყოლიათ. ისე, რომ მეტოქეთა პროტესტმა „მაკლარენის“ ბოლიდებზე მუხრუჭების სისტემის შეცვლის შესახებ ნაყოფი არ გამოიღო. მიუხედავად ამისა ჰაკინენსა და კულპარდს კონკურენტი არ ჰყოლიათ.

„მაკლარენი“, როგორც ეტყობა, კარგად მოემზადა ამ სეზონისათვის და გაუთვალისწინებელი თუ არაფერი მოხდა, ამ გუნდს ბადალი არ ეყოლება წლევანდელ გათამაშებაში.

ამ რბოლაში აღსანიშნავია შუმახერის პირველი ქულები. იგი მესამე ადგილზე გავიდა. იმედია ეს უდავოდ ნიჭიერი სპორტსმენი თავის თავს იპოვნის და ამ სეზონში ისევ დაძაბული ორთაბრძოლის მოწმეები გავხდებით.



## იოჰანსონმა ბლატერს შეურაცხყოფა მიაყენა



ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების არ იყოს, რაც უფრო ახლოვდება ფიფას არჩევნები, მდგომარეობა უფრო რთულდება. მატულობს პრეზიდენტის სავარძლის პრეტენდენტები. კონკურენტები სულ უფრო და უფრო მძლავრი ეპითეტებით ამკობენ ერთმანეთს. სიტუაცია იქამდე მივიდა, რომ პრეტენდენტები შეურაცხყოფაზეც გადავიდნენ.

ფიფას გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა ოფიციალურად წარადგინა თავისი თავი ფიფას პრეზიდენტობის კანდიდატად. გაიგო რა იოჰანსონმა ახალი კონკურენტის შესახებ, ბლატერს „ავლანჟის გოშია“ უწოდა. ალბათ, მან გაითვალისწინა ის, რომ ბლატერის კანდიდატურას თვით ავლანჟი უჭერს მხარს. თუ გავითვალისწინებთ ფიფაში ბლატერის მუშაობის სტაჟს (იგი დაახლოებით 25 წელია ფიფაში მუშაობს) მაშინ გასაგები იქნება იოჰანსონის გაფიცხება. მისთვის ხომ ბლატერი ყველაზე საშიში კონკურენტია. გასათვალისწინებელია ის, რომ იოჰანსონს ევროპის ყველა ქვეყანაც არ უჭერს მხარს. ავლანჟს კი ჯერ კიდევ შესწევს უნარი განვითარებადი ქვეყნების თავის მხარეზე გადასაყვანად და მან თუ ეს შეძლო, მაშინ ბლატერს საკმაოდ დიდი შანსები უჩნდება გამარჯვებისთვის.



ბლატერმა იოჰანსონის გამონათქვამზე საკმაოდ თავშეკავებული და ამავე დროს არანაკლებ შეურაცხმყოფელი განცხადება გააკეთა. „იოჰანსონი ჩემი მეგობარი მეგონა, საკვირველია რატომ მიწოდა მან „ავლანჟის გოშია“, იგი არაკაცი ყოფილა ამ სიტყვების შემდეგ.“

ვნახოთ, რა შედეგს გამოიღებს ორი ყველაზე რეალური კანდიდატის ჭიდილი. საინტერესოა კიდევ რა სახელებს შეარქმევენ ერთმანეთს ისინი. გადამწყვეტი ბრძოლა ხომ ეხლა იწყება. ისე იოჰანსონს შედარებით უკეთესი მდგომარეობა აქვს, არჩევნების წაგების შემთხვევაში იგი უეფას პრეზიდენტად მაინც დარჩება.

რაც შეეხება ბლატერს, მას ალბათ წაგების შემთხვევაში ახალი სამუშაოს ძებნა მოუწევს.

## ჩეზარე მალდინი: ზიდანი თანამედროვეობის უდიდესი ფეხბურთელია



**- სენიორ მალდინი, როგორ მიდის თქვენი საქმიანობა იტალიის ნაკრებში?**

- ყველაფერი ნორმალურად არის. მსოფლიოს ჩემპიონატამდე უკვე მცირე დრო რჩება. საბედნიეროდ ჯერ-ჯერობით სერიოზული ტრავმები არ გვაწუხებს. მართალია გარკვეული პრობლემები შეგვიქმნა რამდენიმე ამხანაგური მატჩის ჩაშლამ, მაგრამ ამასაც როგორმე მოვუვლით. ასე რომ, იმედი მაქვს საფრანგეთს საუკეთესო ფორმაში მივუახლოვდებით.

**- თქვენი მიზანი მსოფლიოს ჩემპიონატისათვის?**

- როგორი მიზანიც არ უნდა მქონდეს პირადად მე, ნებისმიერ შემთხვევაში ვიტყოდი, რომ აუცილებლად ჩემპიონები უნდა გავხდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში უბრალოდ იტალიიდან გადასახლება მომიწევდა. ეს რა თქმა უნდა ხუმრობით. ხოლო თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ, ყველასათვის ცხადია, რომ ნებისმიერ ჩემპიონატზე იტალიელთა მიზანი მხოლოდ გამარჯვებაა. ჩვენი ისტორია, ჩვენი ფეხბურთელების კლასი და ჩვენი გულშემატკივრები უბრალოდ გვავალდებულებენ ამას. მით უმეტეს, ამისი რეალური საშუალებები საკმარისზე მეტი გვაქვს.

**- და თუ თქვენ ამას ვერ მიაღწევთ?**

- თავის მართლებას და სხვებზე გადაბრალებას არ დავიწყებ. ჩავთვლი, რომ რაღაცა ვერ გავითვალისწინე, რაღაცა გამომრჩა. მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ეს არ მოხდება.

**- მაინც ვის თვლით თქვენს ძირითად კონკურენტებად?**

- ბოლო დროს ფეხბურთი ძალიან განვითარდა. თუ ადრე მსოფლიოს ჩემპიონატებზე გამოკვეთილ ფავორიტთა რაოდენობა მცირე იყო, ეხლა მათი რიცხვი გაცილებით დიდია. იტალიაზე უკვე გითხარით. ამას დაუმატეთ ბრაზილია და გერმანია, რომლებიც ნებისმიერ შეჯიბრზე გამარჯვების რეალურ კანდიდატებად ითვლებიან. ძალიან ძლიერები არიან არგენტინის და ესპანეთის ნაკრები გუნდები. საგანგებოდ მინდა გამოვყო ინგლისი. გლენ ჰოდლმა ძალიან ძლიერი გუნდის შექმნა შეძლო. ჩემი აზრით ინგლისს ასეთი ძლიერი ნაკრები კარგა ხანია არ ჰყოლია. და ბოლოს საფრანგეთი. მასპინძლებს ყოველთვის დიდი უპირატესობა აქვთ. ფრანგებს კი ამასთან ერთად ძლიერი ფეხბურთელებიც, რომლებსაც ნებისმიერი ამოცანის გადაჭრა ძალუძთ. გარდა ამისა, არ გამოვრიცხავ სიურპრიზს რომელიმე აფრიკული გუნდისგან. მაგალითად ნიგერია ავიღოთ. მოკლედ, ძირითადი ბრძოლა სწორედ ამ გუნდებს შორის წარიმართება.

**- რომელ ფეხბურთელს ისურვებდით თქვენს ნაკრებში?**

- იტალიას ძალიან მაღალი კლასის ოსტატები ჰყავს, ასე რომ ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ.

**- და მაინც, თქვენ, როგორც მწვრთნელს, შეუძლებელია ვინმესთვის არ გქონდეთ დადგმული თვალი. განა არ გაგაძლიერებდათ ბატისტუტა ან რონალდო?**

- რატომ მაინცდამაინც ბატისტუტა ან რონალდო? თავდამსხმელების დეფიციტს ნამდვილად არ განვიცდით. მე არ მინდოდა ვინმეს დასახელება, მაგრამ რადგან თქვენ მაიძულეთ, გეტყვით, რომ ზიდანი თანამედროვეობის უდიდესი ფეხბურთელია. ესეც ჩემი პასუხი.

**- თქვენ ვისზე გააკეთებთ ძირითად აქცენტს?**

- მათზე, ვინც ზაფხულისთვის საუკეთესო ფორმაში იქნება. საერთოდ, თანამედროვე ფეხბურთში დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ გუნდის კლასს, არამედ იმასაც, თუ როგორ ფორმაში მიუახლოვდება იგი კონკრეტულ შეჯიბრებას და კონკრეტულ თამაშს. ასე რომ დაჯავშნული ადგილები მე არავისთვის არა მაქვს.

**- არც პაოლო მალდინისთვის?**

- პაოლო მეტად ძლიერი ფეხბურთელია და თანაც ნამდვილი პროფესიონალი. მისი დონის მცველები არც ისე ბევრია. მე მგონი არავინ შემეკამათება იმაში, რომ ამას ჩვენი ნათესაური კავშირის გამო ვამბობ. მაგრამ თუ პაოლო ივნისისთვის გარკვეულ მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს, მაშინ მასაც იგივე მოელის, რაც სხვებს.

**- თქვენი ვერსიით, ევროპის საუკეთესო მწვრთნელი და საკლუბო გუნდი?**

- გუნდი უდავოდ „იუვენტუსია“, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა კიევის „დინამოს“ წინააღმდეგ გამართულ მატჩში. ასეთ ტემპში ფილიგრანული ტექნიკის დემონსტრირება, თანაც შესაშური ფიზიკური მომზადებით, მხოლოდ ვარსკვლავებს შეუძლიათ. რაც შეეხება ჩემს კოლეგებს, მათი დასახელებისაგან თავს შევიკავებდი.

**- რას იტყვით ლობანოვსკის ფენომენზე, რომელმაც მყარად მოიკიდა ფეხი ევროპაში?**

- ლობანოვსკი ტოტალური ფეხბურთის მიმდევარია და როგორც ჩანს, მას ეს ძალიან კარგად გამოსდის. თანაც მას რამდენიმე ძალიან კარგი ფეხბურთელი ჰყავს: შოვკოვსკი, რებროვი, შევჩენკო, გუსინი.

**- მხოლოდ კარგი?**

- ის ხოტბა, რომელსაც ეხლა ახალგაზრდა კიეველებს ასხამენ, ჯერ რამდენადმე გადამეტებულად მიმაჩნია. დინამოელები ამისთვის მეტად ახალგაზრდები არიან. ცოტა მოცდაა საჭირო.

**- უკრაინაშიც და რუსეთშიც ეხლა ერთი ამბავია ატეხილი იმის გამო, აპირებს თუ არა „მილანი“ ანდრეი შევჩენკოს შეძენას. რას გვეტყვით ამის თაობაზე?**

- ზუსტად გეტყვით, რომ კაპელო დიდად არის დაინტერესებული შევჩენკოს თავის გუნდში ხილვით, მაგრამ კიეველებმა ისეთი ფასი დაასახელეს, რომ . . . 30 მილიონი დოლარი ძალიან დიდი თანხაა ამ ფეხბურთელისთვის. თუმცა მოლაპარაკება შეიძლება მომავალშიც გაგრძელდეს.

**- მოდით ისევ თქვენს საკითხს დავუბრუნდეთ. სენიორ მალდინი, თქვენ გსაყვედურობენ, რომ დაცვითი ფეხბურთის მიმდევარი ხართ და ამის გამო იტალიის ნაკრები ნაკლებად სანახაობრივ ფეხბურთს უჩვენებს.**

- ჯერ ერთი, ჩვენ შეტევაც საკმაოდ გვეხერხება და ეს არაერთხელ დავადასტურეთ. გარდა ამისა, დაცვის როლის გაზრდა ფეხბურთის განვითარებამ გამოიწვია და ეს ობიექტური რეალობაა. არ დაივიწყოთ, რომ თამაშის ორგანიზაცია დაცვიდან იწყება. თანამედროვე ფეხბურთში ოთხი თავდამსხმელით თამაში აგრესიულ ფეხბურთს კი არა, ავანტიურის გამოვლინებას უფრო წააგავს. ეს დრო დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა.

*გვერდი მოამზადა*
**ზურაბ დავითაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფესტივალი თბილისში

27 აპრილს თბილისში პაატა ბურჭულაძის ფონდის უშუალო ეგიდით იწყება საოპერო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი. ამასთან დაკავშირებით, ქალბატონმა მაია დათუნაშვილმა, რომელიც ფონდის პრეზიდენტია, გამართა პრეს-კონფერენცია...



ფესტივალს ეყოლება მრავალი უცხოელი სტუმარი და დიდი ვარსკვლავები. მათ შორის იქნებიან: კატია რიჩარელი, რენატო ბრუზონი, ანდრეა როსტი, სტეფანია ტიოჩესკა, ალესანდრა მარკი, კალუდი კალუდოვი, ქრისტიან იოჰანსონი, ვლადიმერ სპივაკოვი და მოსკოველი ვირტუოზები, მოსკოვის კამერული გუნდი „მსოფლიოს ოქროს ხმები" ვლადიმერ მინინის ხელმძღვანელობით. გარდა ამისა, ფესტივალში მონაწილეობს ეროვნული საოპერო თეატრი, ბათუმის საოპერო თეატრის გუნდი და სოლისტები, საფესტივალო ორკესტრი, რომლის მთავარი დირიჟორია ვახტანგ მაჭავარიანი, დირიჟორები ზაზა აზმაიფარაშვილი, დავით მიქელია და ქართული საოპერო ხელოვნების ცნობილი წარმომადგენლები.

28 აპრილს კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება სპივაკოვისა და მოსკოველი ვირტუოზების, კამერული გუნდისა და სოლისტების კონცერტი სპეციალურად სტუდენტებისათვის (საკმაოდ დაბალ ფასში).

ამავე დღეს, საღამოს 8 საათზე ეროვნულ საოპერო თეატრში გაიმართება „აბესალომ და ეთერი", რომელშიც აბესალომის პარტიას ქართულ ენაზე შეასრულებს ბულგარელი ტენორი კალუდი კალუდოვი, რომელიც მსოფლიოს ტენორთა საუკეთესო ხუთეულშია შესული. როდესაც მან ეს ოპერა პირველად მოისმინა, დარჩა სრულიად გაოგნებული და აღფრთოვანებული და თქვა: „ერს, რომელსაც ასეთი ოპერა აქვს, ამ ოპერას უფრო მეტი პოპულარიზაცია უნდა გაუკეთოს და უფრო მეტად უნდა იამაყოს". რაც მთავარია, ეს სპექტაკლი მიეძღვნება ბატონ ზურაბ ანჯაფარიძის ხსოვნას.



29 აპრილს საოპერო თეატრში გაიმართება სპივაკოვისა და მოსკოველი ვირტუოზების, მოსკოვის კამერული გუნდისა და სოლისტების მეორე კონცერტი სრულიად სხვა პროგრამით.

30 აპრილს გაიმართება ოფიციალური გახსნა და გალა-კონცერტი სრულიად უპრეტენდენტო ფორმით, რადგან ეს კეთდება რიყეზე, სადაც სპეციალურად კეთდება სცენა, რომელიც იქნება გადახურული ევრო-სტანდარტების დაცვით, კეთდება 3000 ადგილი და იქნება 2 და 1 ლარიანი საშვები მათთვის, ვისაც არ დაეზარება ფეხზე დგომა ამის მოსასმენად. ამ გალა-კონცერტში მონაწილეობას მიიღებს ყველა ის სტუმარი, რომლებიც თბილისში ჩამოვლენ, აგრეთვე ქართველი მომღერლები.

უცხოელი სტუმრები თბილისით დაინტერესდნენ მისი ეგზოტიკურობის გამო, რომელსაც ფოტოებითა და ვიდეომასალით გაეცვნენ.

1 მაისიდან 6 მაისამდე შედგება შემდეგი ოპერები: „ოტელო", „ტოსკა", „რიგოლეტო", 2 მაისს მოეწყობა კატია რიჩარელის სოლო კონცერტი, ხოლო 5 მაისს ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი (არასაფესტივალო).

6 მაისს კი იქნება „აიდა", ფესტივალის ოფიციალური დახურვა და მეჯლისი, რომელიც გაიმართება ოპერის თეატრში.

უნდა აღინიშნოს, რომ ოთხივე ოპერა („ოტელო", „ტოსკა", „რიგოლეტო", „აიდა") იქნება საკონცერტო შესრულებით და არა სპექტაკლი. ქართული საოპერო მუსიკის საგანძურიდან აჟღერდება ფალიაშვილის ოპერები და ლაღიძის „ლელა".

საკონცერტო დარბაზები ელის მაყურებელს.

# რატომ არ ჩამოდის პავაროტი?..

იმ ადამიანთათვის, რომელნიც პავაროტის ჩამოსვლას ელოდებიან და ამ ამბით დაინტერესებულნი არიან (ვფიქრობ, რომ ეს მთელი საქართველოა) მინდა მივაწოდო ცნობა იმის შესახებ, რომ პავაროტის პროექტი თავიდან ბოლომდე ყველა დეტალით არის დამუშავებული და დიდი ხნის წინ ხელშეკრული. თბილისში მის კონცერტს ძალიან კარგი რეზონანსი და პერსპექტივა ჰქონდა. მაგრამ ამის განხორციელებას აფერხებს შემდეგი პრობლემა. კერძოდ, იყო მოლაპარაკება ერთ-ერთ ქართულ ბანკთან, რომელიც აფინანსებდა ამ კონცერტს. მთელი სირთულე იმაშია, რომ ჰონორარის რაღაც ნაწილი წინასწარ უნდა ჩაირიცხოს. რადგან ეს ჯერ-ჯერობით საქართველოს მხრიდან არ ხდება, პროცესიც შეჩერებულია. საოცარი ის არის, რომ პავაროტის სააგენტოს წესით 5 იანვრამდე უნდა გაეუქმებინა ხელშეკრულება, მაგრამ დღემდე ბურჭულაძის ფონდს არ აქვს უარი მიღებული. ეს კი ნიშნავს, რომ ამ პროექტის გადარჩენა დღესაც და ხვალაც შეიძლება.

ხშირად ისმის რეპლიკა: „რა მოხდა კაცო, პაატას ძმაკაცია, ჩამოვიდეს და ისე იმღეროს" ფონდი კი აცხადებს: „რატომ უნდა იმღეროს მან უფასოდ საქართველოში, როცა არ მღერის უფასოდ იტალიაში".

თუ ის ადამიანი, ვისაც ამ თანხის წინასწარ გადახდა, ფაქტიურად სესხება შეუძლია, იმას მაინც დაიჯერებს, რომ მილიონს საფლავში მაინც ვერ წაიღებს, ამ პროექტის გადარჩენა ჯერ კიდევ შეიძლება.

პრეს-კონფერენციაზე ქალბატონმა მაია დათუნაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს არის კავკასიაში პავაროტის პირველი და უკანასკნელი ჩამოსვლა, რადგან 2002 წლამდე ყველაფერი დაგეგმილი აქვს.

... ბანკის მესვეურები მოითხოვენ გარანტიებს. გარანტია კი ბანკირისთვის არის ბინა, ბრილიანტი, ქარხანა. პავაროტის გარანტია კი არის ის, რომ ის იმღერებს და მის მოსასმენად მივა ყველა, ვისაც ესმის მუსიკა და არ ესმის, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ის პავაროტია.

პაატა ბურჭულაძის ფონდი მიმართავს ხალხს დასახმარებლად და თითოეულ მოქალაქეს მიმართავს თხოვნით დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში გადარიცხოს თუნდაც ერთი ლარი შემდეგი ანგარიშის ნომერზე:

ს/ა 700 161 513, კოდი: 22 01 01 713, სალარო №609350.

ანდა მიაკითხოს პაატა ბურჭულაძის ფონდის ოფისს მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი 40/1 (პაატა ბურჭულაძის ფონდი). ტელ: 92-03-23.

# ვარსკვლავები

## „ელვისი"

ეს ფილმი ელვის პრესლის შესახებ ბავშვობიდან ფინიშამდე ანუ 1969 წლამდე წარმოადგენს ისტორიას ვარსკვლავის დაბადებაზე, იმის შესახებ, თუ როგორ გაიზარდა ის სუპერვარსკვლავად. ეს ერთადერთი ფილმია ჯონ კარპენტერისა, რომელიც ბიოგრაფიულ ჟანრშია. მიუხედავად იმისა, რომ „ელვისი" იაფფასიანი სატელევიზიო ფილმი იყო, პრემიერის დროს 1979 წელს გადააჭარბა „ქარწაღებულნს", როცა ისინი ამერიკის ტელევიზიის მეორე არხზე ერთად გადიოდნენ.



ფილმში ყურადღებას იქცევს კურტ რასელის როლი, მიუხედავად იმისა, რომ მას არ შეეძლო სიმღერა (კადრს მიღმა მღეროდა ქანთრის ვარსკვლავი მაკდაუელი) და არც ჰგავდა ელვის პრესლის გრიმის გაკეთების შემდეგაც, ის იყო ისევე მრავალმხრივი და მრავალფეროვანი, როგორც ელვის პრესლი. რასელის აქტიორული რეიტინგი ამის შემდეგ გაიზარდა. თუ მან პრესლის როლის შესრულებისათვის მილიონი დოლარი მიიღო, „ავარიის" შემდეგ, რომელიც სამამულო ვიდეოგაქირავებაში ლიდერობდა, რასელს პრეტენზია ჰქონდა თხუთმეტ მილიონიან ჰონორარზე, რომელიც აიღო კიდეც „ჯარისკაცში".

## ერთი ვარსკვლავი, მეორე კი...

სტუდენტები, რომლებიც საინჟინრო საქმიანობას სწავლობენ



ვაშინგტონის ერთ-ერთ უმაღლეს სკოლაში, აღფრთოვანებით უსმენდნენ კინოვარსკვლავ ტომ ჰენკსს, რომელიც მთავარ როლს თამაშობს ფილმში „აპოლონ 13". მსახიობი პათოსით საუბრობდა იმაზე, რომ მთავარი არის რწმენა ოცნების განხორციელებისა და მაშინ კოსმიური საზღვრები უთუოდ შეირყევიან. როგორც ჩანს, ჰენკსმა შეძლო გადაედო თავისი დამაჯერებელობა აშშ-ს პირველი ლედისათვის (ჰილარი კლინტონი).

## მიუხედავად შეცდომებისა, ვან დამი არ სწორდება

37 წლის ჟან-კლოდ ვან დამი, მიუხედავად თავის მეოთხე ცოლთან, დარსი ლაპერთან სკანდალური განშორებისა, არ კარგავს სულის სიმხნევეს და ძალას იყოს კვლავ შეყვარებული. არც ისე დიდი ხნის წინ მან გაიცნო ბრაზილიელი მსახიობი ადრიანა გარამბონე და მაშინვე მოექცა მისი გავლენის ქვეშ. ადრიანას საზოგადოებაში მსახიობი ტკბებოდა რიო-დე-ჟანეიროს ღამის ცხოვრებით. ყველგანმძვრომი პაპარაცები ყველგან დასდევდნენ წყვილს, იმის იმედით, რომ პიკანტურ ფოტოებს გადაიღებდნენ.

## თავისუფალი ადგილი არ არის...

არც ისე გვიან მირა სორვინო დაშორდა კვენტინ ტარანტინოს. ფხლა კი ამბობენ, რომ იგი შეიმჩნევა ველ კილმერთან ახლო ურთიერთობაში. მათ იღებენ ფილმში „Sight Unseen", რომელშიც მირა თამაშობს შეყვარებული ვერას როლს. გადაღებებს შორის მათ ხშირად ხედავენ ერთად. ისინი სეირნობენ ხელკავით და საუბრობენ ძალიან ნაზად. მაგრამ შეიძლება, რომ ეს მხოლოდ შემოქმედებითი ურთიერთობა იყოს.



# მსახიობთა გავლა ჩინეთის დიდ კედელზე

**დიდი პერფორმანსის დევიზი: „არც გამეორება, არც წინასწარ დათქმული ფინალი, არც — რეპეტიცია!"**

მარინა აბრამოვიჩი დაიბადა ბელგრადში. სწავლობდა ბელგრადის ნატიფ ხელოვნებათა აკადემიაში, შემდეგ ზაგრებში. 70-იანი წლების დასაწყისში ექვსი იუგოსლაველი ხელოვანისაგან შემდგარ ჯგუფთან ერთად ეძებს ხელოვნების ახალ ფორმებს, ყოველგვარი წარმოდგენის გარეშე დასავლეთის თანამედროვე ხელოვნების ისეთ მოვლენებზე, როგორიც იყო ფლაქსუსის ან პერფორმანსის მოძრაობა.

ამსტერდამში იგი შეხვდა არტისტ-ულაის. მათთვის მაშინვე ნათელი გახდა, რომ ერთმანეთისთვის იყვნენ შექმნილნი. ოთხი წლის განმავლობაში ისინი ცხოვრობდნენ მსუბუქ მანქანაში, ნაცვლად სახლისა. ერთობლივი პერფორმანსით მოიარეს მსოფლიო. მათ შეიმუშავეს წესი: „არც განმეორება, არც წინასწარ დათქმული ფინალი, არც — რეპეტიცია!"



1979 და 1980 წლებში ძირითადად ცენტრალური ავსტრალიის უდაბნოებში ცხოვრობდნენ, ჰქონდათ ახლო კავშირი სხვადასხვა აბორიგენულ ტომებთან.

1981 წელს დაიწყეს პერფორმანსის — „ლამის ზღვის გადალახვა" — წარმოდგენა, სადაც ისინი ისხდნენ მაგიდასთან ერთმანეთის პირისპირ გაუნძრევლად 90 დღის განმავლობაში, დღეში 7 საათს.

შემდეგი ერთობლივი ნაშრომი იყო „გავლა დიდ კედელზე" — 1988 წელს, ულაიმ სიარული ჩინეთის კედელზე დაიწყო გობის უდაბნოდან, ხოლო მარინამ ყვითელი ზღვიდან. მათ გაიარეს 4000 კილომეტრი გრძელ ჩინეთის კედელზე, რათა ერთმანეთს სამუდამოდ დამშვიდობებოდნენ.

მარინა აბრამოვიჩის ცხოვრება იყოფა მძიმე და ხანგრძლივი შრომის პერიოდებად. ბუნებიდან და ძველი ცივილიზაციებიდან მან გამოიტანა სიმტკიცე და თავისი ხელოვნებით გადასჭიმა ხიდი დასავლეთისაკენ.

ამსტერდამში, ჯოან ფიჯნეფელმა მარინა აბრამოვიჩს საინტერესო ინტერვიუ ჩამოართვა. რამდენადმე შემოკლებულად, ქვემოთ გთავაზობთ მას.

**— რას ფიქრობთ საკუთარი — თავის შესახებ? თქვენი მოღვაწეობა იყო არტისტის მოღვაწეობა, თუ შესაძლოა თქვენ მაცნე იყავით? როგორია თქვენი აზრი იმ მსოფლიოს შესახებ, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ?**

— ჩემი თვალსაზრისით, მსოფლიოს შესახებ არის არტისტის თვალსაზრისი. ფაქტიურად მე უფრო მეტად 21-ე საუკუნე მაინტერესებს. მჯერა, რომ 21-ე საუკუნეში მსოფლიოში არ იქნება ხელოვნება იმ გაგებით, როგორიც ჩვენ ახლა გვაქვს. ეს იქნება სამყარო საგნების გარეშე, სადაც ადამიანის ყოფა შეიძლება იყოს შემეცნების ისეთ მაღალ დონეზე და ჰქონდეს ისე მტკიცე მენტალური მდგომარეობა, რომ მას შეეძლება, გადასცეს აზრები და ენერგია სხვა ადამიანებს შუალედური საგნების გარეშე. იქნება მხოლოდ არტისტი მაყურებლის წინაშე, რომელსაც შეეძლება კოდის თუ ენერგიის უშუალოდ მიღება. ისინი ისხდებიან ან იდგებიან მსგავსად სამურაებისა ძველ იაპონიაში, ერთმანეთისადმი მზერამიპყრობილნი და გაცვლიან ენერგიებს. ეს არის მომავალი მსოფლიო, რომელსაც მე, როგორც არტისტი ვხედავ: არასაგნობრივი მსოფლიო. მე მუდამ მივდივარ აღმოსავლეთისა და ბუნებისაკენ. მივდივარ ექსტრემალური სტუაციებისაკენ, მსგავსად უდაბნოში ცხოვრებისა, ან ვატარებ დროს ტიბეტელებსა და აბორიგენებთან, ან გადავწყვეტ ხოლმე ჩემთვის ყოფნას რომელიმე პატარა კუნძულზე, მსგავსად პასიფიკისა და იქ ვიღებ ენერგიას და იდეებს ხელოვნებისათვის. შემდეგ ვბრუნდები დასავლეთის საზოგადოებისაკენ და ვემსახურები მას, როგორც ხიდი. ერთგან ვიღებ, მეორეგან გავცემ. ვფიქრობ, რომ ჩვენი საზოგადოება ძალიან დანგრეული საზოგადოებაა. ჩვენ გვჭირდება ხელოვნება, როგორც გზა იმის საჩვენებლად კაცობრიობისათვის, თუ როგორ შეუძლია მას განვითარდეს, როგორც ამას მეცნიერები ან სულიერების მსახური ადამიანები აკეთებენ. ჩემი, როგორც არტისტის ფუნქცია არის, ვიყო ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

**— თქვენ მართლა გსურდათ შოკის გამოწვევა? გრძნობთ, რომ წარმატებას მიაღწიეთ?**

— იუგოსლავიაში გამუდმებით ვქმნიდი შოკებს. ეს იყო ის, რაც ყოველთვის მჭირდებოდა საცდელად, კონტაქტისათვის. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, 22 წლის ქალი იუგოსლავიაში, რომელიც 5000 კაცის წინაშე შიშვლდებოდა, მუცელზე კი სამართებლით იჭრიდა კომუნისტურ წითელ ვარსკვლავს? ხალხი მეკითხება, როგორც გავხდი არტისტი. ვფიქრობ, გახდე არტისტი — ეს არის სუნთქვის მსგავსი, ეს არის აუცილებლობა.

აკადემიის დამთავრების შემდეგ ჩვენმა ექვსკაციანმა ჯგუფმა დაიწყო დაეჭვება ძველ იდეებსა და ხელოვნების ძველმოდურ გზაში. ვცდილობდით, გვეპოვა ახალი ფორმები, ამიტომ დავიწყეთ მათი მსხვრევა პერფორმანსებით, ინსტალაციებით და მულტიმედიით, ვიყენებდით ნამდვილ ცეცხლს, ნამდვილ წყალს, ნამდვილ ყინულს. ჩვენ თავიდან არ ვიცოდით, რომ ეს მოძრაობა იყო. შოკი ეფექტის მხოლოდ ერთი მხარეა. რაც მაინტერესებდა, ეს იყო ადამიანის სხეულის და გონების ფიზიკური და სულიერი ზღვრების გამოცდა. როცა სხვა კულტურებს ვეზიარე, როცა წავედი ტიბეტში და აბორიგენებში, და ასევე მონაწილეობა მივიღე სუფისტურ რიტუალებში, ვნახე, რომ ყველა ეს კულტურა ფიზიკური უკიდურესობისაკენ უბიძგებდა სხეულს, რათა ამით მოემზადებინა სულიერი ნახტომი, მოესპო სიკვდილის შიში, ტკივილის შიში და სხეულის ყველა ის შეზღუდულობა, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია. დასავლეთის საზოგადოებაში ჩვენ შეშინებულები ვართ!

**— გრძნობთ, რომ წარმატებას მიაღწიეთ? გჯერათ, რომ შეგიძლიათ შეცვალოთ სამყარო?**

— ვერაფერს დავიწყებდი ასე, რომ არ მჯეროდეს, როდესაც ჩინეთის კედელზე გავდიოდი, განსაკუთრებულ სულიერ მდგომარეობაში მყოფმა მივაგენი ასეთ ფრაზას: „ნავს აცარიელებ რა, დინებაში შედიხარ". ეს ნიშნავს: შენ უნდა გახვიდე ღია ზღვაში და ნავი სავსეა ბალასტით. ნავი შენი სხეულია თავისუფლებისათვის მზადმყოფი, თვითგანვითარებისა და ბუნების დინებასთან შერწყმის შემძლე. შენ უნდა გადაყარო ბალასტი ნავიდან ზღვაში და ამის შემდეგ ნავი — შენი სხეული თავისთავად გაგიყვანს იქ".

მე ვმუშაობ სხვადასხვა ფორმის მინერალებზე. ამით ნავით დაცარიელების გზას ვაჩვენებ და ეს ჩემი მისიაა.

ცენტრალური ავსტრალიის აბორიგენები იღებენ კვარცის პატარა ნაჭერს და მას პირდაპირ თავზე იდებენ. ჭრიან კვარცს პატარ-პატარა ნაჭრებად და ამონაჭრებს იდგამენ ძვლებში.

*(გაგრძელება იქნება)*

**მოამზადა ძ. ჩადუნელმა**

# თავისუფალი სამუშაო ადგილები

| პროფესია | პროფესიონალური თვისებები | ასაკი | მინ. ხელფასი | რაოდ. |
| --- | --- | --- | --- | --- |
| ფინანსური მენეჯერი | კაცი. უმაღლესი ეკონომიკური განათლებით, სასიამოვნო გარეგნობით, ინგლისური და კომპიუტერის ცოდნა აუცილებელია. სტაჟი არანაკლებ 2 წლისა. იცოდეს GAAP დასავლური ბუღალტერიის ბალანსი, აღრიცხვა. | 23-30 წ. | 400 ლარი | 1 |
| სარეკლამო აგენტი | ქალი ახალგაზრდა, ენერგიული, სასიამოვნო გარეგნობით, კომუნიკაბელური, ერუდირებული, გოგონები. საჭიროა ინგლისურის კარგად ცოდნა, სიმაღლე არანაკლებ 170 სმ. | 18-25 წ. | 500 ლარი | 5 |
| მენეჯერი | ქალი/კაცი უმაღლესი იურიდიული, ფსიქოლოგიური ან ჟურნალისტური განათლებით. სასიამოვნო გარეგნობის, ერუდირებული, კომუნიკაბელური, ენერგიული, უცხო ენა. კოტრაქტების, ხელშეკრულებების დადება, პარტნიორების მოძიება. | 18-30 წ. | 150 ლარი | 5 |
| მარკეტინგის დირექტორი | კაცი უმაღლესი განათლებით, სასიამოვნო გარეგნობის, კომპიუტერისა და ინგლისურის ღრმა ცოდნით, მოვალეობა-შრომის ბაზრის შესწავლა, სარეკლამო საქმიანობა, საქმიანობის სტიმულირება, სტაჟი 2-3 წ. | 23-35 წ. | 400 ლარი | 2 |
| მდივან-რეფერენტი | ქალი სასიამოვნო გარეგნობით, უმაღლესი განათლებით, უცხო ენის სპეციალისტი, ინგლისური, რუსული და კომპიუტერი ბრწყინვალედ. მოვალეობა-ინგლისური საბუთების თარგმნა, ტელეფონის ზარებზე პასუხის გაცემა, კომპიუტერზე მუშაობა, სტაჟი 1-3 წ. | 24-35 წ. | 150 ლარი | 1 |
| მენეჯერი | კაცი/ქალი უმაღლესი იურიდიული, ფსიქოლოგიური ან ჟურნალისტური განათლებით, სასიამოვნო გარეგნობით, ერუდირებული, კომუნიკაბელური, ენერგიული, უცხო ენა აუცილებლად, პარტნიორების მოძებნა, ხელშეკრულებები, კონტრაქტები. | 18-30 წ. | 150 ლარი | 5 |
| მდივან-რეფერენტი | ქალი უმაღლესი ჰუმანიტარული განათლებით, იცოდეს ინგლისური და კომპიუტერი ბრწყინვალედ (office 7&97). მოვალეობა-დოკუმენტების საქმიანი წერილების წარმოება, სტუმრების მიღება, სტაჟი 2 წ. სამუშაო დრო 10-00 – 18-00. | 24-40 წ. | 250 დოლარი | 1 |
| ფსიქოლოგი | ქალი/კაცი, უმაღლ. განათ. სასიამოვნო გარეგნობის. ინგლისური პროფ. დონეზე. კომპ. მომხ. დონეზე. ფსიქოლოგი, სოციოლოგი კვალიფიკაციით. სტაჟი 3 წ. . | 22-40 წ. | 300 დოლარი | |

**ახალგაზრდული ფონდი „მოსახლეობის დასაქმების ცენტრი“**
ქ. თბილისი, უ. შარტავას 7. ტელეფონი: 38-94-68 ფაქსი: 38-14-43.
**დასაქმების ცენტრი №2,** მარჯანიშვილის ქუჩა №5
III სართული, ოთახი 42 ტელეფონი: 95-11-92.


## ექსპრეს აუდიტ სერვისი

*ლიცენზია №091*
*გთავაზობთ აუდიტორულ მომსახურებას*
*ზოგად აუდიტში*

საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება;
საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები;
ქონების შეფასება-გადაფასება;
ბუღალტრული მომსახურეობა;

თბილისი, თავისუფლების მოედანი,
პუშკინის ქ. 5, მე-12 სართ. ტელ.: 93-15-89

## რეკლამის განთავსების მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „საქართველო“ თავისი ნომრის ერთ გვერდს
უთმობს სარეკლამო განცხადებებს.
რეკლამა კეთდება შეღავათიან ფასებში.
ყოველი მესამე გამოშვება თქვენთვის
**უფასოა**
დაგვიკავშირდით ტელ.: 93-18-41, 93-20-36 ან მობრძანდით მისამართზე: თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული,
გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია.

## ძვირფასო ბიზნესმენებო!

თქვენი საქმიანობის რეკლამირებას პროფესიონალიზმი სჭირდება. გაზეთ „საქართველოს“ სარეკლამო განყოფილება გაძლევთ უნიკალურ საშუალებას გქონდეთ მაღალი დონის რეკლამა.
ჩვენ დაგეხმარებით სარეკლამო გეგმის შედგენაში;
გაგიწევთ კონსულტაციას და შეგისრულებთ ნებისმიერი სახის სარეკლამო დავალებას;
ჩავატარებთ არსებული მასალის ექსპერტიზას.
დაიზღვიეთ თავი შეცდომებისაგან!
ჩვენი მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული. ტელ: 93-18-41, 93-20-36
გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია



## გიწვევთ!

გაზეთ „საქართველოს“ სარეკლამო განყოფილება სამუშაოდ გიწვევთ 19-დან 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს.
მსურველებს შეუძლიათ მოგვმართონ მისამართზე: თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული, ტელ: 93-18-41, 93-20-36


# კროსვორდი



**თარაზულად:** 1. მოუმზადებლად, სახელდახელოდ თქმული ლექსი, — ექსპრომტი; 5. ტყის მხალი; 8. საქართველოს მდინარე; 9. ვარდისფერი საღებავი, იყენებენ კერამიკაში; 10. მკვრივი ბარათების დასტა, რომლებზედაც გამოყენებულია მკვრივი ფიგურები ან ნიშნები, იყენებენ სათამაშოდ; 11. გამოუცდელი, ხალხში გამოუსვლელი; 14. დასტურის შეძახილი (გავრცელებული აშში) — კარგი! კი ბატონო; 15. საქართველოს რაიონული ცენტრი; 16. ავის მთქმელი; 17. დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე; 20. ძვირფასი ნივთეულობა, განძი; 22. ერთგვარი მფრინავი ხვლიკი, გავრცელებულია აზიის ტროპიკულ ტყეებში; 24. დაბა სამხრეთ საქართველოში; 25. ჰოლანდიის ფეხბურთელთა კლუბი; 28. გულუბრყვილო ადამიანი; 29. თხელი ადგილი მდინარეში; 30. მოგზაურობა; 31. რაიმე თხზულების ნაწილი ცალკე წიგნად; 32. ერთიმეორეზე მიწყობილი შეკრული დიდი ძელები მდინარეზე გასასვლელად; 33. საცალფეხო გზა.

**შვეულად:** 1. ხელოვნური ბოჭკო, რომელსაც იღებენ კაპროლაქტამისაგან; 2. თოვლის ფიფქი; 3. ერთხმიანი ლირიკულ-დრამატული შინაარსის ვოკალური ნაწარმოები; 4. დრამატული სახე, რომელსაც არტისტი განახორციელებს სცენაზე; 5. მთის წაწვეტებული მწვერვალი; 6. დადგენილი ნიმუშის დეტალი; 7. უფერული ან მოყვითალო სითხე, იყენებენ საღებავებისა და სხვადასხვა წამლის დასამზადებლად; 12. გულისა და სისხლძარღვთა სისტემის, სახსრების და კუნთების დაავადება; 13. მარადმწვანე სუბტროპიკული ხე ან ბუჩქი, აქვს მწვანე ან ყვითელი ფერის წვნიანი და სურნელოვანი ოვალური ნაყოფი; 18. სავანის ტიპის მდინარე, მდინარე ორინოკის ვაკეზე (სამხრეთ ამერიკაში); 19. ლიმფური ჯირკვლების ანთება; 20. პირების ან საგნების წერილობით ჩამოთვლა-ნუსხა; 21. ინგლისსა და ამერიკაში გაუთხოვარი ქალის ხსენება ან მისდამი მიმართვა; 23. აფრიკის მდინარე; 26. საქართველოს მდინარე; 27. თვალის ფერადი გარსი.

შეადგინა
**ალექსანდრე გორგიშელმა**

## გ მ ა დ ლ ო ბ თ !

ცხრა აპრილისა და რადიაციული დასხივების შემდეგ ჩემს მკურნალ ექიმებს: მანანა კვერნაძეს და მის კოლექტივს რკინიგზის საავადმყოფოს ნერვულ განყოფილებას: ქ-ნ მანანა სალუაშვილს, ინვალიდთა პოლიკლინიკის მთ. ექიმს ცირა სეხნიაშვილს და მთელ კოლექტივს მინდა მადლობა გადავუხადო გაწეული დახმარებისათვის.

თამარ დარჩია.

# განცხადებები

დავიქირავებ 3-ოთახიან გარემონტებულ ბინას ვერაზე, ფიქრის გორაზე ან ვაკეში ტელ: 52-60-55.

ქირავდება მაღაზია 24 კვ. მ. კოლმეურნეობის მოედანზე. ტელ: 39-26-39.

იყიდება აგარაკი, სახლი კაპიტალური, გარემონტებული, დამხმარე სათავსოთი, ბელეტაჟზე, სარდაფით, თბილისის მახლობლად. ხეხილის ბაღით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 98-30-29 საღამოს 99-98-37 დღისით ციცო

იყიდება კაპიტალური 2-სართულიანი სახლი (დასამთავრებელი) სოფელ გამარჯვებაში, მიწის ნაკვეთი 1200 კვ.მ., მსხმოიარე ხეხილის ბაღით, (შუქით, გაზით, სასმელი და სარწყავი წყლით) ცენტრალურ ტრასაზე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 99-98-37, 98-30-29 ციცო

იყიდება ძველებური სარკე. სიმაღლე 3 მეტრი და 10 სმ. ფასი 1300 ლარი. ტელ 96-88-24 იკითხეთ გიგა

იყიდება საყინულე „დიოჩელი“ 1989 წლის გამოშვება, 1 წლის ნახმარი. ფასი 300 ლარი. ტელ: 62-96-19

იყიდება მაღაზია საბურთალოზე ვაზისუბნის ქუჩა №12 250 კვმ. არის საოფისე ადგილი (პრივატიზებულია). ტელ: 38-79-71 ეთერი, მზია.

იცვლება 4-ოთახიანი ბინა თუხარელის პროექტი, მე-14 სართ, ვაჟა-ფშაველას მე-5 კვარტ. ერთ ან ოროთახიან ბინაზე, პირველ სართულზე ან მაღაზიაზე საბურთალოზე ან ცენტრში. ტელ: 39-26-39

იცვლება მიწის ნაკვეთი დამტკიცებული საცხოვრებელი სახლის პროექტით საბურთალოზე, ახალ მსუბუქ ავტომანქანაზე. ტელ 39-26-39


## მიცვალებულთა დამკრძალავი ფირმა „მემია“

თითოეული ჭირისუფლის გვერდითაა და შესაძლებლობეის ფარგლებში ცდილობს შეგიმსუბუქოთ გასაჭირი.
მაღალკვალიფიციური ექიმი-პათოლოგ-ანატომები, რომლებიც მხოლოდ ჩვენს ფირმაში მუშაობენ, მიცვალებულის დაბალზამებას მოახდენენ. ამისათვის გათვალისწინებული ყველა წესის სრული დაცვით.
თქვენი შეხედულებისამებრ შეგიძლიათ შეუკვეთოთ დაკრძალვის სხვა ატრიბუტებიც: კატაფალკი, სასახლე, სუდარა, სამგლოვიარო მუსიკა, ავტობუსები, ძელეხის დარბაზი და სხვა შეკვეთების მიღება მხოლოდ სადისპეტჩერო სამსახურის ტელეფონებზე.
დაგვირეკეთ: 38-40-02, 98-43-44, 34-50-01, 96-91-43.

**მოიგეთ**

გაზეთ „საქართველოს“ მუდმივო მკითხველო, ნუ გადააგდებთ გაზეთის ნომრებს და ვინც პირველი რედაქციაში წარმოადგენს 25 ნომერს, იგი დასაჩუქრდება უცხოური ფერადი ტელევიზორით ან მუსიკალური ცენტრით (თქვენს არჩევანზეა).
გაზეთი მე-20 ნომრიდან უნდა შეგროვდეს ისე, რომ არცერთი ნომერი არ გამოაკლდეს..
გაყალბება გამორიცხულია.
**გისურვებთ გამარჯვებას!**



მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444